| ნაკვეთის ნიმუშთან<br>კონტაქტის ხერხი | ნომერი № | სიგრძე, მმ | სიგანე, მმ | სიმაღლე, მმ | მოცულობა, ნგ | დარტყმის სიმაღლეები, ნგ  |             | დარტყმამედეგობა |
|--------------------------------------|----------|------------|------------|-------------|--------------|--------------------------|-------------|-----------------|
|                                      |          |            |            |             |              | ასიმეტრიული,<br>გვარეული | გარეული, გვ |                 |
| ბურთულით                             | 1        | 3,81       | 4,11       | 3,97        | 62,17        | 28                       | 56          | 0,90            |
|                                      | 2        | 4,17       | 3,95       | 4,31        | 70,99        | 36                       | 72          | 1,01            |
|                                      | 3        | 3,94       | 3,84       | 4,39        | 66,42        | 36                       | 72          | 1,08            |
|                                      | 4        | 4,25       | 3,77       | 4,19        | 67,13        | 45                       | 90          | 1,34            |
|                                      | 5        | 4,16       | 3,77       | 4,09        | 64,14        | 36                       | 72          | 1,12            |
|                                      | 6        | 4,08       | 3,98       | 4,16        | 67,55        | 55                       | 110         | 1,63            |
|                                      | 7        | 4,06       | 3,77       | 4,09        | 62,60        | 45                       | 90          | 1,44            |
| ვილით                                | 8        | 4,01       | 3,94       | 4,17        | 65,88        | 85                       | 170         | 2,58            |
|                                      | 9        | 3,76       | 3,31       | 4,25        | 52,89        | 104                      | 208         | 3,93            |
|                                      | 10       | 3,91       | 4,19       | 3,78        | 61,93        | 91                       | 182         | 2,94            |
|                                      | 11       | 3,96       | 3,78       | 4,18        | 62,57        | 91                       | 182         | 2,91            |
|                                      | 12       | 3,77       | 4,04       | 4,01        | 61,08        | 91                       | 182         | 2,98            |
|                                      | 13       | 3,76       | 4,18       | 4,13        | 64,91        | 92                       | 184         | 2,83            |
|                                      | 14       | 3,78       | 4,06       | 4,11        | 63,08        | 105                      | 210         | 3,33            |
|                                      | 15       | 3,77       | 4,08       | 4,14        | 63,68        | 105                      | 210         | 3,30            |

ცხრილში 2 წარმოდგენილია დარტყმაზე გამოცდილი კუბების საშუალო მნიშვნელობები და სიზუსტის შეფასების მაჩვენებლები.

## ცხრილი 2. საშუალო მნიშვნელობები

| კონტაქტის<br>ხერხი | დარტყმამედეგობა<br>(კგ×სმ)/სმ <sup>3</sup> | საშუალო<br>კვადრატული<br>გადახრა | ვარიაციის<br>კოეფიციენტი | სხვაობა ვარიაციის<br>კოეფიციენტებს<br>შორის, % |
|--------------------|--|----------------------------------|--------------------------|--|
| ბურთულით           | 1,2  | 0,058                            | 0,0473                   |  |
| ფილით              | 3,1  | 0,150                            | 0,0485                   | 2,47   |

როგორც ცხრილი 2-ის მონაცემებიდან ჩანს ვარიაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა ბურთულით და ფილით კონტაქტის შემთხვევაში პრაქტიკულად ერთი და იგივეა (სხვაობა 2,47 %). ფარდობითი დარტყმამედეგობის მნიშვნელობა ბურთულით კონტაქტის შემთხვევაში ფილით კონტაქტთან შედარებით 2-ჯერ და მეტად ნაკლებია.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ:

- ვარიაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა ბურთულის გამოყენებით ნიმუშთან კონტაქტის შემთხვევაში 0,0473 შეადგენს; ფილის გამოყენებით კონტაქტის შემთხვევაში 0,0485 შეადგენს (სხვაობა 2,47 %);
- შედეგების სიზუსტის თვალსაზრისით, სარტყამი ჩაქეჩის ნიმუშთან კონტაქტის ფილის და ბურთულის ხერხის გამოყენება შესაძლებელია;
- ცალკე ამოცანას წარმოადგენს დარტყმამედეგობის მიღებული მნიშვნელობის ახსნა-დასაბუთება დარტყმითი რდვევის კონკრეტული მექანიზმის დადგენის და არსებული თეორიის საფუძველზე, რომელიც შემდგომი კვლევის საგანია.

## ლიტერატურა

- B. Batarlar Behaviour of Reinforced concrete slabs subjected to impact loads A Thesis Submitted to the Graduate School of Engineering and Sciences July 2013 Izmir.
- S. Elavenil and G.M. Samuel KnightImpact response of plates under drop weightimpact testing. Dafedil International University Journal of Science and Technology; Volume 7, Issue 1, January 2012.
- ACI 544.2R-89 (Reapproved 1999). Measurement of Properties of Fiber Reinforced Concrete.
- G. Murali, A. S. Santhi and G. Mohan Ganesh Resistance and Strength Reliability of fiber reinforced concrete two parameter Weibull distribution School of Mechanical and Building Sciences, VIT University, Vellore, Tamil Nadu, India.
- [Прочность горных пород | Российское угольное сообщество](#); coal-info.ru/?p=20
- გ. ბალიაშვილი, ფ. ბეჭანოვი, ლ. ღურჯუმელია, 6. სარჯველაძე, თ. რუხაძე. ქანების სტატიკური და დინამიკური ძალის ზემოქმედებით რდვევის ოპტიმალური მეთოდები. /საქართველოს ტექნიკური უნივერსტიტეტის შრომები, № 1, (471), თბილისი, 2009.
- AtefBadr and Ashraf F. Ashour; Modified ACI Drop-Weight Impact Test for Concrete;Materials Journal Volume: 102Issue: Appears on pages(s): 249-255; Date: 7/1/2005.
- P.Hunka, Jiri Kolisko, Two Type of Impact Load Tests, Tested on Fibre Reinforced Concrete Specimens Procedia Engineering/2013, Pages 278–283Concrete and concrete structures 2013 – 6th International Conference, Slovakia.
- ГОСТ 30629-99 Материалы и изделия облицовочные из горных пород. Методы испытаний
- A.M. Weidner C.P. Pantelides W. D. Richins T. K. Larson J. E. Blakeley Drop Hammer Test on Concrete Cylinders Considering Fiber Reinforcement and Elevated Temperature October 2012 Idaho National Laboratory Idaho Falls, Idaho 83415.

**SUMMARY**

**INVESTIGATION FOR IMPROVEMENT OF THE METHOD OF TESTING THE IMPACT  
RESISTANCE OF CONCRETE**

**Baliashvili G.I., Bezhaniyi P.K., Sardzhveladze N.V. and Gotsadze B.Z.**

**LPPL Grigol Tsulukidze Mining Institute**

Currently the method of a free-fall hammer is a relatively acceptable method of determination of the impact resistance of concrete. There is no standard for this method, it requires improvement. For instance, it is necessary to establish the technique of the contact between a hammer and a specimen from the standpoint of the accuracy of obtained results. The paper discusses the results of testing the concrete samples with plate- and ball-shaped hammers. In both cases, almost identical coefficients of variation were obtained. It is noted that the difference between the values of relative impact energy obtained with the plate- and ball-shaped hammers is the subject of a separate study.

**Keywords:** concrete, impact hammer, impact resistance, impact energy.

## მოცელითშრი რკინაპატონის ბრუნტულანგერებიანი საყრდენი პადლები

ბაქანიძე შ.ტ., ზამბახიძე ლ.ი.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 1. შესაბალი

ცნობილია, რომ საყრდენ კედლებს მუშაობა უწევთ როგორც გადაბრუნებაზე, ასევე მოცურებაზე. ზემოაღნიშნულის გამო, კონსოლური კონსტრუქციული გადაწყვეტის შემთხვევაში, მათი საყრდენი ფილის სიგანე საკმაოდ დიდი, დიდი ზომის გამოდის. გრუნტულანგერებიანი საყრდენი კედლის შემთხვევაში (როცა გრუნტული ანკერები განთავსებულია კედლის ზემო ნაწილში 1 იარუსად) ანკერი ეხმარება კედლის გადაბრუნებაზე მუშაობაში, მაგრამ ვერ ეხმარება მოცურებაზე მუშაობაში. ჩვენ მიერ შემოთავაზებული იყო გრუნტული ანაკრების განთავსება როგორც კედლის ზემო, ასევე ქვემო (კედლის საძირკველში ჩამაგრების) ნაწილში (ანუ 2 იარუსად) [1] და შესრულებული იყო ზემოაღნიშნული ვარიანტების კონსტრუქციული გაანგარიშება.


წინამდებარე ნაშრომში შესრულებული გვაქს მათი ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება ლოკალურ-რესურსული სარჯთაღრიცხვების საფუძველზე.

## 2. ძირითადი ნაწილი

1. საწყისი მონაცემები განგარიშებისათვის.

საყრდენი კედლის სიმაღლე – 6მ; გრუნტის სახეობა – წყალნაჯერი ოსნარი ( $\varphi=23^\circ$ ); ჩანაყარი გრუნტის ზედაპირის დახრა -  $15^\circ$ , დორებითი დატვირთვა -  $0,5\delta/\theta^2$ ; გრუნტის დაწევა საყრდენ კედელზე –  $28^\circ$  ტ, ბეტონის კლასი – B20. გაანგარიშები შესრულებულია, როგორც წესი, საყრდენი კედლის 1 გრძივი მეტრისათვის.

2. ერთ იარუსად განთავსებული გრუნტულანგერებიანი საყრდენი კედელი. საყრდენი კედლის კონსტრუქციული სქემა ნახ. 1.




ნახ. 1. საყრდენი კედლის კონსტრუქციული სქემა

გრუნტული ანაკერი დახრილია პორიზონტის მიმართ  $15^\circ$ -იანი კუთხით. კედლის სტატიკური გაანგარიშების შედეგად (ნაშრომში არ მოგვაჭის) მიღებულია:

- ანკერის მჭიმში აღძრული ძალვის პორიზონტალური პროექცია  $N=9,7\delta$ ; მჭიმში აღძრული ძალვა  $N_l=10,0\delta$ ;
- მჭიმის სახით გამოყენებულია არმატურა Φ25A-III;
- მჭიმის საერთო სიგრძე – 8,4 მ; მასა 32,3კგ; ანკერის ფესვის დიამეტრი –  $0,55\delta$ ; სიგრძე –  $2,0\delta$ ; ფესვის მზიდუნარიანობა  $F=21,1\delta > 2N_l=2 \cdot 10=20,0\delta$ .


3. შემოთავაზებული, 2-იარუსად განთავსებული გრუნტულანგერებიანი საყრდენი კედელი. კედლის კონსტრუქციული სქემა მოცემულია ნახაზზე 2.



ნახ. 2. საყრდენის კედლის კონსტრუქციული სქემა

გრუნტული ანკერები განთავსებულია კედელებზე გრუნტის დაწნევის (E) მოდების წერტილიდან თანაბარ მანძილებზე. ასეთ შემთხვევაში მათში აღძრული გამჭიმავი ძალგების პორიტონტალური პროექცია ტოლი იქნება  $N=17,0\delta$ , ხოლო მჭიმებში აღძრული ძალვა  $14,5\delta$ .

ანკერები განთავსებულია 2 იარუსად, ბიჯით 1მ. მჭიმების დიამეტრი მიღებულია Φ28A-III. მათი სიგრძეებია: ქვედა იარუსის – 4,5δ, ზედა იარუსის – 8,9δ (ნახ. 3).



ნახ. 3. საყრდენ კედელში გრუნტული ანკერების განთავსება

გრუნტული ანკერების ფესვების მზიდუნარიანობა (ფესვის დიამეტრი  $0,6\delta$ , სიგრძე –  $2,5\delta$ ) ტოლია:  $F=28,8 \text{ } \delta \approx 2N_1=14,5 \cdot 2=29,0 \text{ t}$

4. ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შედარება.

მასალების ხარჯი ვარიანტების მიხედვით საყრდენი კედლების 10 გრძ. მეტრისათვის (ცხრილი 1).

#### ცხრილი 1. მასალების ხარჯი საყრდენი კედლების 10 გრძივი მეტრისათვის

| საყრდენი კედელი                         | ბეტონის<br>კლასი | მასალების ხარჯი         |                         |              |       |                 |              |
|---|------------------|-------------------------|-------------------------|--------------|-------|-----------------|--------------|
|   |                  | ბეტონი,<br>$\text{m}^3$ | დუღაბი,<br>$\text{m}^3$ | არმატურა, კგ |       |                 |              |
|   |                  |                         |                         | A-I          | A-III | A-III<br>ანკერ. | A-III<br>სულ |
| ერთიარუსად<br>განთავსებული<br>ანკერებით | B20              | 39,5                    | 9,4                     | 134          | 8161  | 477             | 8638         |
| ორ იარუსად<br>განთავსებული<br>ანკერებით | B20              | 23,3                    | 14                      | 166          | 2464  | 647             | 3111         |

ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომკური მაჩვენებლები გამოთვლილია ლოგისტურ-რესურსული ხარჯთაღიცხვების საფუძველზე (ხარჯთაღიცხვები №1 და №2), [2,3].

## ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღიცხვა №1

1-იარუსად განთავსებული გრუნტულანერებიანი საყრდენი კედლის 10 გრძივ მეტრზე საფუძველი: ცხრილი 1

შედგენილია 2017 წლის I კვარტლის ფასებში

ნორმატიული შრომატევადობა  $1694,83 : 4,6 = 368,44$  კაც. სთ.

**ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღიცხვა №2**  
**2-იარუსად განთავსებული გრუნტულანგერებიანი საყრდენი აედლის 10 გრძივ მეტრზე**  
**საფუძველი: ცხრილი 1**  
**შედგინილია 2017 წლის I კვარტლის ფასებში**

| №<br>№ | იმპერიუმის დანარჩენების ფასი<br>მასაზე გადამდებარებული ფასი | მასაზე გადამდებარებული ფასი                                | მასაზე გადამდებარებული ფასი | რაოდენობა                   |                             | ღირებულება,<br>ლარი         |                             |
|--------|---|--|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|
|        |   |  |                             | მასაზე გადამდებარებული ფასი | მასაზე გადამდებარებული ფასი | მასაზე გადამდებარებული ფასი | მასაზე გადამდებარებული ფასი |
| 1      | 6-11-11   | რკინაბეტონის<br>მონოლითური საყრდენი<br>აედლის მოწყობა      | 100 მ <sup>3</sup>          | -                           | 0,233                       | -                           | 8430,3                      |
|        |   | შრომის დანახარჯები   | კაც.სთ.                     | 684                         | 159,37                      | 4,6                         | 733,1                       |
|        |   | მანქანები  | მან                         | 121                         | 28,19                       | 3,2                         | 90,21                       |
|        | მ.1,1;3.10  | არმატურა -I  | ტ                           | -                           | 0,166                       | 1295,0                      | 214,97                      |
|        | მ.1,1;3.12  | არმატურა -III  | ტ                           | -                           | 3,111                       | 1272,0                      | 3957,19                     |
|        | მ.4,1;3.332   | ბეტონი 20  | მ <sup>3</sup>              | -                           | 23,3                        | 108,0                       | 2516,4                      |
|        | მ.5,1;3.138   | ყალიბის ფარები, 25 მმ                                      | მ <sup>2</sup>              | 118                         | 27,49                       | 13,0                        | 357,37                      |
|        | მ.5,1;3.22  | ფიცარი ჩამოგანული III ხ.<br>40 მმ                          | მ <sup>3</sup>              | 3,57                        | 0,83                        | 378,0                       | 313,74                      |
|        | მ.1,9;3.16  | სამშენებლო ჭანჭიკები                                       | ტ                           | 0,14                        | 0,03                        | 3000,0                      | 90,0                        |
|        | მ.1,9;3.14  | ელექტროდები 342  | ტ                           | 0,14                        | 0,03                        | 4300,0                      | 129,0                       |
|        |   | სხვა მასალები  | მან                         | 38                          | 8,85                        | 3,2                         | 28,32                       |
| 2      | 6-9-2   | გრუნტული ანგერების<br>მოწყობა -III კლასის<br>არმატურისაგან | 1 ტ                         | -                           | 0,647                       | -                           | 4627,58                     |
|        |   | შრომის დანახარჯები   | კაც.სთ.                     | 206                         | 133,28                      | 4,6                         | 613,09                      |
|        |   | მანქანები  | მან                         | 1,7                         | 1,1                         | 3,2                         | 3,52                        |
|        | მ.1,1;3.12  | არმატურა -I  | ტ                           | -                           | 0,647                       | 1272,0                      | 822,98                      |
|        | მ.1,9;3.16  | საანკერო ჭანჭიკები   | ტ                           | 1                           | 0,647                       | 3000,0                      | 1941,0                      |
|        |   | კონდუქტორის<br>ამორტიზაცია                                 | მან                         | 14                          | 9,06                        | 3,2                         | 28,99                       |
|        | მ.4,1;3.358   | დუღაბი მ 100   | მ <sup>3</sup>              | -                           | 14,0                        | 87,0                        | 1218,0                      |
|        |   | სულ 1-2 პოზიციების ჯამი                                    |                             |                             |                             |                             | 13057,88                    |
|        |   | მათ შორის ხელფასი  |                             |                             |                             |                             | 1346,19                     |

ნორმატიული შრომატევადობა: 1346,19:4,6=292,65 კაც.სთ.

განხილული ვარიანტების შედარებით ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.  
 შესრულებულია ცხრილში 2.

**ცხრილი 2. გარიანტების შედარებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი**

| საყრდენი<br>კადელი                                 | ტექნიკურ-<br>ეკონომიკური<br>მაჩვენებლების<br>მნიშვნელობა |                            | მაჩვენებლების %-ული<br>თანაფარდობა |           | სხვაობა %-ში |       | საპ.<br>% |
|--|--|----------------------------|------------------------------------|-----------|--------------|-------|-----------|
|  | ლირებულება,<br>ლარი                                      | ურომატებად<br>ობა კაც. ხო. | ლირებულება                         | ურომატება | ლირებულება   | ურობა |           |
| 1 იარუსად<br>განთავსებული<br>გრუნტული<br>ანკერებით | 21779,1  | 368,4                      | 100                                | 100       | -            | -     | 100       |
| 2 იარუსად<br>განთავსებული<br>გრუნტული<br>ანკერებით | 13057,9  | 292,7                      | 60,0                               | 79,5      | 40,0         | 20,5  | 30,3      |

**3. დასტვნა**

ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების საფუძველზე გამოვლინდა 2-იარუსად განთავსებული გრუნტულანკერებიანი რ/ბ მონოლითური საყრდენი კედლის უპირატესობა 1-იარუსად განთავსებულ გრუნტულანკერებიან საყრდენ კედლთან მიმართებაში. ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი შეადგენს დაახლოებით 30%-ს.

**ლიტერატურა**

- შ. ბაქანიძე, ბ. სურგულაძე, ქ. იაშვილი. ბუნებრივი კალთების მდგრადობის უზრუნველყოფა გრუნტულანკერებიანი რეინაბუტონის საყრდენი კედლებით. //მშენებლობა, №4(39), 2015, ობილისი, გვ. 6
- СниП IV.2.82. Сборник элементарных сметных норм на строительные конструкции и работы. -М. 1984, 233 с.
- მშენებლობის შემფასებელთა კავშირი. სამშენებლო რესურსების ფასები. (2017 წლის I კვარტლის დონეზე), ობილისი, 2017წ. გვ. 140

**SUMMARY**

**GROUND-ANCHORRETAINING WALLS FROM MONOLITHIC REINFORCED CONCRETE**

**Bakanidze Sh.T. and Zambakhidze L.I.**

**Georgian Technical University**

The paper discusses two versions of the design of ground-anchor retaining walls from monolithic reinforced concrete: anchors are arranged in the upper part of the wall, and anchors are arranged as in the upper part of the wall, so also in the lower part of the wall at the level of foundation. Based on the techno-economic design carried out, the advantageous design of the retaining wall was revealed.

**Keywords:** retaining wall, ground anchor, design, techno-economic indices.

## ტრადიციული სამრდენი გედლების პონსტშტციული გადაწყვეტილები

ბაქანიძე შ.ტ., ზამბახიძე ლ.ი.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 1. შესავალი

ტრადიციულ საყრდენ კედელთა შორის ფართოდ არის გავრცელებული მასიური (ქვის ან ბეტონის, ვერტიკალური ან დახრილი) და მონოლითური რკინაბეტონის კონსოლური კონსტრუქციული გადაწყვეტები.

მათი შერჩევა წარმოებს ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ურთიერთშედარების საფუძველზე.

ჩვენ მიერ, სხვა ტიპის საყრდენ კედლებთან ერთად, შესრულებულია ზემოაღნიშნული კედლების კონსტრუქციული გაანგარიშებები [1], სადაც განსაზღვრულია მასალების ხარჯი მათ მოწყობაზე.

წინამდებარე ნაშრომში, ლოკალურ-რესურსული ხაჯოდრიცხვების საფუძველზე, გაანგარიშებულია საყრდენი კედლების შესადარებელი ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები და შესრულებულია მათი შედარებითი ანალიზი.


გაანგარიშებები შესრულებულია შედარებით რთული გრუნტული პირობებისათვის, კერძოდ, წყალნაჯერი თიხნარებისათვის.

## 2. მიღითადი ნაწილი

1. საწყისი მონაცემები განგარიშებისათვის:


საყრდენი კედლის სიმაღლე – 6მ; გრუნტის ტიპი – წყალნაჯერი თიხნარი ( $\varphi=23^\circ$ ); ჩანაყარი გრუნტის ზედაპირის დახრა ჰორიზონტის მიმართ -  $15^\circ$ ; დროებითი დატვირთვა –  $0,5\text{G}/\text{მ}^2$ ; მასიური კედლის ქანობისათვის – 0,1; საყრდენ კედელის 1 გრძივ მეტრზე გრუნტის დაწნევა –  $28 \text{ kN}$ .

კონსტრუქციული განგარიშების შედეგად (ნაშრომში არ მოგვაქვს) მიღებული განსახილეველი საყრდენი კედლების გეომეტრიული სქემები მოცემულია შემდეგ ნახებზე: ბეტონის მასიური ვერტიკალური საყრდენი კედელი – ნახ.1, ბეტონის მასიური დახრილი საყრდენი კედელი – ნახ.2, მონოლითური რკინაბეტონის კონსოლური საყრდენი კედელი – ნახ.3, აღნიშნული კედლის დაარმატურება ნახ. 4.




ნახ. 1. მასიური ვერტიკალური  
საყრდენი კედელი

ნახ. 2. მასიური დახრილი საყრდენი კედელი



ნახ. 3. მონოლითური რეზინაბეტონის კონსოლური საყრდენი კედელი



ნახ. 4. საყრდენი კედლის დაარმატურება

მასალების ხარჯი საყრდენი კედლების 10 გრძივი მეტრისათვის მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. მასალების ხარჯი საყრდენი კედლების 10 გრძივი მეტრისათვის

| საყრდენი კედლის ტიპი               | ბეტონი, $\text{მ}^3$ |      | არმატურა, ტ |       |
|------------------------------------|----------------------|------|-------------|-------|
|                                    | B7,5                 | B20  | A-I         | A-III |
| ბეტონის, მასიური ვერტიკალური       | 326,7                | -    | -           | -     |
| ბეტონის, მასიური დახრილი           | 314,0                | -    | -           | -     |
| რეზინაბეტონის მონოლითური კონსოლური | -                    | 54,8 | 0,178       | 7,525 |

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღიცხვა №1.ბეტონის მასიური, ვერტიკალური საყრდენი კედლის მოწყობა. საფუძველი: ცხრილი 1

შედგენილია 2017 წლის I კვარტლის ფასებში

| ნორმატივის<br>ნომერი<br>და<br>შიფრი | სამუშაოების და<br>დანახარჯების<br>დასახელება | საზომი<br>ერთეული | რაოდენობა                    |          | ღირებულება, ლარი |          |
|-------------------------------------|--|-------------------|------------------------------|----------|------------------|----------|
|                                     |  |                   | ნორმატი-<br>ული<br>ერთეულები | პროექტით | ერთეულები        | სულ      |
| 6-11-1                              | ბეტონის ვერტიკალური საყრდენი კედლის მოწყობა  | 100 $\text{მ}^3$  | -                            | 3,267    | -                | 41402,93 |
|                                     | შრომის დანახარჯები                           | კაც.სთ.           | 281                          | 918,0    | 4,6              | 4222,8   |
|                                     | მანქანები                                    | მან               | 33,0                         | 107,8    | 3,2              | 344,96   |
| თ.141;3.328                         | ბეტონი B-7,5 (გ 100)                         | $\text{მ}^3$      | 102,0                        | 333,2    | 92,0             | 30654,4  |
| თ.5.1;3.138                         | კალიბის ფარები, 25 მმ                        | $\text{მ}^2$      | 71,1                         | 234,2    | 13,0             | 3044,6   |
| თ.5.1;3.37                          | ბელები III 6, 40-60 მმ                       | $\text{მ}^3$      | 0,13                         | 0,425    | 490,0            | 208,25   |
| თ.5.1;3.22                          | ფიცარი ჩამოგანებელი III 6 40 მმ და მეტი      | $\text{მ}^3$      | 1,52                         | 4,97     | 378,0            | 1878,66  |
| თ.1.9;3.16                          | სამშენებლო ჭანჭიები                          | ტ                 | 0,09                         | 0,294    | 3000,0           | 882,0    |
|                                     | სხვა მასალები                                | მან               | 16                           | 52,27    | 3,2              | 167,26   |
|                                     | სულ  |                   |                              |          | 41402,93         |          |
|                                     | მათ შორის ხელფასი                            |                   |                              |          | 4222,8           |          |

ნორმატიული შრომატეგადობა  $4222,8 \cdot 4,6 = 918,0$  კაც.სთ.

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღიცხვა №2. ბეტონის მასიური, დახრილი საყრდენი კედლის მოწყობა. საფუძველი: ცხრილი 1.შედგენილია 2017 წლის I კვარტლის ფასებში

| ნორმატივის<br>ნომერი და<br>შიფრი | სამუშაოების<br>და<br>დანახარჯების<br>დასახელება         | საზომი<br>ერთეული  | რაოდენობა              |          | ღირებულება, ლარი |          |
|----------------------------------|---|--------------------|------------------------|----------|------------------|----------|
|                                  |   |                    | ნორმატიული<br>ერთეულზე | პროექტით | ერთ-<br>ლზე      | სულ      |
| 6-11-1                           | ბეტონის<br>გერტიკალური<br>საყრდენი<br>კედლის<br>მოწყობა | 100 მ <sup>3</sup> | -                      | 3,14     | -                | 39770,93 |
|                                  | შრომის<br>დანახარჯები                                   | კაც.სთ.            | 281                    | 882,34   | 4,6              | 4058,76  |
|                                  | მანქანები   | მან                | 33,0                   | 103,62   | 3,2              | 331,58   |
| თ.141;3.328                      | ბეტონი B-7,5<br>(მ 100)                                 | მ <sup>3</sup>     | 102,0                  | 320,28   | 92,0             | 29440,0  |
| თ.5.1;3.138                      | ფალიბის<br>ფარები, 25 მმ                                | მ <sup>2</sup>     | 71,1                   | 225,14   | 13,0             | 2926,82  |
| თ.5.1;3.37                       | ძელები III 6,<br>40-60 მმ                               | მ <sup>3</sup>     | 0,13                   | 0,41     | 490,0            | 200,9    |
| თ.5.1;3.22                       | ფიცარი<br>ჩამოგანეული<br>III6 40 მმ და<br>მეტი          | მ <sup>3</sup>     | 1,52                   | 4,77     | 378,0            | 1803,1   |
| თ.1.9;3.16                       | სამშენებლო<br>ჭანჭიკები                                 | ტ                  | 0,09                   | 0,283    | 3000,0           | 849,0    |
|                                  | სხვა მასალები   | მან                | 16                     | 50,24    | 3,2              | 160,77   |
|                                  | სულ   |                    |                        |          |                  | 39770,93 |
|                                  | მათ შორის<br>ხელფასი                                    |                    |                        |          |                  | 4058,76  |

ნორმატიული შრომატევადობა  $4058,76:4,6=882,34$  კაც.სთ.

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღიცხვა №3. მონოლითურ რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა. საფუძველი: ცხრილი 1. შედგენილია 2017 წლის I კვარტლის ფასებში

| ნორმატივის<br>ნომერი და<br>შიფრი | სამუშაოების<br>და<br>დანახარჯების<br>დასახელება         | საზომი<br>ერთეული  | რაოდენობა                    |          | ღირებულება, ლარი |          |
|----------------------------------|---|--------------------|------------------------------|----------|------------------|----------|
|                                  |   |                    | ნორმატიული<br>და<br>ერთეულზე | პროექტით | ერთ-<br>ლზე      | სულ      |
| 6-11-1                           | ბეტონის<br>გერტიკალური<br>საყრდენი<br>კედლის<br>მოწყობა | 100 მ <sup>3</sup> | -                            | 0,548    | -                | 19781,04 |
|                                  | შრომის<br>დანახარჯები                                   | კაც.სთ.            | 684,0                        | 374,8    | 4,6              | 1724,08  |
|                                  | მანქანები   | მან                | 121,0                        | 66,3     | 3,2              | 212,16   |
| თ.1.1;3.10                       | არმატურა A-I  | ტ                  | -                            | 0,178    | 1295,0           | 230,51   |
| თ.1.1;3.12                       | არმატურა A-III  | ტ                  | -                            | 7,525    | 1272,0           | 9571,8   |

|             |  |           |       |       |       |          |
|-------------|--|-----------|-------|-------|-------|----------|
| თ.4,1;3.332 | ბეტონი B20                                       | $\beta^3$ | 101,5 | 55,62 | 108,0 | 6006,96  |
| თ.5,1;3.138 | ყალიბის<br>ფარგლი, 25 მმ                         | $\beta^2$ | 118,0 | 64,66 | 13,0  | 840,58   |
| თ.5,1;3.37  | ძლიერი III 6, 40-60 მმ                           | $\beta^3$ | 0,21  | 0,115 | 490,0 | 56,35    |
| თ.5,1;3.32  | ფიცარი<br>ჩამოგანული III<br>6-1 40 მმ და<br>მეტი | $\beta^3$ | 3,57  | 1,96  | 378,0 | 740,88   |
| თ.1,9;3.14  | ძლევებროდები<br>342                              | $\delta$  | 0,14  | 0,077 | 4300  | 331,1    |
|             | სხვა მასალები                                    | მან       | 38,0  | 20,82 | 3,2   | 66,62    |
|             | სულ  |           |       |       |       | 19781,04 |
|             | მათ შორის<br>ხელფასი                             |           |       |       |       | 1724,08  |

ნორმატიული შრომატევადობა  $1724,08 \cdot 4,6 = 374,8$  კაც.სთ.

#### ცხრილი 2.საყრდენი კედლების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების შედარებითი ანალიზი

| საყრდენი<br>კედლები               | ტექნიკურ-ეკონომიკური<br>პარამეტრების მნიშვნელობა | პარამეტრების<br>თანაფარდობა |                              | %-%-ული | საშ.<br>% | სხვაო<br>ბა %-%<br>ში |
|-----------------------------------|--|-----------------------------|------------------------------|---------|-----------|-----------------------|
|                                   |  | თვითდირებულება, ლარი        | შრომატევა-<br>დობა, კაც. სთ. |         |           |                       |
| ბეტონის<br>მასიური<br>კერტიკალური | 41402,9  | 918,0                       | 100                          | 100     | 100       | -                     |
| ბეტონის,<br>მასიური,<br>დახრილი   | 39770,9  | 882,3                       | 96,1                         | 96,0    | 96        | 4                     |
| მონოლითური,<br>რკინაბეტონის       | 19781,0  | 374,8                       | 47,8                         | 40,8    | 44,3      | 55,7                  |

### 3. დასტვნა

ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მონოლითური რკინაბეტონის კონსოლური საყრდენი კედლის უპირატესობა ბეტონის მასიურ საყრდენ კედებთან მიმართებაში აშენაა. კერძოდ, მასიურ კერტიკალურ კედელთან მიმართებაში იგი შეადგენს 55,7%-ს, ხოლო მასიურ დახრილ კედელთან მიმართებაში – 51,7%-ს.

#### ლიტერატურა

1. გ. ლოლაძე, შ. ბაქანიძე, ნ. მსხვილაძე, ვ. პირმისაშვილი, თ. თავაძე. ბუნებრივი კალთების და მიწის ნაგებობების ფერდოვების მდგრადობის უზრუნველყოფის ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტები, (მოხვევა), თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2013, 115 გვ.
2. СниП IV.2.82. Сборник элементарных сметных норм на строительные конструкции и работы. М. 1984, стр. 233,
3. მშენებლობის შემფასებელთა კავშირი. სამშენებლო რესურსების ფასები. (2017 წლის I კვარტლის დონეზე), თბილისი, 2017, 140 გვ.

#### SUMMARY

#### DESIGN OF TRADITIONAL RETAINING WALLS

Bakanidze Sh.T. and Zambakhidze L.I.

Georgian Technical University

The paper considers three versions of the design of retaining walls: concrete, massive concrete vertical, massive concrete angled and monolithic reinforced concrete cantilever. Based on the techno-economic design carried out, the advantageous design of the retaining wall was revealed.

**Keywords:** retaining wall, design, techno-economic indices.

## საქართველოს განსახლების სისტემა მოდერნიზაციის მოლოდინი

გვენცაძე ნ.ა., ჩხეიძე ნ.ა.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


დღეს უკვე ცხადია, რომ ქალაქების მოდერნიზაციისა და მათი მდგრადი კარგასის ჩამოყალიბების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნისა და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცით-ტერიტორიული განვითარება. შემთხვევითი არა არის, რომ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა მსოფლიო ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურბანიზაციის პროცესების ხადასხვა ასპექტებს. ეს თქმა ყოველთვის ძალზე აქტუალური იყო, ხოლო მიმდინარე ეტაპზე საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტებს შორის მოქმედი, რადგანაც ქვეყნის განვითარებისა და მოდერნიზაციის ცენტრების როლს სწორედ ქალაქები ასრულებენ, თუმცა სხვადასხვა დონით და ზრდის სხვადასხვა ხარისხით.

საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც დედაქალაქების როლი განუზომდად დიდია ნაციონალური ეკონომიკის, სოციალური, კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ცენტრისკენული შიდამიგრაციული პროცესების შედეგად მკაფიოდ გამოკვეთილი დემოგრაფიული ასიმეტრიულობა. ამაზე მეტყველებს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო ეროვნული აღწერის მონაცემებიც, რომლებმაც საქართველოს დედაქალაქი - თბილისში დააფიქსირა ქვეყნის მოსახლეობის 30,0%. ამასთან საგულისხმოა, რომ თბილისი მოსახლეობის რიცხოვნობით (1 108 717 კაცი) 7,2-ჯერ უსწრებს სიდიდით მეორე ქალაქს - ბათუმს (154 100 კაცი), რომელმაც, თავის მხრივ, გაუსწრო ქუთაისს (147 635 კაცი). ამას ემატება საქართველოს განსახლების სისტემის სტრუქტურაში მექერი საქალაქო ქსელი, მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე, მოშლილი ეკონომიკური სისტემა და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ქალაქები კულტურის დაბალი დონე. ამგვარი მონაცემებით ქვეყანა ვერ ახდენს განსახლების სისტემის განვითარების მრავალმხრივი პრობლემატიკის დაძლევას - მისი სრულყოფის, მოქნილობის, რესურსების ამოქმედების და მდგრადობის მიღწევის თვალსაზრისით.

საქართველოს განსახლების სისტემის დღვევანდელი მდგომარეობა განპირობებულია გარამეული ობიექტებით თუ სუბიექტებით მიზეზების გამო. აღსანიშნავია, რომ დასახლებათა განვითარებამ საქართველოში ევროუციის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გაიარა. აქ უდიდესი მნიშვნელობა პქონდა ქვეყნის ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს. გეომორფოლოგიური, კლიმატური, თუ ჰიდროგრაფიული სპეციფიკიდან გამომდინარე დასახლებათა უმეტესობა აღმოცენდა მთისა და ბარის დამაკავშირებელ ბუნებრივ სასიცოცხლო საკომუნიკაციო არტერიების გასწვრივ და სივრცობრივად შექმნა განსახლების ერთიანი სისტემა. ეს სისტემა დროთა განმავლობაში ძლიერდებოდა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის შედეგად მართული ურბანიზაციის პროცესით და XX საუკუნის 20-30 წლებში არსებული ფრაგმენტულ დასახლებათა სივრციდან გარდაიქმნა მჭიდროდ დასახლებულ სივრცეებად - ქალაქებად, დაბებად, სოფლებად. საქართველოში ინდუსტრიულ დასახლებათა მშენებლობა დასრულდა გასული საუკუნის 70-იან წლებში (რუკა) [1].

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში განსახლების სისტემაში განხდნენ ე.წ. „ქალაქები“. თუმცა, წარმოებებისა თუ ფაბრიკა-ქარხნების ბაზაზე აღმოცენებული ეს დასახლებები თავისი არსით არ წარმოადგენდნენ ქალაქებს - გარემოსა და ცხოვრების ხარისხი, რისოვისაც ადამიანები ყოველთვის მისტრაფოდნენ ქალაქებში საცხოვრებლად, იქ არ იყო შექმნილი. ცხადია, ამ პირობებში, შიდა მიგრაცია სოფლებიდან ინდუსტრიულ ქალაქებში ხელოვნურ პროცესს წარმოადგენდა.

ამასთან, სივრცითი განვითარების მიმართულებისა და დასახლებათა კონცენტრაციის თვალსაზრისით, ძირითადად, გაძლიერდა აღმოსავლეთ-დასავლეთის განსახლების დერძი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციური დატვირთების მხრივ განსახლების ეს დერძი ფაქტობრივად ერთადერთია, რაც წარმოადგენს საქართველოს განსახლების არსებული სისტემის ერთ-ერთ მოწყვლად თვისებას.



საქართველოს განსახლების სისტემა 1926 და 1970 წლებისათვის

90-იანი წლებიდან, საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსის შედეგად, ამგვარი ქალაქები დეპრესიამ მოიცვა, მოიშალა საქალაქო ეკონომიკა, განადგურდა ინფრასტრუქტურა, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. დღეს ამ კატეგორიის ქალაქები სოციო-კულტურული ოუ ეკონომიკური გარემოს თვალსაზრისით უფრო მსხვილი სოფლებია, ვიდრე მცირე ქალაქები. მათი არამიმზიდველობის კარგი ინდიკატორია შიდამიგრაციული ნაკადების პოლარიზებული სტრუქტურა - სოფლებიდან პირდაპირ უმსხვილეს საქალაქო ცენტრებში (განსაკუთრებით დედაქალაქში), მცირე ქალაქების, როგორც განსახლების სისტემის ერთ-ერთი შუალედური რგოლის გვერდის ავლით. შედეგად მივიღეთ ჰიპერტოფირებული დედაქალაქი და დაცლილი, დაბერებული დასახლებები, რომლებიც სამწუხაოდ დღესაც განიცდიან დეპოზიტობიას. საქმე იმაშია, რომ მცირე და საშუალო ქალაქები დემოგრაფიული რესურსებისათვის ბრძოლაში კონკურენციას ვერ უწევს მსხვილ ქალაქებს, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდში მათი უმრავლესობა იქმნებოდა ეკონომიკური და სივრცითი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, საბჭოთა მმართველობის გარკვეული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე „ქალაქის“ სტატუსის მინიჭების გზით.

საბჭოეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობდა მეტად საინტერესო თეორიებისა და მოდელების ჩამოყალიბების ეტაპი, რომლებიც წარმოადგენდნენ სივრცითი განვითარების თეორიულ საფუძვლებს. ისინი ძირითადად ეფუძნებოდნენ მანძილის ფაქტორს, ქალაქების ზომებს, გასაღების ბაზრებთან და ნედლეულის მოპოვების ადგილებთან სიახლოვეს. ესენია, ტიუნენის მოდელები, კრისტალერის „ცენტრალური ადგილების“ თეორია; ვებერის მრეწველობის განლაგების მოდელები; ფრანსუა პერეს „ზრდის წერტილების“ თეორია და ა.შ.

1970-იან წლებში გახდა ცხადი, რომ „ზრდის ცენტრების“ ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. ისინი ფაქტორივად ვერ ვითარდებიან იმ ადგილებში რომლებსაც არ გააჩნიათ რეალური კონკურენტული უპირატესობები. ამავე პერიოდში გაჩნდნენ თეორიები, რომლებიც სსნიდნენ სივრცითი უთანობრობის ობიექტურობასაც.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან რეგიონულ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა მდგრადი კონსესუსი სივრცითი განვითარების მთავარ თავისებურებასთან დაკავშირებით - სივრცითი განვითარება არ შეიძლება იყოს თანაბარი. ამგვარი მიდგომა წარმოდგენილია ორ ძირითად თეორიულ კონცეფციაში.

პირველია ჯ. ფრიდმანის ცენტრალური ფერიულ მოდელი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის არსებობენ ცენტრები და პერიფერიები. მათ შორის არსებობს უფრო მოქნილი ზონა - ნახევრად პერიფერია. სხვადასხვა დონის ურბანული ცენტრები ყოველთვის იზიდავენ რესურსებს (ადამიანურს, ფინანსურს, ბუნებრივ) თავისი პერიფერიიდან. სწორედ რესურსების კონცენტრაცია იძლევა თვით ცენტრების ინოვაციური ცვლილებების შესაძლებლობებს. ამის შემდეგ ხდება ინოვაციების ტრანსლირება უკან პერიფერიაზე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, რომელიც დამოკიდებულია ინოვაციების მოძრაობის გზაზე წარმოქმნილ ბარიერებზე. ეს მოდელი მუშაობს ყველა დონეზე - მსოფლიო ქალაქებიდან და მსხვილი აგლომერაციებიდან დაწყებული ვიდრე რეგიონულ თუ ადგილობრივ ცენტრებამდე [2].

ცენტრალური ფერიული მოდელი უჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქალაქები ქვეყნის განვითარებაში. ამავე დროს, სუსტადგანვითარებული

და რესურსულად შეზღუდული ქალაქები გარდაუვალად ხდებიან განვითარების შემაფერხებლები.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მხოლოდ თბილისი იზიდავდა რესურსებს და მაქსიმალურად ახდენდა მათ კონცენტრაციას, მაგრამ პერიფერიაზე ინოვაციების, ინვესტიციების სახით დაბრუნებას ვედარ ახერხებდა. თბილისი ვითარდებოდა თავის თავში ქვეყნისგან დამოუკიდებლად. უკუკავშირთან დაკავშირებული პრობლემები არის ქვეყნის მთლიანობასთან და ერთგვაროვნებასთან დაკავშირებული რისკები. ეს მოდელი უნდა მუშაობდეს ორივე მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა ატარებდეს ინოვაციური პროცესების სიღრმისეული განვითარების პოლიტიკას. ამ შემთხვევაში სისტემა ასე თუ ისე ნორმალურად იფუნქციონირებს.

ამ მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ გარკვეული სტრუქტურული თუ ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში შესაძლებელია ნახევრად პერიფერიები გარდაიქმნან ახალ ურბანულ ცენტრებად და აქედან გამომდინარე შეცვალონ ცენტრების ადგილმდებარეობა. პერიფერიას ამის შესაძლებლობები არა აქვს არასაქმარისი კონკურენტული უპირატესობების გამო.

მეორე თეორია, რომელიც ორიენტირებული იყო სივრცით განვითარებაზე განხდა გასული საუკუნის 90-იან წლებში „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“ ფარგლებში. თეორია შექმნეს ნობელის პრემიის ლაურეატმა პ. კრუგმანმა, მ. ფუჯიტამ და პ. ვენაბლსმა. მათ შეძლეს აეხსნათ ურბანისტიკაში ეკონომიკური სფეროს სივრცითი კონცენტრაცია მათემატიკური მოდელების დახმარებით. დამტკიცებული იყო, რომ სივრცე ყოველთვის ვითარდება არათანაბრად, იმის გამო, რომ განვითარება დაფუძნებულია კონკურენტულ უპირატესობებზე. ამ უპირატესობებს შორის პ. კრუგმანმა გამოყო განვითარების ფაქტორთა სისტემა, რომელიც დაჭყო თო ჯგუფად:

1. „პირველადი ბუნების“ ფაქტორები - ეს არის მდიდარი ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა - ხელსაყრელი ან არახელსაყრელი. ეს ფაქტორები არ არის შექმნილი ადამიანის მიერ;

2. „მეორადი ბუნების“ ფაქტორები - აგლომერაციული უფასტი (კონცენტრაციის უპირატესობა (მასშტაბის ეფექტი) და მრავალფეროვნება), ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები (ნორმები და წესები, რომლელთა მიხედვითაც ცხოვრობს საზოგადოება). მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეუშალონ განვითარებას. პოსტსაბჭოთა ეკონომისტ-რეგიონალისტები ამ ფაქტორებს უმატებენ მეოთხე კომპონენტსაც, რაც სრულიად სამართლიანია, ეს არის ინფრასტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს და რომლის გარეშედაც წარმოუდგენელია სივრცის განვითარება/მოდერნიზაცია. „მეორადი ბუნების“ ფაქტორები შექმნილია ადამიანების მიერ.

„პირველადი ბუნების“ ფაქტორები, ძირითადად, ღომინირებენ განვითარების ინდუსტრიულ სტადიაზე, ხოლო „მეორადი ბუნების“ - პოსტინდუსტრიული განვითარების სტადიაზე. ეს უკანასკნელი თამაშობს საკვანძო როლს მოდერნიზაციაში [3].

2009 წლის მსოფლიო ბანკის მოხსენებაში „მსოფლიოს განვითარების შესახებ“ ნაჩვენებია, რომ სივრცითი უთანაბრობა და აქედან გამომდინარე თანამედროვე მსოფლიოში მოდერნიზაციის პირობები ფორმირდება სამი საბაზისო ფაქტორის გავლენით:

- Density - სიმჭიდროვე (მოსახლეობის სივრცითი კონცენტრაცია და მასშტაბის ეფექტი)/აგლომერაციული ეფექტი;
- Distance - ეკონომიკური დაცილება (სატრანსპორტო დანახარჯები), განპირობებული გეოგრაფიული მდებარეობით, დაცილებით გლობალური და ქვეყნებსშორისი ბაზრებიდან, სატრანსპორტო დანახარჯებით მთლიანობაში;
- Division - ბარიერები (ინსტიტუციური, მათ შორის სხვადასხვა სახის საზღვრები ნაციონალური, რეგიონული, ლოკალური), რომლებიც ხელს უშლიან ტკირთების, მომსახურების, ინოვაციების თავისუფალ მოძრაობას [4].

მოდერნიზაცია მიმდინარეობს იქ სადაც უკეთესი პირობებია ინოვაციების დიფუზიისათვის, ანუ იქ სადაც უფრო მაღალია მოსახლეობის კონცენტრაცია და მისი ხარისხი, სადაც უფრო განვითარებულია ინფრასტრუქტურა და ნაკლებია ეკონომიკური დაცილება, სადაც დაბალია ინსტიტუციური დაბრკოლებები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მოდერნიზაციის კონტექსტში სივრცითი განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს წარმოადგენენ ისინი, რომლებიც აუმჯობესებენ ინოვაციების გავრცელების პირობებს სივრცეში. ეს მიმართულებებია:

- ქალაქ-ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ქმნიან ინოვაციებს და ახდენენ მათ ტრანსლირებას პერიფერიაზე;
- ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს „ეკონომიკური დაშორების“ შემცირებას;
- „მეორადი ბუნების“ ფაქტორების გაუმჯობესება (ადამიანური კაპიტალისა და ინსტიტუტების).

ყველაფერი ზემოთ აღნიშვნული სახელმწიფოს ძალაუფლებისა და საზოგადოების ხელშია, მაგრამ საჭიროებს უზარმაზარ რესურსებსა და ხანგრძლივ ძალისხმევას.

ამ კონტექსტში საინტერესოა იმის ანალიზი თუ როგორია საქართველოში მოდერნიზაციის პირობები და რაზე უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კონცენტრაციის ზონები; როგორ არიან საქართველოში მოწყობილი ტერიტორიული და რაზე უნდა გამდენად ასრულებენ ქვეყნის რეპრეზენტაციის ფუნქციას და გამოდიან ერთგვარ ლოკომოტივებად, რომლებსაც მიჰყება სხვა ტერიტორიებიც. ლიდერების ქვეშ იგულისხმება ურბანიზირებული ტერიტორიები და საქალაქო აგლომერაციები, საქალაქო სისტემები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში დაცილებულია ერთმანეთისაგან. ამჟამად ამას ერგებიან მადალჩქაროსნული მაგისტრალური სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოხერხებულ სატრანსპორტო ხელმისაწვდომობას გადაადგილების განსხვავებული კონფორტით და ახალი კომუნიკაციის ტემპით. სხვა საკითხია როგორ არიან ეს ცენტრები დაკავშირებული გლობალურ სამყაროსთან.

ამ მხრივ საქართველოში გამოკვეთილია ქ. თბილისი და მისი აგლომერაცია, ქ. ქუთაისი და ქ. ბათუმი. გლობალურ სამყაროსთან ისინი დაკავშირებულები არიან საპორტო სისტემების საშუალებებით, რომელიც ფარავს ამა თუ იმ მიმართულებას; პერსაექტივაში ჩაერთვება ანაკლის პორტიც, რომელიც დამატებით იმპულსებს და პერსაექტივებს მოუტანს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური თუ სივრცითი განვითარების თვალსაზრისით. საკომუნიკაციო საშუალებებს შორისაა რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტი, მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალურია, თუ საქმე ეხება ტვირთვადაზიდვებს. საქართველოს ქალაქების ერთმანეთთან უმოკლეს დროში დასაკავშირებლად მიმდინარეობს თბილისი-ქუთაისი-ბათუმი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, მოდერნიზაცია უტარდება საქართველოს რკინიგზასაც.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ამ საყრდენი, წამყვანი წერტილების სპეციალიზაცია. ცხადია, რომ ჩვენ გვაქვს რეგიონების დიფერენცირებული ფუნქციები: ეს არის დედაქალაქი და პორტები, სადაც დედაქალაქი წარმოდგენილია ადმინისტრაციული და ფინანსური ფუნქციებით. თუმცა ადმინისტრაციული ფუნქციების გადანაწილება მიმდინარეობს სხვა ქალაქებშიც - კერძოდ ქუთაისში. პორტები ეს არის ლოგისტიკა, ტვირთების დასაწყობება, მათი დახარისხება. სასაწყობო მეურნეობასთან ერთად ინფრამაციული, კომუნიკაციური, მარკეტინგული, სადაზღვევო, საბაჟო, საგაჭრო-საშუალებლო და სხვა თანხმები სერვისული მომსახურების ინფრასტრუქტურის მაქსიმალური კონცენტრაცია. ამგვარი ქალაქებია ბათუმი და ფოთი. თბილისი, ქუთაისი და ბათუმი ასევე წარმოადგენენ ინსტიტუტებისა და კვლევების კონცენტრაციის ზონებს. დასაკლევთ საქართველოში ამაზე სპეციალიზდება ქუთაისი, სადაც უახლოვეს მომავალში დაგეგმილია საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა. ასევე, გამოვლენილია რეგიონები ლიდერები აგრძელების განვითარების კუთხით - სამეცნიერო, იმერეთი, შიდა ქართლი, აჭარა, კახეთი.

ამასთანავე, არსებობენ ტერიტორიები რომლებიც ასრულებენ რეკრეაციულ ფუნქციებს. მიმდინარეობს სერიოზული ინვესტიციები ამ მიმართულების განვითარებისათვის, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ასევე ბიზნეს სექტორის მხრიდან. ტურისტული ზონების სივრცით-გეგმარებითი განვითარების მიმართულებებში ჩართულები არიან უცხოელი კომპანიები, აქტიურად მიმდინარეობს სივრცითი განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება. ამგვარი აქტივობები ძალზე მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ტურისტულ სარეკრეაციო ფუნქციის გარკვეულ

კონკურენტუნარიან დონეზე აყვანა. ამ კონტექსტში გამოკვეთილია გუდაური, ბაკუ-რიანი, მესტია, გოდერი, შეკვეთილი და ა.შ.

სივრცითი განვითარების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს წამოადგენს მოსახლეობის სივრცითი პოლარიზაცია ურბანიზირებულ და არაურბანიზირებულ ტერიტორიებში, ანუ მოდერნიზაციისა და დეგრადაციის ზონებში. ადამიანური კაპიტალის დეფიციტი რეალურად ხელს უშლის სივრცით მოდერნიზაციას და ქვეყნის განვითარების ერთერთი შემაფერხებელი ფაქტორია. ამ კონტექსტში, ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური უთანაბრობის შერბილება, რათა ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მოხდეს ადამიანური კაპიტალის გაზრდა. იქ სადაც სოციალური უთანაბრობა დიდია სოციალური პრობლემები კიდევ უფრო მძაფრდება და მცირდება ადამიანური კაპიტალი. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა აფართოვებს არჩევანის შესაძლებლობებს და ხელს უშეობს მოსახლეობის მობილურობის ზრდას, იმ ადგილებში სადაც სამუშაოა და მაღალია შემოსავლები.

დღეს მრავალი ქვეყნის ურბანული განვითარების პოლიტიკა მიმართულია მოსახლეობის მობილურობის ხელშეწყობაზე, ანუ ადამიანთა კონცენტრაციაზე მსხვილ ქალაქებში. არსებობს დილემა ამ ტრენდის სტიმულირებასა და ბრძოლასთან დაკავშირებით.

საქე იმაშია, რომ ამგვარი პროცესების მართვა დემოკრატიულ ქვეყნებში ძალზე რთულია. ქვეყნის მთავრობებს არ შეუძლიათ ამის აკრძალვა. და თუ არსებობს ეკონომიკური განსხვავებულობა ტერიტორიებს შორის და არსებობენ მობილური, ეკონომიკური პოტენციალის მიმართულებით მოძრავი ადამიანები, ისინი მაინც კონცენტრირდებიან ურბანიზირებულ ტერიტორიებზე. ადამიანები შესაძლოა დასახლდნენ უარეს გარემოში, მაგრამ იქ სადაც არის სამუშაო ადგილები, იქ სადაც მეტი პერსონაქტივებია და კონცენტრირებულია განვითარება. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას რომ პროცესმა უნდა მიიღოს აბსოლუტურად სტიქიური ხასიათი. როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე უნდა მიმდინარეობდეს ამ პროცესის რეგულირება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ზრდა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა არ შეიძლება იყოს რეგიონული სოციალური უთანაბრობის შერბილების ერთადერთი ორიენტირები, მათ უნდა თან სდევდეს ცხოვრების დონის პოზიტიური ცვლილებები.

მთლიანობაში ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას რომ საქართველოში იქნება ერთი მეგა რეგიონი და ორი მსხვილი ურბანული ლაქა დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ძირითადი დისტრიბუტიური განაშენიანების რეგულირებითა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებით როგორმე უნდა მოიხსნას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საქართველოში გამოიკვეტა ზრდის ცენტრების ანუ მოსახლეობის კონცენტრაციის 3 ტიპი. ესენია:

1. საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მისი აგლომერაცია. მძლავრი ურბანული ცენტრი, რომლის ეკონომიკური გავლენა მთელს ქვეყანაზე ვრცელდება;

2. ორი თვითმმართველი ქალაქი, რომლებიც ამავდროულად ითავსებენ რეგიონების აღმინისტრაციული ცენტრების ფუნქციებსაც. მათ შორისაა აჭარის ა.რ. დედაქალაქი - თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (152839 კაცი), იმერეთის რეგიონის აღმინისტრაციული ცენტრი - თვითმმართველი ქალაქები ქუთაისი (147635 კაცი). ამ ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით თანაბარია. თბილისსა და ამ ცენტრებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობა ჯერ კიდევ ძალზედ დიდია;

3. რეგიონული ქალაქ-ცენტრები, რომლებსაც ასევე მინიჭებული აქვთ თვითმმართველი ქალაქების სტატუსი. ესენია 6 რეგიონული ცენტრი - გორი, ზუგდიდი, ფოთი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი, ამბროლაური. ამ შემთხვევაში მოსახლეობის რიცხოვნობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს - ასეთია აღმინისტრაციული სტატუსის გავლენის ძალა. ამასთან, ისინი, სტატისტიკურად, ბოლო წლების განმავლობაში აჩვენებენ თვითგადარჩენის უკეთეს თვისებებს. ამ ქალაქებს აქვთ შესაძლებლობა მოდერნიზაციის მიპულსების ტრანსლირებისა უფრო მცირე ქალაქებსა და პერიფერიაზე, თუმცა მათი გავლენის ზონები ვერ გავრცელდებიან ქვეყნის მთელ ტრიორიაზე. მათი სიღიდე არასაკმარია (ცხრილი).

უდავოა, რომ ქვეყნის განსახლების სისტემის მდგრადი, გაწონასწორებული კარგასის ფორმირება მხოლოდ ჩამოთვლილი სამი ტიპის ქალაქ-ცენტრების ხარჯზე შეუძლებელი იქნება. შესაბამისად აუცილებელია ახალი ურბანული ცენტრების გამოვლენა და მათი განვითარება.

| №  | ქაღაქი     | მოსახლეობა კაცი | ფართობი, კმ <sup>2</sup> | სიმჭიდროვე კაცი/კმ <sup>2</sup> |
|----|------------|-----------------|--------------------------|---------------------------------|
| 1  | თბილისი    | 1 108 717       | 720                      | 3 194,38                        |
| 2  | ბათუმი     | 152 839         |                          | 7 293,8                         |
| 3  | ქუთაისი    | 147 635         | 70                       | 2109                            |
| 4  | რუსთავი    | 125 103         | 60                       | 2085                            |
| 5  | გორი       | 48 143          | 16.8                     | 2857                            |
| 6  | ზუგდიდი    | 42 998          | 18.8                     | 2287                            |
| 7  | ფოთი       | 41 465          | 65.8                     | 716.6                           |
| 8  | თელავი     | 19 629          | 16.85                    | 1293                            |
| 9  | ახალციხე   | 17 903          | 4.2                      | 4262                            |
| 10 | ოზურგეთი   | 14 785          | 30                       | 687                             |
| 11 | მცხეთა     | 7 940           | 8.05                     | 986                             |
| 12 | ამბროლაური | 2 047           | 11.4                     | 179                             |

ამ მხრივ საქართველოს მუნიციპალიტეტებს აქვს შანსი გახდეს ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი რიცხვი. მაგრამ მათი ცენტრების მდგომარეობა ძალის არერთვაროვანია.

1. Патент СССР 34190.
2. Щемелев А.А., Потылицына А.И. К вопросу об измерении радиуса кривизны внутренней поверхности механическим способом. Сибирский федеральный университет. 2013  
<http://conf.sfu-kras.ru/sites/mn2013/thesis/s060/s060-020.pdf>

#### SUMMARY

#### APPLICATION OF SOME MECHANICAL METHODS FOR MEASUREMENT OF THE RADII OF SPHERICAL SURFACES TO CONTROL THE PRODUCTION OF OPTICAL COMPONENTS

Zardiashvili D. G., Dolidze S.V., Shalamberidze D.M., Kordzakhia I.I. and Avaliani I. M.

LEPL Institute "Optica"

The paper deals with designing and production of polymer optical components for optical instrumentation at LEPL |Institute "Optica". The paper describes some mechanical methods for measuring the geometric parameters of the surfaces of spherical lenses. These methods are used in the Institute "Optica" to measure the radii of curvature of surfaces and the thickness in the production of optical parts, and the analysis of unfamiliar lenses.

**Keywords:** optics, lenses, polymer materials, polishing

ჰელიოდანადგარის სარპის ვერტიკალური გადაადგილების მექანიზმის  
ელექტროამძრავის დინამიკური რეზისების გამოყვანა

ტურქელაძე დ.ა., სირაძე ჯ.ს., ლუაშვილი გ.ს.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


ჰელიოდანადგარების ელექტროამძრავების ამოცანას დანადგარის მზისადმი ზუსტი პოზიციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს. შესაბამისად მას გააჩნია ურთიერთდამოუკიდებელი მართვის სისტემით ადჭურვილი სამი (სარკის ჰორიზონტალური, ვერტიკალური გადაადგილების, და ობიექტივის გახსნა-დაკეტვის მექანიზმის მიყოლი) მიმყოლი ელექტრული ამძრავი [1].

ნაშრომში განხილულია „პარაბოლური თეფშის“ ვერტიკალური გადაადგილების მექანიზმის ელექტროამძრავის ძალურ ნაწილსა და მართვის სისტემაში გარეშე აღმაშფოთებელი ფაქტორის შედეგად გამოწვეული ელექტროდინამიკური პროცესები და მათი ოპტიმიზაცია.

ცნობილია, რომ ჰელიოდანადგარების ელექტროამძრავის ელექტრომექანიკურ ნაწილში მიმდინარე ელექტროდინამიკური პროცესები ძირითადად გამოწვეულია დიდი დიამეტრისა და (50-60მ) მასის მქონე „პარაბოლურ თეფშე“ ქარის ზემოქმედებით წარმოქმნილი დატვირთვის მომენტით [2], რომელიც ართულებს თეფშის მზესთან დამიზნების სიზუსტის უზრუნველყოფას და მზის ენერგიის ეფექტურ მიღება-გარდაქმნას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ელექტრომექანიკურ სისტემაში წარმოქმნება ჩაუქრობადი ელექტრომექანიკური დინამიკური პროცესები, რომლებიც იწვევენ მექანიკური ნაწილის დროზე ადრე მწყობრიდან გამოსვლას, აუარესებენ ენერგეტიკულ მაჩვენებლებს და ართულებენ მექანიზმის მართვას [3].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მიწისზედა ჰელიოდანადგარების პოზიციურ ელექტროამძრავების ელექტრომექანიკურ ნაწილში მიმდინარე პროცესების შესწავლა და მართვის სისტემის ოპტიმიზაცია პოზიციონირების სიზუსტის გაზრდის, დინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესებისა და ენერგეტიკული მაჩვენებლების ამაღლების უზრუნველყოფისათვის.

ელექტროამძრავების სიჩქარის ავტომატური რხევების პარამეტრების განსაზღვრისათვის გამოყენებულია ელექტრომექანიკი აპრობირებული „ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდი“ [4]. შესაბამისად, განხილულია მიმყოლი ელექტროამძრავის მუშაობა კოორდინატთა ვერტიკალური დერძის გასწვრივ, რომლის ფუნქციონალური სქემა მოცემულია ნახაზზე.



მიმყოლი ელექტროამძრავის ვერტიკალური გადაადგილების მექანიზმის ფუნქციონალური სქემა

შგ – შემთანხმებელი გადამწოდი; მრ – გარდამსახის ძაბვის მართვადი პროპორციული რეგულატორი; გ – მრავა; С – სისტემის სიხისტე; Мწო – დანადგარის შემსრულებელი ლილვის წინააღმდეგობის არაწრფივი მომენტი; შო – შემსრულებელი ორგანო.

სქემის საფუძველზე შედგენილია მიმყოლი ელექტროამძრავის დინამიკური პროცესების განტოლებათა სისტემა:

$$\left. \begin{array}{l} \theta_{\text{ღვ}} - \theta_{\text{გო}} = U_{\delta}; \\ I_{\delta} = k_{\delta} k_{\text{ა.რ}} k_{\text{გ.გ.}} \cdot U_{\delta}; \\ I_{\delta} - I_{\text{გ}} = I_{\text{ღ}} R_{\text{ღ}} \varepsilon + L_{\text{ღ}} \frac{di}{dt}; \\ M_{\delta} = y_{\delta} \frac{d\omega}{dt} \text{გ}; \\ M_{\delta} = C_{12}(e_1 - e_2) + \beta(\omega_{\delta} - \omega_{\text{გო}}); \\ M_{\text{გ}} - M_{\text{ღ}} = y_{\text{გო}} \frac{d\omega}{dt} \text{გო}; \\ \frac{d\theta}{dt} \text{გო} = \omega_{\text{გო}}; \\ M_{\text{წ}} = f(\omega_{\text{გო}}). \end{array} \right\} \quad (1)$$

გამოკვლეულია დანადგარის სიჩქარის ამპლიტუდური მნიშვნელობის დამოკიდებულება მიმყოლი ელექტროამძრავების ძირითადი ავტომატური რხევების რეჟიმი თევზის პარამეტრებზე. კვლევის პარამეტრად მივიღოთ ძრავას ლილვის ბრუნვის კუთხური სიჩქარის ავტომატური რხევების ამპლიტუდური მნიშვნელობა  $y = \omega_{\text{მაქ}}$ , შესაბამისად, სისტემის ელექტრომექანიკური ნაწილის პარამეტრების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე მიმყოლი ელექტროამძრავების დაბალი სიჩქარის ძირითად პარამეტრებად მიღებულია სისტემის ვარგისიანობა -  $D_1$ , რეზონანსული სიხშირე -  $f_{\text{რ}}^{\text{ზ}}$  და დავალების სიგნალი -  $W_0$ , სადაც მისი მნიშვნელობა დღის გამავლობაში იცვლება მზის კუთხური გადაადგილების მიხედვით, ხოლო ექსპერიმენტული კვლევის გეგმისათვის სამივე ფაქტორი ჩავთვალეთ უგანზომილებო კოდირებულ მნიშვნელობებად:

$$X_1 = D_1; \quad X_2 = f_{\text{რ}}^{\text{ზ}}; \quad X_3 = \omega_0;$$

სიჩქარის ავტომატური რხევების ამპლიტუდური ფუნქციონალური დამოკიდებულების მისაღებად მიმყოლი ელექტროამძრავების ცვლად პარამეტრებზე  $\omega_0 = F(x_1, x_2, x_3)$  ვისარგებლეთ სრული ფაქტორული ექსპერიმენტით  $2^3$ . ფაქტორების დიაპაზონად მიღებულია მათი ზღვრული მნიშვნელობები (ცხრ. 1).

ცხრილი 1.

| $X_i$  | $X_{\text{მინ}} = X_i = -1$ | $X_{\text{საშ}} = X_i = 0$ | $X_{\text{მაქ}} = X_i = +1$ |
|--|-----------------------------|----------------------------|-----------------------------|
| $X_1 (D_1, \text{წ}^{-1})$                     | 0,41                        | 0,82                       | 1,23                        |
| $X_2 (f_{\text{რ}}^{\text{ზ}}, \text{გ}^{-1})$ | 1                           | 1,8                        | 2,6                         |
| $X_3 (W_0, \text{რ/წ}^2)$                      | 3,2                         | 9,6                        | 16                          |

ექსპერიმენტის შედეგები მოყვანილია ცხრილში 2.

**ცხრილი 2.**

| $\omega_0$ ,<br>$\eta/\sqrt{\theta}$ | $f = 1 \text{ ჯ}$    |                      |                      | $\omega_{\text{ამ}} \eta/\sqrt{\theta}$ |                      |                      | $f = 2,6 \text{ ჯ}$  |                      |                      |
|--------------------------------------|----------------------|----------------------|----------------------|---|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|
|                                      | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$                    | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$ | $\sqrt{\theta}^{-1}$ |
|                                      | $D_1=0,41$           | $D_1=0,82$           | $D_1=1,23$           | $D_1=0,41$                              | $D_1=0,82$           | $D_1=1,23$           | $D_1=0,41$           | $D_1=0,82$           | $D_1=1,23$           |
| 3,2                                  | 3,45                 | 4                    | 4,1                  | 2,26                                    | 2,26                 | 2,37                 | 2,42                 | 2,64                 | 2,75                 |
| 6,4                                  | 7,68                 | 8,68                 | 10,17                | 5,88                                    | 6,3                  | 6,64                 | 6,29                 | 6,43                 | 6,64                 |
| 9,6                                  | 11,04                | 12,32                | 13,08                | 9,22                                    | 9,68                 | 10,21                | 9,3                  | 10,05                | 10,43                |
| 12,8                                 | 13,82                | 14,78                | 16,05                | 12,38                                   | 12,86                | 14,16                | 12,62                | 13,18                | 13,74                |
| 16                                   | 14,97                | 18,29                | 19,49                | 16,81                                   | 17,09                | 17,74                | 16,26                | 17,46                | 17,74                |

ცხრ. 2-ის მონაცემების მიხედვით შედგენილია ექსპერიმენტის გეგმა (ცხრ. 3). ამავე ცხრილში მოცემულია ექსპერიმენტის შედეგები უ. პოლინომინალურ დამოკიდებულებას, რომელიც მიღებულია ჩატარებული მეთოდების ანალიზის საფუძველზე აქვს შემდეგი სახე:

$$\omega_{\text{ამ}} = 12,21 + 1,03X_1 - 0,62X_2 - 6,31X_3 - 0,48X_1X_2 + 0,58X_1X_3 + 0,48X_2X_3 - 0,33X_1X_2X_3 \quad (2)$$

მიღებული გამოსახულების სისწორის შესამოწმებლად ჩატარდა დამატებითი ცდა გეგმის ცენტრში (ცხრ. 3, რიგი 9). ცდის შედეგები შედარებულია (2) გამოსახულებით მიღებულ მნიშვნელობებთან. ამავე ცხრილში მოცემულია  $y^*$  ფუნქციის მნიშვნელობები, რომელიც გამოთვლილია ყველა წერტილისათვის.

**ცხრილი 3.**

| u | $X_0$ | $X_1$ | $X_2$ | $X_3$ | $X_1X_2$ | $X_1X_3$ | $X_2X_3$ | $X_1X_2X_3$ | y     | $y^*$ |
|---|-------|-------|-------|-------|----------|----------|----------|-------------|-------|-------|
| 1 | +     | -     | -     | -     | +        | +        | +        | -           | 3,45  | 3,45  |
| 2 | +     | +     | -     | -     | -        | -        | +        | +           | 4,1   | 4,1   |
| 3 | +     | -     | +     | -     | -        | +        | -        | +           | 2,42  | 2,42  |
| 4 | +     | +     | +     | -     | +        | -        | -        | -           | 2,75  | 2,75  |
| 5 | +     | -     | -     | +     | +        | -        | -        | +           | 14,97 | 14,97 |
| 6 | +     | +     | -     | +     | -        | +        | -        | -           | 19,49 | 19,49 |
| 7 | +     | -     | +     | +     | -        | -        | +        | -           | 16,26 | 16,26 |
| 8 | +     | +     | +     | +     | +        | +        | +        | +           | 17,74 | 17,74 |
| 9 | +     | 0     | 0     | +     | 0        | 0        | 0        | 0           | 9,68  | 10,15 |

მიღებული შედეგებით დასტურდება, რომ შემსრულებელი ლილვის სიჩქარის ამპლიტუდა დამოკიდებულია მოძრაობის დავალების ტემპის მნიშვნელობაზე, მიმყოლი ელექტროამძრავების ვარგისიანობასა და სისტემის რეზონანსულ სიხშირეზე.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ

1. ჰელიოდანადგარის „პარაბოლური თეფშის“ ვერტიკალური გადადგილების მექანიზმის ელექტროამძრავის ელექტრომექანიკურ სისტემაში მიმდინარე რხევებს განაპირობებს წინააღმდეგობის მომენტი, რომელთა სიხშირე ახლოსაა დანადგარის რეზონანსულ სიხშირესთან;

2. შემსრულებელი ლილვის სიჩქარის ამპლიტუდა დამოკიდებულია მოძრაობის დავალების ტემპის მნიშვნელობაზე, მიმყოლი ელექტროამძრავების ვარგისიანობასა და სისტემის რეზონანსულ სიხშირეზე;

3. ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდის საშუალებით მიღებული მათემატიკური გამოსახულება, საშუალებას გვაძლევს განგსაზღვროთ სიჩქარის ავტომატური რხევების ამპლიტუდური მნიშვნელობა და დანადგარის ელექტროამძრავის პოზიციონირების სიზუსტის ცდომილება სიჩქარის დავალების, სისტემის ვარგისიანობასა და რეზონანსული სიხშირის საშუალებით.

**ლიტერატურა**

1. Костюковский Д.Т. Взаимосвязанный автоматизированный электропривод группы гелиоустановок: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата технических наук.-Минск : БПИ, 1987, 20 с.
2. Дубилович В.М. О влиянии перекрестного эффекта на динамические свойства автоматической системы управления гелиостатом. //Гелиотехника, 1986, № 4, сс.44-47.
3. Капунцов Ю.Д., Максимляк Л.В., Турдзеладзе Д.А. Двухканальный автоматизированный электропривод как средство повышения технической эффективности солнечных печей. Тр./МЭИ, -М., МЭИ, 1987, вып. 600, сс.32-37.
4. Ивоботенко Б.А., Ильинский Н.Ф., Копилов И. П. Планирование эксперимента в электромеханике. -М. ,Энергия, 1975, 185 с.
5. Ильинский Н. Ф. Элементы теории эксперимента. -М., МЭИ, 1980, 92с.

**SUMMARY**

**STUDY OF DYNAMIC MODES OF THE ELECTRIC DRIVE OF THE VERTICAL DISPLACEMENT MECHANISM OF THE MIRROR OF A SOLAR POWER PLANT**

**Turdzelidze D.A., Siradze J.S. and Luashvili G.S.**

**Georgian Technical University**

The dynamic processes proceeding in the electric drive of the vertical displacement mechanism of the mirror of a solar power plant were studied. The results of experimental studies showed that the amplitude of the actuating shift speed depended on the rate of motion and the resonant frequency of the system. There were derived mathematical expressions for the amplitudes of automatic speed fluctuations, which allows determining the amplitude values of fluctuations and positioning accuracy of the electric drive.

**Keywords:** solar power plant, mirror, vertical displacement, electric drive.


**უფასეთად ჩამოსხმული ფოლადის ფურცლიდან  
მიღების ჟარმონგის ინოვაციური პრაკტიკული შემთხვევა**

ჯალიაშვილი თ.ი., მიქაელ თ.შ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

დღევანდელი მსოფლიო პრაქტიკით, ფოლადის ნაკერიანი მიღების წარმოება ორ ეტაპად ხორციელდება:

**პირველი ეტაპი.** ფოლადის გამოდნობა, უწყვეტი ჩამოსხმის დანაღვარზე ან საგლინავ სამქროში გლინგით სლიაბის მიღება და ფურცელსაგლინავ სამქროში ფურცლის წარმოება[1].



**ნახ. 1. ფოლადის ფურცლის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიური სქემა**

1 - ფოლადის დნობა და დუმელსგარეთ დამუშავება; 2 - ფოლადის ბოკვებში ჩამოსხმა; 3 - სხმულიდან სლიაბის ცხლად გლინგა; 4 - სლიაბის ცეცხლით გაწმენდა; 5 - რულონი.

**მეორე ეტაპი.** მიღების მწარმოებელ ქარხნებში ფურცლისაგან შედედების ტექნოლოგიით მრგვალი და პროფილური მიღების წარმოება.




**ნახ. 2. ნაკერიანი მიღების წარმოების ტექნოლოგიური სქემა**

1 - რულონის გრძივად დაჭრა; 2 - მიღის პროფილის მიღება; 3 - მაღალი სიხშირის დენით შედედება; 4 - მიღების დაკალიბრება; 5 - მიღების ზომებად დაჭრა და შეფუთვა.

ორივე ეტაპი წარმოადგენს დამოკიდებელ ტექნოლოგიურ საწარმოო პროცესს. ფოლადის ფურცლის მწარმოებელი ქარხნები სრული ციკლით მომუშავე კომბინატებია, რომლებიც განლაგებული არიან რკინის მაღნის საბადოებთან, ხოლო მიღების მწარმოებლები მიღების მომხმარებელ რეგიონებში (ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების რეგიონებთან და მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან), რაც მათი რეალიზაციის პროცესში ლოგისტიკურ სირთულეს წარმოადგენს. ფურცლის

მწარმოებელები უმეტეს შემთხვევებში მიღებს თვითონ არაწარმოებენ, რადგანაც მაღალი წარმადობიდან გამომდინარე მათთვის ფურცლის რეალიზაცია უფრო მოსახერხებელია [2].

ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა ტექნოლოგიური სქემა (ნახ.3), რომელიც ითვალისწინებს ზემოთაღნიშნული ორი ეტაპის ერთი მეტალურგიული კომპლექსის ფარგლებში ფოლადის გამოდნობის, ფურცლის ჩამოსხმისა და მიღების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ერთ საწარმოო სივრცეში გაერთიანებას, რის ანალოგიც მსოფლიო მეტალურგიულ პრაქტიკაში არ არსებობს.




ნახ. 3. თხევადი ფოლადიდან ფურცლის ჩამოსხმისა და მიღების წარმოების ტექნოლოგიის სქემა

ფოლადის ელექტრორკალურ დუმელში დნობისა და დუმელსგარეთ დამუშავების შემდეგ ციცხვი გადაეცემა უწყვეტი ჩამოსხმის ორგლინიან დანაღვარს სადაც მიიღება 1,0-დან 6,0 მმ-მდე სისქის ფოლადის ფურცელი დახვეული რულონებში. შემდგომ რულონები თვითმავალი ურიკის საშუალებით გადაეცემა მიღების წარმოების უბანს, კერძოდ ფურცელის გრძივად დაჭრის განყოფილებას. ხვიებში გრძივად დაჭრილი ფურცელი მიემართება მიღის დიამეტრის მაპროფილებელი დგანისაკენ, რის შემდეგაც მაღალი სიხშირის დენით შედუღებისა და მაკალიბრებელ დგანში საჭირო დიამეტრის მიღების შემდეგ ზომებად იჭრება და იკვრება.

მოცემული ტექნოლოგიური სქემა კარდინალურად ცვლის მიღების წარმოების პროცესს:


1. ფოლადის ფურცლიდან მიღების წარმოებამდე მთელი ტექნოლოგიური ციკლი ერთ სივრცეშია განთავსებული. ერთი განყოფილებიდან მეორეს ლითონი გადაეცემა თვითმავალი ავტომატური მექანიზმებით, რომლებიც გამორიცხავნ შრომისა და დროის უქმე დანაკარგებს.
2. ფურცელის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიის პირობებში ფურცელსაგლინავი სააქტროს სიგრძე 800 – 1000 მეტრია, მაშინ როდესაც ფურცლის უწყვეტი ჩამოსხმის შემთხვევაში ფოლადის გამოდნობა და ფურცლის მიღების პროცესი 70,0 მ სიგრძის შენობაში ეტევა (ნახ. 4).



ნახ. 4. ფოლადის ფურცლის უწყვეტი ჩამოსხმის ინოვაციური აგრეგატი

3. ეს ტექნოლოგიური სქემა და დანადგარების კომპაქტურობა საშუალებას იძლევა მისი განთავსებისა მიტოვებული ქარხნების ინფრასტრუქტურის ადგილზე;

4. ფოლადის ფურცლის წარმოების ტრადიციულ ტექნოლოგია სქემასთან შედარებით ჩვენ მიერ შემუშავებული სქემის პირობებში მცირდება ოპერაციების რაოდენობა (ნახ. 5).



ნახ. 5. ფურცლის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგია და უწვეტი ჩამოსხმა

გარდა იმისა, რომ უწვეტად ჩამოსხმული ფურცლის ხარისხი ყველა მაჩვენებლით აკმაყოფილებს არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, სპეციალურად უწვეტად ჩამოსხმული ფურცლისათვის შემუშავებული იქნა სტანდარტი STMA1039/1039M, რომლის მოთხოვნების თანახმადაც მიეწოდება ფოლადის ფურცელი მომხმარებლებს [3]. ამ ტექნოლოგიური სქემაში რეალიზებულია გამჭოლი ტექნოლოგიების და თანამედროვე აგრეგატების ის შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ტრადიციული ტექნოლოგიით მიღებულ პროდუქციასთან შედარებით, კერძოდ:

- ფოლადის გამოდნობიდან მზა მიღების მიღებამდე შეგვეთების უმოკლეს დროში, 5-6 საათში შესრულება;
- ტექნოლოგიური პროცესების შემცირების ხარჯზე პროდუქციის თვითდირებულების შემცირება:
  - ნახშირბადიანი ფოლადების წარმოებისას 20-50 აშშ დოლარით/ტ-ზე;
  - დაბალლეგარებული ფოლადებისას 40-100 აშშ დოლარით/ტ-ზე;
  - მარტენსიტული კლასის ფოლადებისათვის 80-150 აშშ დოლარით/ტ-ზე;
- მიღწეული იქნა ბუნების დაცვის სტანდარტების მაღალი დონე;
- მაგრე გამონაბოლქვების შემცირებით ( $\text{SO}_2$ ,  $\text{CO}_2$ ,  $\text{NO}_x$ ) 70-90%-ით[4].
- საწარმოს კომპაქტურობის გამო კაპიტალური დანახარჯების შემცირება:
  - აგრეგატების დირექტულებისა 45%-ით;
  - საწარმო ფართების 85%-ით;
  - ენერგომოხმარების რაოდენობისა 80%-ით.
- მსოფლიოში ჯართის რესურსების შემცირების ფონზე, ფურცელის ჩამოსხმის ტექნოლოგია უზრუნველყოფს ფერადი ლითონებით დანაგვაინებული ჯართის გამოყენების შესაძლებელობას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიოში გაბარიტული-მაღალი ხვედრითი წონის ხარისხიანი ჯართის შემცირების გამო [5].

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები მეტყველებს შემუშავებული ტექნოლოგიური სქემის ტექნიკურ-ეკონომიკურ აქტუალობაზე და როგორც ჩვენი ქვეყნის ასევეს სხვა რეგიონებში საწარმოო ინფრასტრუქტურის გამოყენების პერსპექტივებზე. ასეთი

კომპლექსების განთავსება აქტუალურია განერებული საწარმოების ინფრასტრუქტურის აღგილზე, რეგიონებში სადაც მოთხოვნაა ფოლადის ფურცელზე და მიღებზე.

#### ლიტერატურა

1. Минаев А. А. Совмещенные металлургические процессы. – Донецк :ТехнопаркДон НТУ УНИТЕХ, 2008, 522с.
2. Е.А. Коршунов, А.Г. Коробов, Б.М. Мельников, В.М. Кавтрев, М.И. Федоров, В.П. Костров, Ю.А. Коротков. Способ прокатки непрерывно отливаемой заготовки: А.с. 1235053 СССР, №38217003/02; Заявл. 20.12.1984Опубл. 20.02.1996. Бюл. №5. 4 с.
3. М. Вальтер, В. Манкау, Х.-Ю. Фиггс и др. EUROSTRIP – способ литья полосы на заводе фирмы «KruppThyssenNirosta GMBL». - М., Чёрные металлы, 2001, сс. 55–59.
4. Ю.В.Коновалов,А.А.Троянский,С.Н.Тимошенко. Металлургия, учебное пособие в 3 кн. К. 1. Производство чугуна, железа, стали ферросплавов. –Донецк: ГВУЗ «ДонНТУ», 2011, 431с.
5. D.G. Edelman, R. C. Campbell, C. R. Killmore et al. Recent Developments With Ultrathin Cast Strip Products Produced by the Castrip Process. Iron and Steel Technology, 2009, № 10, pp. 47–58.

#### SUMMARY

#### DEVELOPMENT OF AN INNOVATIVE COMPLEX FOR PRODUCTION OF PIPES FROM CONTINUOUSLY CAST STEEL SHEETS

Jalishvili T.I. and Mikadze O.Sh.

Georgian Technical University

Currently, in world practice, the production of steel pipes suture consists of two stages: steel smelting, manufacture of steel sheets and production of pipes from steel sheets. We have developed the technological scheme providing for the integration of the two stages within a single metallurgical complex. The enterprise of this type will guarantee 1) fulfillment of orders in the shortest possible time; 2) reduction of production costs; 3) reduction in capital construction costs due to compactness; 4) high quality of environmental protection.

**Keywords:**steel sheet, pipes, continuous casting, metallurgical complex.

ანაკლიის პროტოკოლის მშენებლობის პრესკრიპციები

მარგალიტაძე ი.ნ., გაბიძაშვილი ლ.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მასტრიხტის უნივერსიტეტი, პოლანდია

ამჟამად მსოფლიო ოკეანის 50 კმ-იანი სიგანის სანაპირო ზოლში პლანეტის მოსახლეობის 27% -ზე მეტი და კოლოსალური ეკონომიკური პოტენციალია თავმოყრილი. საერთაშორისო საგაჭრო ბრუნვის 90% სწორედ ზღვებისა და ოკეანების გავლით ხორციელდება. საგაჭრო ფლოტში კი 35 ათასზე მეტი ხომალდია. მათ შორის სუპერტანკერების ტვირთამწეობა 0,5 – 1,0 მლნ. ტონას აღწევს. ყოველი მათგანის გზა ზღვის ნაპირზე იწყება და ნაპირზევე მთავრდება.

აქედან გამომდინარე, ცხადია ზღვის სანაპირო ზონა თავისი ბუნებრივი განვითარებისას თანამედროვე ეპოქაში უზარმაზარ ანთროპოგენურ დატვირთვას განიცდის, განსაკუთრებით კი - პორტების მშენებლობისას, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ზღვის ფართო აკვატორიის დაკავებასთან, მოლობისა და ტალღ-სატეხნიკის აგებასთან, რაც სანაპირო ზონის რეჟიმის დარღვევას იწვევს და ნებატიურ შედეგს იძლევა. მაგ. მოხილვისა და პორტის აკვატორიის გათავთხელებას, მიმდინარე უბნებზე ნატანის დეფიციტის შექმნას, ქვედა წარუცხების (ხმელეთის მიმდებარე ზღვის ფსკერის ეროზია) გააქტიურებას. როგორც შედეგი, მას მოყვება ძირითადი ნაპირების ნგრევა და დეგრადაცია. ამ ბუნებრივ პროცესში ადამიანის არაგონივრული ჩარევით გამოწვეული უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ მიმართული ნაპირდაცვითი საქმიანობის ჩატარება მეტად ძვირია. ამასთან ის ამცირებს სანაპირო ზოლის ატრაქციულობასა და მის საკურორტო-რეკრეაციულ პოტენციალს.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი საზღვაო პორტების აშენების მიზნით მოხერხებული არ არის. ამის მთავარი მიზეზი ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიური ნიშნებისა და გეოლოგიური აგებულების განსაკუთრებული თავისებურებებია: ზღვისპირა ხმელეთი ნაკლებადაა დანაწევრებული და მდინარეების მიერ შემოტანილი ნაშალი მასალის დალექვის შედეგადაა ჩამოყალიბებული. სანაპიროც, ძირითადად, აკუმულაციური ხასიათისაა. ამიტომ მთელ პერიოდებზე ხმელეთში ბუნებრივად შექრილი და მნიშვნელოვანი სიღრმის ზღვის ყურეები ფაქტიურად არ გვაქვს. სამაგიეროდ ხმელეთის მიმდებარე ზღვის ფსკერი საქმართული რელიეფით ხასიათდება და ზღვის შელფში (არც თუ იშვიათად), სანაპირო ზოლში შექრილი ე.წ. წყალქვეშა კანიონების სიმრავლით გამოირჩევა.

სწორედ ეს გარემოება განაპირობებს სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთზე საპორტო მშენებლობისთვის შედარებით ხელსაყრელ პირობებს. ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნული მხოლოდ ნაწილობრივი პირობაა სრულფასოვანი პორტის მშენებლობისთვის. ამიტომ მსოფლიოს დიდი საზღვაო პორტები ბუნებრივ, ღრმა დელგისგან დაცულ ყურეებშია განხლაგებული.

საქართველოს ვერც ერთი საზღვაო პორტი ჩამოთვლილ ფაქტორებს სრულად გერ აკმაყოფილებს. ეს გარემოება გაითვალისწინეს და კარგადაც გააანალიზეს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს სანაპიროს შესასწავლად მოვლენილმა სამხედრო ინჟინერებმა - შავროვმა და უარინცევმა, რომელთა ხელმძღვანელობითაც აშენდა როგორც ბუნებრივი პირობების მქონე ფოთის და ბათუმის პორტები.

ცხადია, რომ საქართველოში სრულფასოვანი საზღვაო პორტის მოწყობისთვის საჭიროა კრცელი, ტალღებისგან დაცული ღრმა აგვატორიის და ზღვის დიდი სიღრმეებიდან ხმელეთამდე მისასვლელი ღრმა ბუნებრივი „არხის“ მქონე პორტი-ფურესათვის სათანადო პირობების შექმნა (ნაწილობრივ მაინც).

საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი ხელსაყრელი პირობები რამდენიმე ადგილზე გვაქვს. ერთ ერთი ხელსაყრელი ადგილი მდინარე ენგურის ძველი შესართავია, სადაც წყალქვეშა კანიონის სათავეები სანაპირო ხაზთან ძალიან ახლოსაა (ნაპირიდან 150-200 მ) შემოჭრილი. ამასთან ვრცელი აკვატორიის შექმნა შედარებით მარტივად სწორედ აქაა შესაძლებელი. პორტის აკვატორიასა და ზღვის

დიდ სიღრმეებს შორის მოქცეული წყალმარჩხი ზოლის სიგანე მცირება. ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს პორტის დირექტულებისა და მოძრაობის შემაფერხებელი ლითონდინამიკური პროცესების რეგულირების თვალსაზრისით.

დარგის სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ საპორტო და პიდროტექნიკური ნაგებობების ფუქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რელიეფსა და სანაპირო პროცესებს. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ აკუმულაციური მასალის უარყოფითი გავლენა პორტების ფუნქციონირების საქმეში. ამ თვალსაზრისით, ენგურის ზღვის შესართავი მოგებიანია, რადგან მდინარე ენგურის მაღლივი კაშხალის აშენების შემდეგ მისი თხევადი ჩამონადენი მდინარე ერისწყალში იქნა გადაგდებული და მყარი ნატანიც თითქმის 4-ჯერ შემცირდა.

ამიტომ, ენგურის შესართავში პორტის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური აღორძინების იდეა, ბუნებრივ-ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი, სოციალურად გამართლებული და ეკონომიკურად ეფექტურია. ექსპერტთა აზრით, ის შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მართვავებელი ღერძი [1-3].

ამასთან დგება პრობლემა, როგორი უნდა იყოს პორტის დიზაინი და განლაგება, რათა მისი ფუნქციონირება ეფექტურიანიც იყოს და ბუნებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს. ამ პრობლემას ნათლად აჩვენებს ფოთის და ყულევის პორტების ფუნქციონირებისას შექმნილი ახალი პრობლემები.

რადგან ეს პორტი ქვეყნის სასარგებლოდ უნდა აშენდეს, ასეთი პროექტი დეტალურად უნდა გაანალიზდეს. უნდა გვახსოვდეს უბრალო ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ვერ შევცვლით ბუნების კანონზომიერებას.

ყულევთან მიმდებარე წყალქვეშა რელიეფი და ლითონდინამიკა უაღრესად არახელსაყრელია ღრმაწყლიანი პორტის ფუნქციონირებისთვის. ამის მიზეზი წყალმარჩხი ფსკერი და არაკონსოლიდირებული ფსკერული ნალექებია, თუმცა ყულევში მაინც აშენდება პორტი-ტერმინალი.

2001 წელს სპეციალისტების მიერ დაწერილ რეცენზიაში ამ პორტის ასაშენებლად წარმოდგენილი პროექტი უარყოფითად შეფასდა და პორტის მშენებლობის დაწყებამდე კვლევების ჩატარებაც მოითხოვეს. თავიდანვე უჭირავი გამოითქვა ასეთი წყალმარჩხი ფსკერის პირობებში პორტის და ე.წ. მისასვლელი არხის მშენებლობის მიზანშეწონილობაზე.

მოცემულ პირობებში, პორტის მშენებლობა მოითხოვდა წყალმარჩხს ფსკერზე ღრმა ჯდომის ხომალდებისთვის ე.წ. პორტის მისასვლელი არხის გათხრა-მშენებლობას, რომელიც გულისხმობს პორტის აკვატორიაში შესასვლელი ზღვის ფსკერის დაღრმავებას. რეკომენდაციით, თუკი პორტის მშენებლობას მაინც დაიწყებდნენ, მისი აკვატორის შტორმული ტალღების, არხის მოსილვისგან დაცვისა და მიმდებარე ნაპირების შენარჩუნების მიზნით დამცავი მოლოქი მაინც უნდა აგებულიყო.

გარდა ამისა, წარმოიქმნებოდა სხვა თანამდევი პრობლემებიც: კერძოდ, მკვეთრად დაირღვეოდა სანაპირო ნატანის ბალანსი და საჭირო გახდებოდა დროდადრო მოლობებთან აკუმულირებული ნატანის ზღვის გასწვრივ გადანაწილება, ანუ ბაიპასინგის (baipassing - ტექნიკური პიდრავლიკური მოწყობილობის საშუალებით მასალის შემოვლითი გზით ტრანსპორტირება) პრაქტიკის განხორციელება. მოლოქი აუშენებლობის შემთხვევაში წინასწარვე ივარაუდეს პორტის აკვატორიაში ძლიერი და წელვადი ტალღების შედევა. რომელიც აზიანებს აკვატორიაში მყოფ გემებს, პორტის მიმდებარე ნაპირების ძლიერი წარეცხვა, ე.წ. მისასვლელი არხის ინტენსიური მოსილვა, მისი პერიოდული რესტავრაციის აუცილებლობა და სხვა.

პროექტი დაპროექტებულია მდ. ენგურის კალაპოტში და გადადის მის მარჯვენა ნაპირზე - ზუგდიდის რაიონის (ს. განმუხური) ტერიტორიაზე, საიდანაც ჩრდილოეთ მიმართულებით თითქმის 3 კმ-ზე, სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე ვრცელდება და ამიტომ პორტი ებჯინება გალის რაიონის საზღვარს. აღსანიშნავია, რომ ენგურის საზღვაო პორტის მნიშვნელობის შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს, პირველის მიხედვით, პორტის უშუალოდ

საოკუპაციო ზოლთან აშენება მეტად სარისკოა, ხოლო მეორეს თვალსაზრისით, მას დადებითი როლი აკისრია, რადგან არ არის გამორიცხული, ეკონომიკური ეფექტიანობით აფხაზეთის მესვეურების დაინტერესება გამოიწვიოს და სახიკეთო აღმოჩნდეს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

ამ გეგმის მიხედვით იქ, მირითადად თავისუფალ მიწებზე, ახალი საპორტო დასახლების გაშენებაა გათვალისწინებული და არა გადასახლება. მაგრამ, ამგვარი მასშტაბის ობიექტის მშენებლობისას ვერ აკცდებით გარკვეული რაოდენობის მოსახლეების სხვა ადგილზე გადაყვანას და მათვის კომპენსაციის მიცემას, რაც ცალკე გადაწყვეტას საჭიროებს.

პორტის პროექტის სრულფასოვანი შედეგნისთვის ჩატარდა წინასწარი კვლევები. საქართველოს შავი ზღვისპირეთი ქვენის ბუნებრივი სიმდიდრეა და მას მოვლა-პატრონობა სჭირდება. ნებისმიერი ასეთი მასშტაბის პროექტის მომზადებისას საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა სპეციალისტთა ფართო წრის მიერ. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა აგვაცილებს დიდ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზარალს. ვითარება ადექვატურად იქნება შეფასებული და მიღებული იქნება ანაკლიის პორტის მშენებლობის ისეთი ვარიანტი, რომელიც ქვენისთვის სასარგებლოც იქნება და რაციონალურიც.

ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ააშენებს. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, „TBC პოლდინგისა“ და ამერიკული კომპანია „კონტი ინტერნეშენალის“ მიერ ერთობლივად დაფუძნებული კომპანიაა, რომელსაც 49 წლით და მართვის უფლებით გადაეცემა ანაკლიის მომავალი პორტისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის ტერიტორია. პროექტის ღირებულება 2,5 მილიარდი ამერიკული დოლარია.

ნაესადგური 400 ჰექტარზე განთავსდება და უზრუნველყოფს დიდი ზომის გემების მომსახურებას, რაც მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ეკონომიკისა და ზოგადად, სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის გაძლიერებისთვის. გეგმის მიხედვით იგი იქნება ყველაზე დიდი პორტი საქართველოში, რომელიც შეძლებს ე.წ. პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემების (უმსხვილესი, 40 000 ტ-მდე ტვირთამწეობის გემი, რომელსაც არხში გავლა შეუძლია) მიღებას. პორტში გაჩერებას შეძლებენ 10 000 კონტეინერის ტევადობის და 50-დან 150 ათას ტონამდე დედოფერის მქონე ხომალდები, რომელთა მოძრაობა ბათუმისა და ფოთის პორტებში პორტლემატური იყო. ცნობისთვის ანაკლიის პორტის სიღრმე 20,5 მეტრია, ბათუმის პორტის - 14მ, ფოთის კი სულ - 8,5 მეტრი.

კონტრაქტის შესაბამისად ნაფხადგური აშენდება 9 ფაზად და საბოლოო ჯამში, მისი წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 100 მლნ ტონა ტვირთს. პორტი ოპერირებას დაიწყებს მშენებლობიდან 3 წელიწადში, როცა მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 7 მილიონ ტონას მიაღწევს. ახალი ნაფხადგური დაახლოებით ორი კვირით შეამცირებს ტვირთების გადაზიდვის ხანგრძლივობას ჩინეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან ეკროპამდე.

პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით იგეგმება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრეინინგების პროგრამის განხორციელება. ანაკლიის პორტის პროექტი ათასობით სამუშაო ადგილს შექმნის. მის მშენებლობაზე 3400 ადამიანი დასაქმდება. მშენებლობის დასრულების შემდეგ პორტში 6400 ადამიანი იმუშავებს, რომელთა 90% საქართველოს მოქალაქე იქნება. რამოდენიმე ასეული ადამიანის დასაქმებაა გათვალისწინებული პროექტის საწყის – სამშენებლო სამუშაოების ეტაზე, რომელთა დაწყება 2017 წლის ზაფხულისთვისაა დაგეგმილი, ნავსადგური კი 2020 წელს გაიხსნება.

ეს პროექტი მხოლოდ მასშტაბის პროექტია.

ამ პროექტით ტრანსნაციონალური კომპანიები დაინტერესდნენ. ეს დაინტერესება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ჩინეთში ვიზიტს მოყვა. ჩინური კომპანიები პორტის მშენებლობის საკითხში აღნიშნული კონსორციუმის პოტენციურ პარტნიორებად მოიაზრება. მისი კონტრაქტორები არიან ასევე საზღვაო პორტების ცნობილი სადიზაინერო კომპანია „offat & Nichol“ და წამყვანი პოლანდიური საკონსულტაციო კომპანია „Maritime & Transport Business Solutions“-ი.

პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ ეს იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობები საქართველოსთვის, რათა „აბრეშუმის გზის“ კონცეფცია სრულმას-შტაბიანად ამოქმედდეს საქართველოში და სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო კორიდორი გახდეს ტიპობრივად ახალი გამტარუნარიანობის და შესაძლებლობების. ასევე პორტის გარშემო გათვალისწინებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას. პორტისგან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

საქართველოს პორტები გასასვლელს ზღვაზე რვა სახელმწიფოსთვის უზრუნველყოფენ. მათი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სწორედ ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის შექმნაა. ბათუმის, ფოთის და უცლევის პორტები ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებს მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობს. რაც შეეხება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტს, მისი მშენებლობა უახლოეს მომავალში ევროპასა და აზიას შორის თავისუფალი ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობებს გაზრდის.

ეს ხელს შეუწყობს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის განვითარებას და მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც ტრანზიტული, ასევე საგაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს, სტრატეგიული სახელმწიფოს მნიშვნელობას.

#### ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისთვის“, (გადამუშავებული ვარიანტი), თბილისი, 2011, გვ. 23.
2. ო. გელაშვილი, მ. ბარბაქაძე და სხვ. საზღვაო პორტები და მათი მექანიკური აღჭურვილობა. – თბილისი, 2013.
3. ი. მარგალიტაძე, ე. გეგეშვილ სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე. – თბილისი, 2017.

#### SUMMARY

#### PROSPECTS FOR CONSTRUCTION OF THE ANAKLIA PORT

Margalitadze I.N. and Gabidzashvili L.G.

Georgian Technical University

Maastricht University, the Netherlands

The construction of Anaklia Deep-SeaPort at the InguriRiver mouth could become the key point in economic development of Georgia. Completion of construction of this global project will open new opportunities to launch fully the Silk Road idea in Georgia and South Caucasus transport route, and gain new possibilities to increase the turnover of goods. Anaklia Deep-Sea Port will increase trade between Europe and Asia.

**Keywords:** deep-sea port, Anaklia, construction, transport route, port capacity.

## DEVELOPMENT OF A METHOD AND A DEVICE FOR IMPROVEMENT OF ECOLOGICAL PROPERTIES OF LIQUID HYDROCARBON FUEL

Akhvlediani Z.G., Gelashvili G.V., Gongadze A.D., Kiladze A.A., Rekhviashvili A.G.  
and Sokhadze V.M.

E.Andronikashvili Institute of Physics, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

**Abstract.** The method and the device providing an improvement of the quality of automobile fuel are presented. The proposed device makes it possible to remove compounds that produce toxic components during the combustion process in the engine from automobile fuel. The use of the described method and of device promotes the establishment of the rational regime of fuel combustion in the engine fuel economy, and significantly decreases the harmful influence of the exhausted gases on the environment.

**Keywords:** automobile fuel, exhaust gases, method, device, ecology.

The scientific-technical progress being the objective and irreversible factor of the development of mankind requires the increase of energy consumptions. The main source of energy is the hydrocarbon fuel which is burnt in a great amount. As a result, million tons of combustion products containing toxic ( $\text{CO}$ ,  $\text{NO}_x$ ,  $\text{C}_m \text{H}_n$ , soot, etc) and carcinogenic (benzopyrene) substances, as well as greenhouse gases ( $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{NO}_2$ , etc.) is emitted into the atmosphere. These products pollute the environment, bring about the growth of greenhouse effect and the origination of different dangerous diseases (cancer, cardiovascular pathologies, asthma, etc.). Recent events give the conclusive evidence that the world faces the threat of an ecological catastrophe.

Motor transport is the main source of environmental pollution and of the adverse impact on human health. It is known that more than 80% of air pollution is due to the exhaust gases of motor vehicles. Since the number of automobiles rapidly increases almost in all countries of the world, in parallel, their adverse impact both on the human organism and on the environment also increases, which is a global ecological problem.

Nowadays the total annual consumption of fuel throughout the world is 1.8 billion tons and more than 800 million tons accounts for automobile fuel. According to the available data, during the next few decades, liquid oil fuel will still be one of the main sources of energy, as, because of technical and economic problems, the use of alternative sources of energy does not progress at a desired rate. Therefore, the requirements imposed on petrol and diesel fuel are getting stricter every year.

It should be noted that the energy supply of the means of transport in our country depends entirely on the imported fuel. Thorough control of its quality and, even more, the ecological properties of petrol and diesel fuel is a rather difficult problem. Meanwhile, just their ecological properties have a great impact on the formation of toxic, carcinogenic substances and of greenhouse gases in the internal combustion engine. The better is the ecological property of automobile fuel, the higher is the degree of complete combustion of the fuel-air mixture and less is the formation of the mentioned noxious components of automobile exhaust gases. Therefore, the requirements imposed on automobile exhaust with due account of minimization are permanently getting tougher, as it is seen well from Table 1 [1].


**Table 1.The requirements for the content of noxious components in automobile exhaust gases**

| Requirements  | Petrol engines, g/km |                         |               | Diesel engines, g/km |                                       |       |
|---------------|----------------------|-------------------------|---------------|----------------------|---------------------------------------|-------|
|               | CO                   | $\text{C}_m \text{H}_n$ | $\text{NO}_x$ | CO                   | $\text{C}_m \text{H}_n + \text{NO}_x$ | Soot  |
| Euro-2 (1996) | 2.2                  | 0,5 (total)             |               | 1.0                  | 0.7                                   | 0.08  |
| Euro-3 (2000) | 2.3                  | 0.2                     | 0.15          | 0.64                 | 0.56                                  | 0.05  |
| Euro-4 (2005) | 1.0                  | 0.1                     | 0.08          | 0.5                  | 0.3                                   | 0.025 |
| Euro-5 (2010) | 1.0                  | 0.1                     | 0.06          | 0.5                  | 0.23                                  | 0.005 |

In this regard, our aim is to achieve the simultaneous reduction of the noxious and greenhouse gases in the exhaust of automobiles. Currently it is possible only by purposeful constructive solutions concerning the engine and to the optimization of fuel composition. Hence the urgent scientific problem is the development of a method or a device allowing to obtain such petrol composition that would meet the above-mentioned requirements - simultaneous minimization of the content of non-ecological components ( $\text{CO}$ ,  $\text{NO}_x$ ,  $\text{SO}_2$ , soot and  $\text{CO}_2$  in automobile exhaust.

We took into consideration the above-mentioned requirements for the optimization of petrol content when developing the device for purification and enrichment of hydrocarbons [2]. The so-called "closed" system is mounted directly in the automobile and, according to the first experimental data, it showed significant economy of fuel consumption and a total decrease in the content of non-ecological components ( $\text{CO}$ ,  $\text{C}_m\text{H}_n$ ,  $\text{NO}_x$ , soot).

Besides the above-mentioned system, we designed and studied its prototype - a so-called "open" system (Fig.1). The petrol purified in this device is collected in a special pool and then is used.



**Schematic of the device for improvement of ecological properties of hydrocarbon fuels (The volume of electrolyte tap water 40 l, pH= 7.5-7.8, voltage 12 V, current 17A).**

The device consists of a body with a settling bowl, a power supply unit connected to the packet of plate electrodes (the number and the area of which depend on the amount and the quality of the material under purification), a bubbler located under the electrodes. The body contains an electrolyte level regulator.

Commercial petrol of any grade (2) under pressure passes from reservoir (1) to bubbler (5), where it is atomized into small vesicles (balls). Due to the difference in the specific weight of petrol (2) and electrolyte (4), these vesicles rise to the surface passing through the electrolyte and interacting with the assembly of plate electrodes (11) to which dc voltage of 6-20 V is applied as required. The assembly of plate electrodes is located in dielectric cup (3), and the process of electrolyze takes place. Through filter (9), which prevents passing of the waste accumulated in the result of

purification, the purified petrol comes to reservoir (7) and is collected in tank (8). Valve (6) is designed for draining the waste settled gradually onto the bottom of the device. The level of electrolyte is maintained by a special device (12). The frequency of changing the spent electrolyte depends on the parameters of the special device. Through pipe union (10), the gases formed as a result of device operation are emitted in the atmosphere. The process takes place under the conditions of normal temperature and pressure without using the expensive catalysts and at the minimum consumption of electric power (200 – 300 W·h).

Testing of the pilot device was performed. In the test, for choosing the optimal mode, the minimum CO factor was used in the exhaust of the engine of automobile Opel (Table 2). As an operation current, the value of 17 A was chosen, which corresponds to the voltage of 12 V (the voltage of automobile accumulator).

**Table 2**

|                      |                      |     |     |     |    |
|----------------------|----------------------|-----|-----|-----|----|
| Amperage             | 0 (untreated petrol) | 5   | 10  | 15  | 17 |
| CO mg/m <sup>3</sup> | 250                  | 180 | 150 | 100 | 85 |

Investigation was also carried out on the influence of petrol treatment of Euro-Regular grade on fuel parameters, as well as on the octane number, on the operation of internal combustion engine and on the mileage of the automobile OPEL, equipped with a standard-type catalyst.

**Table 3. Testing results for OPEL**

|                     | carbon monoxide, CO mg/m <sup>3</sup> |               | Soot, mg/m <sup>3</sup> |
|---------------------|---------------------------------------|---------------|-------------------------|
|                     | Slow rotation                         | Fast rotation |                         |
| Non-purified petrol | 25                                    | 15            | 25                      |
| Purified petrol     | 5.0                                   | 0.5           | 2.0                     |

From Table 3 it is seen that, when the treated petrol was used, the content of CO in the exhaust decreased at least by a factor of 5, and the content of soot - by a factor of 10.. All the measured parameters of the “purified petrol” meet the requirements of the Georgian standard on petrol. The octane numbers of “non-purified” and “purified” petrol are 92.9 and 93.4, respectively, and the specific heat of hydrocarbon fuel combustion increases by 38% for purified Euro Regular. Compression of engine cylinders was 13 atm. both before and after 1,000km mileage of the automobile with purified and non-purified petrol. Consumption of Euro-Regular petrol after running 100 km made up 91, while for the purified petrol, the consumption was 81, i.e. the economy of petrol made up 11%.

The experiments on the exhausted gases at the treatment of petrol on the pilot device (the analysis of gases was carried out using Gas –Chromo 3101 with argon at room temperature).

**Table 4**

|    | Components      | Content in % |
|----|-----------------|--------------|
| 1. | Oxygen          | 43.5         |
| 2. | Hydrogen        | 36.4         |
| 3. | Air on nitrogen | 12.1         |
| 4. | Petrol vapor    | 5.8          |
| 5. | Watervapor      | 2.2          |

As is seen from Table 4, oxygen and hydrogen are mainly released. From the above-stated, it can be concluded that the standard petrol treated with the pilot device has ecological properties meetingin future the requirements for decreasing the noxious exhausts into the atmosphere , accepted by the leading countries of the world [3].

The efficiency of the given pilot device was also checked with diesel fuel – Wissol Standard. Testing of purified and non-purified fuel was carried out with the diesel-generator of 4 kW power. With the purified fuel, it was observed that the content of soot in exhaust gasesdecreasedbyhalf.

The subsequent experiments for selecting the electrolyte for the device for purification and enrichment of hydrocarbon fuel showed that KOH and NaOH solutions prepared with distilled water must be used as electrolytes. It should be mentioned that operation of the device on the KOH solution decreases the amount of sediment decreased by a factor of 8-10, while that on the NaOH solution – by a factor of 3-4.

The proposed device is cheap, simple in design and economical,it does not require reorganization of the existing power. The term of its operation without changing the complete set is 3 years [4].

The consumers of the given technology could be oil-processing enterprises, fuel stations, companies with a great fleet of motor transport, private motor transport, boilers, etc. All the above-said gives the proposed technology competitive advantages on the market.

The estimation of the efficiency of purified and non-purified fuel was performed at the following laboratories:

- Laboratory of the Department of Monitoring and Forecasting of Natural Pollution of the Institute of Hydrometeorology (determination of the content of toxic substances in exhaust gases of the internal-combustion engine as well as the analysis of released gases with the operation of the pilot device);

- Laboratory of petrol and oil products Georgia Association Imedi 2005, code 205044236. (Octane numbers and petrol standards according to GOST);

- laboratory of oil products control, Levan Samkharauli National Expertise Bureau (Petrol standards according to GOST);

- Ltd. Autohouse, code 204967991 (analysis of the compression of auto-engine);

- Automobile service “Tegeta Motors”, Tbilisi, Georgia ( investigation of diesel fuel );

- Laboratory of Israel at the Centre of Laboratory Investigations, thedocument of analysis No.2217/10 ( investigation of the specific heat of combustion of purified and non-purified petrol ).

## REFERENCES

- 1.C.Podgurski. The Standards of the European Union on the toxicity of spent gases of light trucks./Main Means. 2008, No. 3, pp.18-21.
- 2.Patent GEP – 4631, 2009.
3. Kyoto Protocol to the UN Framework Convention on Climate Change, 1998(11 December, 1997).
4. A.Kiladze, V.Sokhadze, A.Rekhviashvili. Procedure and device for cleaning of burning products from detrimental components. In: Science Opportunities in Georgia. – Tbilisi, 2009, 26 p.

## РЕЗЮМЕ

### РАЗРАБОТКА МЕТОДА И УСТРОЙСТВА ДЛЯ УЛУЧШЕНИЯ ЭКОЛОГИЧЕСКИХ СВОЙСТВ ЖИДКОГО УГЛЕВОДОРОДНОГО ТОП

Ахвледiani З.Г., Гелашвили Г.В., Гонгадзе А.Д., Киладзе А.А., Рехвиашвили А.Г., Сохадзе В.М.

Институт физики им. Э. Андроникашвили, Тбилисский государственный университет

им. Ив. Джавахишвили

В работе приводится описание метода и устройства для улучшения качества автомобильного топлива. Предлагаемое устройство обеспечивает комплексное удаление из топлива большинства веществ, являющихся причиной возникновения токсичных компонентов при сгорании. Применение данного устройства способствует созданию рационального режима сгорания топлива в двигателе, экономии топлива и во много раз уменьшает экологическую нагрузку на окружающую среду.

**Ключевые слова:** автомобильное топливо, выхлопные газы, метод, устройство, экология.


ბიოგაზის დანადგარის გამოყენება სოფლის პროცეს და ჰერმეტულ მეშრეობაში

მეგრელიშვილი ზ.ნ., ლორია მ. დ., ჩხაიძე დ.ტ., გობაძე ლ.ნ., ხუციშვილი ბ.გ.

### ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარება ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია. აღნიშნული სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა დარგებთან ერთად, ერთ-ერთი პრიორიტეტულია ბიოტექნოლოგიების, კერძოდ კი ბიოგაზის დანადგარების დანერგვა-გავრცელება.

ბიოგაზი ეკოლოგიურად სუფთა ბიოსაწვავია, რომელიც შეიძლება ვაწარმოოთ ჩვენი ხელით. ის ბუნებრივი აირის მსგავსია. აირი მიიღება ნარჩენების ანაერობული ბაქტერიების მიერ გადამუშავების გზით. დუღილი მიმდინარეობს მოცულობის უჯანგბადო სივრცეში, რომელსაც ბიორეაქტორს უწოდებენ. ბიოგაზის გამომუშავების სიჩქარე დამოკიდებულია ბიორეაქტორში ჩატვირთული ნარჩენების რაოდენობაზე. ბაქტერიების გავლენის შედეგად ნედლეულიდან (ნარჩენებიდან) გამოიყოფა მეთანისა და ნახშირორჟანგის ნარევი სხვა აიროვან მინარევებთან ერთად (ნახ. 1) [1]. წარმოშობილი აირი გაიყვანება ბიორეაქტორიდან, გაიწმინდება და შეიძლება გამოყენებული იყოს საქართველოში საჭიროებისათვის.



ნახ.1. ბიოგაზის საორიენტაციო შემადგენლობა. შემადგენლი ნივთიერების კონცენტრაცია დამოკიდებულია გამოყენებულ ნედლეულზე და ტექნოლოგიაზე

ბიოგაზის დანადგარის მუშაობის შედეგად მიიღება მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა სასუქი, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო კომპონენტს - აზოტს, ფოსფატს, კალიუმს, მიკრო და მაკრო ელემენტებს. არ შეიცავს პათოგენურ მიკროფლორას, გელმიტების კვერცხებს, სარეველა მცენარეების თესლს, ნიტრიტებს და ნიტრატებს, სპეციფიკურ ფეკალურ სუნს. ასეთი თხევადი სასუქები უზრუნველყოფენ მოსავლიანობის გაზრდას 2-3 ჯერ, კულტურის სახის მიხედვით, აუმჯობესებს ნიადაგის მდგომარეობას, მოქმედებს მცენარეებზე გამოყენებისთანავე, ამცირებს ნიადაგის მევიანობას, ზრდის მცენარეების მდგრადობას გარემოს გაფლენის მიმართ, განსაკუთრებით გვალვის დროს. მათი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ კლიმატურ ზონაში ყველა სახის ნიადაგისათვის [2].

ბაქტერიები, რომლებიც გამოყოფენ მეთანს, მიძინებულ მდგრმარეობაში იმყოფებიან უშუალოდ ნედლეულში. მათი აქტიურობა იზრდება გარკვეული ტემპერატურის დროს. ტემპერატურული რეჟიმი, რომლის დროს მიმღინარეობს მეთანური დუღილი, დაყოფილია სამ ტიპად. ფსიქოტროპული ტემპერატურული რეჟიმი ხორციელდება დიაპაზონში 20 დან 25°C-მდე, მეზოფილური - 25 დან 40°C-მდე, თერმოფილური 40°C-ზე მეტი ტემპერატურის დროს. ფსიქოტროპული რეჟიმი არ მოითხოვს დამატებით შეთბობას, მიმღინარეობს დამატებითი ტემპერატურული კონტროლის გარეშე და გამოიყენება შესაბამის კლიმატურ ზონებში, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს არა ნაკლებ 18-20°C. მეზოფილური და თერმოფილური პროცესები მოითხოვენ გარე სითბოს წყაროს არსებობას და ტემპერატურის კონტროლს. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა მით უფრო მეტი წარმადობით მიმღინარეობს ბიოგაზის წარმოშობა. მაგრამ მაღალი ტემპერატურის დროს მეთანის შემცველობის პროცენტი ბიოგაზში შეიძლება შემცირდეს. ამის გარდა გადამუშავებულ პროდუქტში ნაკლები იქნება აზოტის შემცველობა. თერმოფილური რეჟიმის გამოყენებისას ნარჩენებისა და ფეკალური მასების გაუვნებლობა მიმღინარეობს უკეთესი ხარისხით, ვიდრე მეზოფილური რეჟიმის დროს. ამიტომ მიზანშეწონილია ის გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როცა უმთავრესია სანიტარული დამუშავების უზრუნველყოფა. ამიტომ პრაქტიკაში მირითადად გამოიყენება ბიოგაზის მიღების მეზოფილური რეჟიმი [3].

სოფლის კერძო და ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობისათვის აჭარის რეგიონში განხორციელდა პროექტი „ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები აჭარის მაღალმოიანეთში“. პროექტი განხორციელდა ახალგაზრდა მეცნიერთა კაგშირის მიერ აშშ საელჩოს დემოკრატიის კომისიის ფინანსური მსარდაჭერით. პროექტის ძირითადი მიზანი იყო მაღალმოიანი მუნიციპალიტეტის თემების მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებით. პროექტი განხორციელდა ქადაგის მუნიციპალიტეტში სადაც, ოთხ თემში (დაბა ქადაგის თემის სოფელი კორმოხედი; მერისის თემი სოფელი მერისი; ცხმორისისთვემი სოფელი კოკოტაური; პირველი მაისის თემი სოფელი კოლოტაური) აშენდა საცდელ-სადემონსტრაციო სათბური და ბიოგაზის მისაღები დანადგარი (ნახ. 2) [4].



**ნახ.2. ბიოგაზის დანადგარი ქედის მუნიციპალიტეტში**

ნაკელის ის რაოდენობა, რომელიც მიიღება საძოვრებზე გასულ ერთ სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან იანგარიშება ფორმულით [5]:

$$H = \left[ (C_{\text{მდ}} - A) \cdot \frac{100 - k}{100} + A \right] \cdot 10 + P$$

სადაც C<sub>მ</sub> - პირუტყვის რაციონში მშრალი ნივთიერების რაოდენობა, ტ; A - საკვების მშრალი ნივთიერების დანაკარგები, რომელიც გადაღის ნაკელში, ტ; k - რაციონის მშრალი ნივთიერების გადამუშავების კოეფიციენტი (მსხვილი რქოსანი პირუტყვისათვის 55%); P - პირუტყვის საფენის რაოდენობა, ტ.

ზამთრის პერიოდში, სადგომში მდგარ პირუტყვისათვის ნაკელის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$H = 4 \left( \frac{K_{\text{მ}}}{2} + P \right)$$

სადაც K<sub>მ</sub> - რაციონის მშრალი ნივთიერების რაოდენობა, კგ.

კერძო სასოფლო მეურნეობაში (თუ ეს არ ეხება მსხვილ და საშუალო სიდიდის ფერმებს) ასეთი ფორმულებით ნაკელის რაოდენობის გაანგარიშება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ფერმერისათვის. მხედველობაში მისადებია ისიც, რომ ფორმულებში შემავალი სიდიდეები განსხვავდებიან იმისდამიხედვით, თუ როგორია პირუტყვის შენახვის პირობები და მათი რაციონი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაკელის რაოდენობის გაანგარიშებისათვის ვისარგებლოთ ნორმატიული დოკუმენტებით (ცხრ. 1) [6].

#### ცხრილი 1. ნაკელის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები

| პირუტყვის ჯგუფი   | მაჩვენებლები | ექსპრესნების შემადგენლობა |           |      |
|---|--------------|---------------------------|-----------|------|
|   |              | ექსპრესნები               | მათ შორის |      |
| ხარი  | მასა, კგ     | 40,0                      | 30,0      | 10,0 |
|   | ტენიანობა, % | 86,0                      | 83,0      | 95,0 |
| მეტველი ძროხა   | მასა, კგ     | 55,0                      | 35,0      | 20,0 |
|   | ტენიანობა, % | 88,4                      | 85,2      | 94,1 |
| ხბო   |              |                           |           |      |
| 3 თვემდე  | მასა, კგ     | 4,5                       | 1,0       | 3,5  |
|   | ტენიანობა, % | 91,8                      | 80,0      | 95,1 |
| 6 თვემდე-<br>სახორცე გამოკვებამდე   | მასა, კგ     | 7,5                       | 5,0       | 2,5  |
|   | ტენიანობა, % | 87,4                      | 83,0      | 96,2 |
| სახორცე გამოკვებამდე<br>4 დან 6 თვემდე  | მასა, კგ     | 14,0                      | 10,0      | 4,0  |
|   | ტენიანობა, % | 87,2                      | 83,5      | 96,5 |
| ნაზარდი   |              |                           |           |      |
| 6-12 თვე  | მასა, კგ     | 14,0                      | 10,0      | 4,0  |
|   | ტენიანობა, % | 87,2                      | 83,5      | 96,5 |
| 12-18 თვე   | მასა, კგ     | 27,0                      | 20,0      | 7,0  |
|   | ტენიანობა, % | 86,7                      | 83,5      | 96,0 |
| გამოკვებაზე:  |              |                           |           |      |
| 6-12 თვე  | მასა, კგ     | 26,0                      | 14,0      | 12,0 |
|   | ტენიანობა, % | 86,2                      | 79,5      | 94,1 |
| 12 თვეზე მეტი   | მასა, კგ     | 35,0                      | 23,0      | 12,0 |
|   | ტენიანობა, % | 84,9                      | 80,1      | 94,2 |
| შენიშვნა:   |              |                           |           |      |
| ექსპრესნების მშრალი ნივთიერების სიმკრივე მიიღება 1250 კგ/მ <sup>3</sup> , მშრალი ნივთიერების ნაცრიანობა - 16% |              |                           |           |      |

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 100 კგ მშრალი ნივთიერება იძლევა 2,5-5,0 მ<sup>3</sup> ბიოგაზს. 6 - 10 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან დღე-დამეში საშუალოდ ვლებულობთ 75 - 125 კგ ნაკელს, რაც გვაძლევს 3,0 - 5,0 მ<sup>3</sup> ბიოგაზს. სხვა საქონლის ექსკრემენტების გამოყენებისათვის ცხრილში 2 მოყვანილია ბიოგაზის გამოსავლიანობა კილოგრამ მშრალ ნივთიერებაზე [4]. როგორც ცხრილი 2-ის მონაცემებიდან ჩანს მერძევე ძროხა იძლევა 88,4% ტენიანობის 55 კგ ექსკრემენტს. ეს კი შეესაბამება 12,5 კგ 20% მშრალ ნაკელს.

#### ცხრილი 2. ბიოგაზის გამოსავლიანობა კილოგრამ მშრალ ნარჩენებიდან


| საქონელი                    | გაზის გამოსავლიანობა ლ/კგ-მშრ.<br>ნივთიერება |
|-----------------------------|--|
| ღორი                        | 340-550                                      |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 90-310                                       |
| ქათამი                      | 310-620                                      |
| ცხენი                       | 310-620                                      |
| ცხვარი                      | 90-310                                       |

მიღებული 2/3 მეთანის შემცველობის გაზის კალორიულობა შეადგენს 4500 - 6000 კკალ/მ<sup>3</sup>. ოჯახში რვა მერძევე ძროხის ყოლის შემთხვევაში დღე-დამეში მივიღებთ საშუალოდ 100 კგ ნაკელს ან 3,0 -5,0 მ<sup>3</sup> ბიოგაზს. ეს კი შეადგენს 30 000 კკალ/დ.დ. ან 1,45 კკბ/სთ. ასეთი რაოდენობის ენერგია სავსებით საკმარისია ოჯახის ენერგეტიკული უზრუნველყოფისათვის. ცხრილი 1-ის მონაცემების გათვალისწინებით (ბიომასის დუღილის ტემპერატურა - 30 - 35°C.) რვა პირუტყვი 45 დღეში მოგვცემს 16 მ<sup>3</sup> ბიოგაზს. ბიოგაზის დანადგარის მოცულობები საქონლის რაოდენობის მიხედვით მოცემულია ცხრილში 3.

#### ცხრილი 3. ბიოდანადგარის მოცულობა და საქონლის რაოდენობის ფარდობითობა

| შინაური ცხოველები | 4,6 მ <sup>3</sup> | 8 მ <sup>3</sup> | 12 მ <sup>3</sup> | 16 მ <sup>3</sup> |
|-------------------|--------------------|------------------|-------------------|-------------------|
| მერძევე ძროხა     | 2                  | 3                | 5                 | 8                 |
| მეხორცული ძროხა   | 3                  | 6                | 12                | 18                |
| ხარი              | 2                  | 3                | 8                 | 13                |
| ღორი              | 10                 | 15               | 25                | 38                |

ბიოდანადგარები წარმოადგენს საკმაოდ მარტივ ბეტონის კონსტრუქციას, დახურულს ლითონის ზარსუფით (სურ. 3). ტიხერის ქვედა ნაწილში დატოვებულია ნახვრეტი ფართობით 0,5მ<sup>2</sup>. კონსტრუქციის ორივე მხრიდან მიერთებულია მილი. ბიოველი - ბიოდანადგარში საქონლის ექსკრემენტების მისაწოდებლად, მეორე - გადამუშავებული ნაკელის ბუნკერში მისაწოდებლად.



ნახ. 3. 12 მ<sup>3</sup> ბიოგაზადგარი

ა) ზოგადი ხედი იზომეტრიაში; ბ) სქემა: 1 - შემრევი; 2 - გამყოფი კედელი; 3 - ბიოდანადგარის კედელი; 4 - გამყვანი მილი; 5 - შემრევის ღერძი; 6 - მიმწოდებელი მილი; 7 - ბიოდანადგარის ძირი; 8 - ჰიდროჩამპეტი; 9 - ზარხუფი; 10 - ზარხუფის შემზღვდავი; 11 - შემზღვდავის ღერძი; 12 - მიმღები ბუნკერი; 13 - გადამუშავებული ნაკელის ბუნკერი.

კონსტრუქციული ელემენტების ზომების გათვალისწინებით ბიოგაზის დანადგარის ზომები და მოცულობა შეიძლება მიღებული იყოს შემდგები თანაფარდობის მიხედვით (ცხრ.4). დანადგარის ირგვლივ სასურველია თიხის 150 – 200 მმ გარსაცმის (ფენის) მოწყობა.

#### ცხრილი 4. ბიოგაზის დანადგარის საორიენტაციო ზომები

| სიმაღლე, მ | შიდა რადიუსი, მ | გარე რადიუსი, მ | ბიოგაზის დანადგარის მოცულობა, მ <sup>3</sup> |
|------------|-----------------|-----------------|--|
| 2,1        | 1,15            | 1,45            | 4,6  |
| 2,3        | 1,46            | 1,76            | 8,0  |
| 2,42       | 1,70            | 1,99            | 12,0   |
| 2,46       | 1,94            | 2,24            | 16,0   |
| 2,72       | 2,43            | 2,73            | 30,0   |

მოუვანილი რეკომენდაციების და მონაცემების მიხედვით კერძო პირს შეუძლია დამოუკიდებლად ააგოს ბიოგაზის დანადგარი მსხვილი რქოსანი პირუტყვის (ან სხვა საქონლის) რაოდენობის მიხედვით და მიიღოს როგორც ბიოგაზი ასევე მაღალი ხარისხის ორგანული სასუქი.

#### ლიტერატურა

1. Биогазовая установка своими руками. Интернет мифы и сельская реальность. <http://econet.ru/articles/132683-biogazovaya-ustanovka-svoimi-rukami-internet-mify-i-selskaya-realnost>.
2. Альтернативный источник экологически чистой энергии - иогаз.<http://www.myshared.ru/slide/1015785>.
3. Температурные режимы обработки отходов при получении биотоплива [https://nomitech.ru/articles-and-blog/temperaturnye\\_rezhimy\\_obrabotki\\_otkhodov\\_pri\\_poluchenii\\_biopliva/](https://nomitech.ru/articles-and-blog/temperaturnye_rezhimy_obrabotki_otkhodov_pri_poluchenii_biopliva/).
4. თანამედროვე სახელმწიფო სამეცნიერო ტექნოლოგიები აჭარის მადალმთიანეთში. აშშ საელჩოს საქართველოში გრანტის მასალები 25.09.2009 – 24.09.2010 წწ.
5. Брюханов А.Ю., Шалавина Е.В., Васильев Э.В. Методика укрупненной оценки суточного и годового выхода навоза/помета. //Молочнохозяйственный вестник, №1 (13), 2014, сс. 78-84.
6. Нормы технологического проектирования систем удаления и подготовки к использованию навоза и помета. НТП 17-99\*. Министерство сельского хозяйства РФ. Москва, 2001.

#### SUMMARY

#### BIOGAS PLANTS DESIGNED FOR INDIVIDUAL FARMS

Megrelishvili Z.N., Loria M.D., Chkhaidze D.T., Gobadze L.N. and Khutsishvili B.G.

Shota Rustaveli State University, Batumi

The paper deals with biogas plants for application on farming economies. It is possible to produce a high-quality organic fertilizer along with biogas. The fertilizer can also be used on individual farms. There are given recommendations on building of individual biogas plants.

**Keywords:** biogas, biogas plant, farm.

ალაზნის მდგრადი ნიაღაბების და ხელოვნური ფასაცავების მკოლობიში  
მდგრადი შეზასება

ბაქრაძე ე.მ., შავლიაშვილი ლ.უ., გუჭავა გ.პ., ხმიადაშვილი ს.ა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

გარემოსეროვნული სააგენტო


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების, კერძოდ კი, საკვები რესურსების შემცირების პროცესის სულ უფრო მწვავდება. პირველ რიგში ეს ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენული ზემოქმედების გამო სულ უფრო მცირდება. თანაც ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოში, კახეთის რეგიონში, ალაზნის ველის დამლაშებულ და ბიცობიან ნიაღაბებზე, რომლებიც დეგრადირებული ნიაღაბების ერთ-ერთი გამოხატულებაა, სადაც განთავსებულია ხელოვნური წყალსაცავების ჭარბი რაოდენობა.


თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების, კერძოდ კი, საკვები რესურსების შემცირების პროცესის სულ უფრო მწვავდება. პირველ რიგში ეს ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენული ზემოქმედების გამო სულ უფრო მცირდება. თანაც ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოში, კახეთის რეგიონში, ალაზნის ველის დამლაშებულ და ბიცობიან ნიაღაბებზე, რომლებიც დეგრადირებული ნიაღაბების ერთ-ერთი გამოხატულებაა, სადაც მიუხედავად მოსახლეობისათვის კეთილსასურველი ეფექტისა (თევზის მოშენება სარეალიზაციოდ, რაც იწვევს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას) ხელოვნური წყალსაცავები უარყოფით ეფექტსაც იძლევა. ასეთ ეფექტთა რიცხვს მიეკუთვნება სახნავი მიწების განადგურება, მათი დაჭაობება და სხვა. ხელოვნური წყალსაცავების ექსპლუატაციის პირობებში მოსალოდნელია დაჭაობების პროცესების გაძლიერება, პიდროლოგიური პროცესების გარდაქმნა და სხვა. მით უმეტეს ალაზნის ველის დამლაშებულ ნიაღაბებზე, რომლებიც ხასიათდება მძიმე მექანიკური შედგენილობით. ამ ნიაღაბების ცუდი წყალგამტარობა და გრუნტის წყლის სიახლოვე (1,5-3 მ) იწვევს ნიაღაგის ჭარბებისანობას [1], რის გამოც ისედაც დამლაშებული ნიაღაბები გარდაიქმნებიან მლაშობებად და ჭაობებად. მათზე ხელოვნური წყალსაცავების დაშრობის (გაუქმების) შემდეგაც კი გართულებული იქნება მელიორაციული ღონისძიებების ჩატარება. ამრიგად, ისედაც მცირებიანი საქართველოსათვის კიდევ უფრო შემცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები-განთავსებულია ხელოვნური წყალსაცავების ჭარბი რაოდენობა.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს ალაზნის ველზე განთავსებული ხელოვნური წყალსაცავების ქიმიური და მიკრობიოლოგიური შედგენილობის კვლევა (ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის უზრუნველსაყოფად), აგრეთვე მათი მიმდებარებულიტორიტორიების ნიაღაბების ინტეგრირებული შესწავლა, რადგან იგი ერთ-ერთი გადაუდებელი ქმედებაა ანთროპოგენული არასასურველი მოქმედების შესარბილებლად და/ან აღსაკვეთად. ხელოვნური წყალსაცავები მარაგდება ქვემო ალაზნის სარწყავი არხის წყლით, რომელიც იკვებება მდ. ალაზნის წყლით. აქ მოშენებულია ბრტყელ შებლა, კარპი, ალაზნის ლოქო და სხვა ჯიშის თევზები. წყლის სინჯების აღება მოხდა 2016 წელს კვარტალში ერთხელ, რომელშიც განისაზღვრა ქიმიური [2] და მიკრობიოლოგიური კომპონენტები [3], ხოლო ნიაღაგის ნიმუშებში - 6 თვეში ერთხელ, რომელშიც განისაზღვრა pH, მშრალი ნაშთი, შთანთქმული ფუძეები და სხვა [4]. კვლევები გაგრძელდება 2017 წელსაც. ნახ.1 და 2-ში მოყვანილია 2016 წ-ს სოფ. ძველი ანაგის და გურჯაანის ნიაღაბების მარილიანობის (მშრალი ნაშთის) შედეგები ბალანის ქვეშ, რომელიც მდებარეობს ხელოვნური წყალსაცავების მიმდებარებულიტორიტორიაზე 20 მ-ის დაცილებით. დაკვირვებები ტარდებოდა ზამთრისა

და ზაფხულის სეზონებში. როგორც ნახაზიდან ჩანს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი ანაგის ნიადაგებში თებერვლის თვეში მშრალი ნაშთი მერყეობს 0,610-1,956 %-ის ფარგლებში. 0-20 სმ სიღრმეში მისი შემცველობა შეადგენს 0,610 %-ს და მაქსიმუმს აღწევს 60-80 სმ სიღრმეზე. ეს ნიადაგი ეკუთვნის საშუალოდ და სიღრმეში ძლიერ და მეტად ძლიერი დამლაშებული ნიადაგების კატეგორიას, ხოლო გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ახაშნის ნიადაგებში მშრალი ნაშთი მერყეობს 0,060-0,088 %-მდე. ნიადაგი, რომლის მშრალი ნაშთი ნაკლებია 0,3 %-ზე ეკუთვნის დაუმლაშებელი ნიადაგების კატეგორიას, რასაც მიეკუთვნება ჩვენი საკვლევი გურჯაანის ნიადაგები. როგორც ზაფხულის (აგვისტო) დაპვირვებიდან ჩანს, ძველი ანაგის ნიადაგებში აღინიშნება მშრალი ნაშთის მატება (0,610-1,956%). აგვისტოს თვეში პროცენტუალურად მოხდა მარილების ამოსვლა ნიადაგის პროფილში და მათი მაქსიმალური რაოდენობა შეადგენდა 1,956% 60-80 სმ სიღრმეზე. ამ პერიოდში მარილთა გადაადგილება აღინიშნება ნიადაგის ზედა ფენებში, რაც განპირობებულია ისეთი გაერთიანებული ფაქტორების მოქმედებით, როგორიცაა ნიადაგის მაღალი ტენიანობა, ჰაერის ტემპერატურის აწევა, ნიადაგის გამოშრობა, ნალექების ინტენსიური აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან.




ნახ. 1. მშრალი ნაშთის შემცველობა, % (ძველი ანაგა, ბალახი), II, VIII 2016



ნახ. 2. მშრალი ნაშთის შემცველობა, % (გურჯაანი, ბალახი), II, VIII, X 2016

ამ ფაქტორებს ემატება გრუნტის წყლები, რომლებიც ახლოს მდებარეობენ ზედაპირიდან, რის შედეგადაც ხდება კაპილარულ-გრუნტული და ტენიანება, რომლის დროსაც ნიადაგში ადგილი აქვს ტენის აღმავალ დინებას. ამის გამო გვალვიან და შშრალ პერიოდში ნიადაგ გრუნტის წყლის უშუალო აორთქლებას თან სდევს ნიადაგის ზედა ფენებში მარილების დაგროვება და დამლაშების პროცესის გაძლიერება. ანალიზებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებრივი ბალანსის ნიადაგებისათვის დამახასიათებელია - ნიადაგში მარილების გადაადგილება და განაწილება. კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური ფაქტორების პირობებში პროფილის სხვადასხვა ნაწილებში ხდება მორიგეობითი დამლაშება და განმლაშება. ამავე დროს მარილების შემადგენლობა ძირითადად იცვლდება 40-80 სმ-ის ფენაში. როგორც ნახვა-დან ჩანს ანიონების მიხედვით ქლორის იონების შეფარდება სულფატებთან გაცილებით ნაკლებია და ბუნებრივი ბალანსის ქვეშ დამლაშება ეკუთვნის სულფატური ტიპის დამლაშებას. ამ ტიპის ნიადაგებში დამლაშება გამოწვეულია კლიმატური ფაქტორების გავლენით, განსაკუთრებით ნალექებით და აორთქლებით, რადგან ამ ნიადაგების დამლაშება არ ექვემდებარება ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებას (დამუშავება, მორწყვა და სხვ).



ნახ. 3. იონების შემცველობა (ძველი ანაგა-ბალანსი), 02.2016წ.

კათონების მიხედვით დამლაშების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს როგორც ტუბე-ნატრიუმიანი, სადაც ნატრიუმის და კალციუმის იონები აღემატებიან მაგნიუმის იონებს. ნატრიუმის და კალციუმის იონები ამ ნიადაგებში არიან თანაბარი შეფარდებით, მაგრამ მათი გავრცელება პროფილში სხვადასხვანაირია: პროფილის ზედა პირველ მეტრში ჭარბობები ნატრიუმის კათონები, ხოლო პროფილის სიღრმეში კალციუმის კათონები. რადგან ნატრიუმის სულფატი ( $\text{Na}_2\text{SO}_4$ ) ეპუთვნის ძალიან ადვილად ხსნადი მარილების ჯგუფს, ხოლო კალციუმის სულფატი ( $\text{CaSO}_4$ ) საშუალოდ ხსნად მარილების ჯგუფს. შესაბამისად, მიმდინარეობს აღვილად ხსნადი მარილების აწევა. ამრიგად, დამლაშებულ ნიადაგებში მორიგეობით მონაცემებით მიმდინარე დამლაშების და განმლაშების პროცესების დროს, ჭარბობს დამლაშების პროცესი, რადგან ნიადაგის ბუნებრივი გამორეცხვა არ წარმოებს, რასაც პირველ რიგში განაპირობებს მასივის ბუნებრივი არადრენირება. ცხრ.1-ში მოცემულია წყალსაცავებში ჩატარებული ანალიზის შედეგები.

ცხრილი 1. აღაზნის გელის წყალსაცავების ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდროქიმიური ანალიზის შედეგები

|    | გაზომილი პარამეტრები      | სიფნაცია, მცენი ანაბა |                       |                       |                       |                       |                       |
|----|---------------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
|    |                           | ახალი<br>შეცვლილებები | ძველი<br>შეცვლილებები | ახალი<br>შეცვლილებები | ძველი<br>შეცვლილებები | ახალი<br>შეცვლილებები | ძველი<br>შეცვლილებები |
|    |                           | თებერვალი             |                       | მაისი                 |                       | ოქტომბერი             |                       |
| 1  | ტემპერატურა, °C           | 6,2                   | 6,3                   | 12,4                  | 12,3                  | 11,8                  | 11,5                  |
| 2  | სუნი, ბალი                | 0                     | 0                     | 0                     | 0                     | 0                     | 0                     |
| 3  | გამჭირვალობა, სმ          | 11                    | 10                    | 9                     | 7                     | 9                     | 10                    |
| 4  | pH                        | 8,22                  | 8,21                  | 7,64                  | 7,41                  | 7,84                  | 7,97                  |
| 5  | კარბონატი, მგ/ლ           | 3,0                   | 3,3                   | -                     | -                     | -                     | -                     |
| 6  | ნახშირორუანგი, მგ/ლ       | -                     | -                     | 2,0                   | 2,7                   | 1,58                  | 1,23                  |
| 7  | ჰიდროკარბონატი, მგ/ლ      | 217,16                | 146,40                | 124,44                | 170,8                 | 146,44                | 183,0                 |
| 8  | სიხისტე, მგჰქვ/ლ          | 3,92                  | 4,22                  | 2,47                  | 4,20                  | 3,77                  | 5,04                  |
| 9  | ამონიუმი, მგN/ლ           | 0,562                 | 0,684                 | 0,569                 | 0,685                 | 0,342                 | 0,677                 |
| 10 | კალციუმი, მგ/ლ            | 55,78                 | 55,40                 | 31,10                 | 54,02                 | 46,53                 | 65,16                 |
| 11 | მაგნიუმი, მგ/ლ            | 13,78                 | 17,69                 | 11,22                 | 18,27                 | 17,57                 | 21,75                 |
| 12 | ელექტროგამტარობა, мсмс/cm | 999                   | 887                   | 289                   | 486                   | 315                   | 548                   |
| 13 | გასსნილებანგბადი, მგ/ლ    | 6,95                  | 6,01                  |                       |                       |                       |                       |
| 14 | ჟბადი, მგ/ლ               | 4,25                  | 5,75                  |                       |                       |                       |                       |
| 15 | ნიტრატი, მგ/ლ             | <0,001                | <0,001                | 0,715                 | 0,003                 | 0,169                 | 0,147                 |
| 16 | ნიტრიტი, მგ/ლ             | 0,003                 | 0,006                 | 0,424                 | 0,006                 | 0,008                 | 0,329                 |
| 17 | ფოსფატი, მგ/ლ             | 0,063                 | 0,020                 | 0,160                 | 0,022                 | 0,485                 | 0,194                 |
| 18 | ფტორი, მგ/ლ               | 0,107                 | 0,133                 | 0,138                 | 0,192                 | 0,140                 | 0,155                 |
| 19 | სულფატები, მგ/ლ           | 396,26                | 606,59                | 75,18                 | 237,40                | 80,62                 | 153,47                |
| 20 | ქლორიდები, მგ/ლ           | 41,95                 | 40,83                 | 5,82                  | 37,33                 | 7,14                  | 53,31                 |
| 21 | ნატრიუმი, მგ/ლ            | 64,0                  | 280,0                 | 11,5                  | 42,5                  | 14,5                  | 65,5                  |
| 22 | კალიუმი, მგ/ლ             | 2,6                   | 4,5                   | 0,9                   | 2,2                   | 1,0                   | 2,0                   |
| 23 | მინერალიზაცია, მგ/ლ       | 791,55                | 1051,2                | 284,72                | 502,36                | 315,39                | 546,13                |
| 24 | სპილენი, მგ/ლ             | 0,0058                | 0,0044                | 0,0043                | 0,0048                | 0,0029                | 0,0031                |
| 25 | ტენია, მგ/ლ               | 0,0016                | 0,0036                | 0,0016                | 0,0012                | 0,0009                | 0,0019                |
| 26 | კერცელი, მგ/ლ             | 0,0006                | 0,0006                | 0,0002                | 0,0002                | 0,0004                | 0,0018                |

როგორც ჩატარებული ანალიზის შედეგები გვიჩვენებს წყალსაცავების pH მერყეობს 8,21 - 8,22-ს ფარგლებში, ე.ი. არის რეაქცია გადახრილია ტუტე მიმართულებით. წყლის pH განსაზღვრავს უანგვა-აღდგენით პოტენციალს და მასზეა დამოკიდებული წყლის თვითგაწმენდის უნარი. კათიონებიდან ჭარბობს  $\text{Ca}^{++}$ -ის,  $\text{Mg}^{++}$ -ის და  $\text{Na}^+$ -ის იონები ( $\text{Ca}^{++} > \text{Mg}^{++} > \text{Na}^+$ ) რომლებიც შესაბამისად მერყეობენ:  $\text{Ca}^{++}$  - 55,40 - 55,78,  $\text{Mg}^{++}$  - 17,69 - 21,60, ხოლო  $\text{Na}^+$  - 18,5 - 42,5 მგ/ლ-ის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კათიონების შემცველობა ზამთრის თვეებში (თებერვალი) მაღალია, რაც ჩვენი მოსაზრებით განპირობებულია იმით, რომ წლის ციკ პერიოდში ქვემოალაზნის არხის წყალი იკეტება და წყლის რაოდენობა წყალსაცავებში საგრძნობლად შემცირებულია. ანიონებიდან აღსანიშნავია ჰიდროკარბონატების შედარებით მაღალი შემცველობა 146,40 - 217,16 მგ/ლ-მდე. ქლორის იონების შემცველობა  $\text{Mg}^{++}$ -ის 40,83 - 41,95 მგ/ლ-ს ფარგლებში. მაღალია სულფატების შემცველობა (396,26 - 606,59 მგ/ლ). შესაბამისად მაღალია მინერალიზაცია და შეადგენს 791,55 - 1051,2 მგ/ლ. ხელოვნური წყალსაცავების წყალი მიეკუთვნება ზომიერი მინერალიზაციის (500-1000 მგ/ლ)

მქონე წყლებს [5]. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი წყალსაცავის წყალს ცოტა უკლია რათა ის მივაკუთხოვ მაღალი მინერალიზაციის ( $>1000$  მგ/ლ) მქონე წყლებს, ხოლო ძველი წყალსაცავის მინერალიზაცია აღემატება 1000 მგ/ლ-ს, ამიტომ ის შეიძლება მივაკუთხოვ მაღალი მინერალიზაციის მქონე წყალსაცავების კატეგორიას. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული წყალსაცავები განთავსებულია მლაშე ნიადაგებზე, სადაც გრუნტის წყლის მინერალიზაცია შეადგენს 5212 3 მგ/ლ და მეტსაც, შესაძლებელია მათი შედინება წყალსაცავის წყლებში.

მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ ბიოგენური ელემენტები (აზოტი, ფოსფორი), რომლებიც ასახავენ ზედაპირული წყლების დაბინძურების ხარისხს და არიან ანთროპოგენული დატვირთვის ინდიკატორები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ცალკეული ფორმების ( $\text{NO}_2^-$ ,  $\text{NO}_3^-$ ,  $\text{NH}_4^+$ ,  $\text{PO}_4^{3-}$ ) შემცველობების კონტროლი წყალში, რომლებიც ახასიათებენ ისეთი პროცესების გაძლიერებას, როგორიცაა ფერალური დაბინძურება, ევტროფიკაცია, გამოწვეული კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების ჩაშვებით მდინარეში. მიღებული ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ ხელოვნური წყალსაცავის წყლებში აზოტის მინერალური ფორმებიდან ( $\text{NO}_2^-$ ,  $\text{NO}_3^-$ ,  $\text{NH}_4^+$ ) განსაკუთრებით გამოირჩევა ამონიუმის იონები (0,562 - 0,684 მგN/ლ), რომელთა შემცველობა თებერვლის თვეში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. ნიტრიტების, ნიტრატების და ფოსფატების კონცენტრაციები არ აღემატება შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. მძიმე ლითონების ( $\text{Cu}, \text{Pb}, \text{Ag}$ ) შემცველობა ხელოვნური წყალსაცავების წყალში ნორმის ფარგლებშია. თევზები ადამიანთან და თბილსისხლიან ცხოველებთან შედარებით უფრო მეტად მგრძნობიარენი არიან ტოქსიკური ნივთიერებების მიმართ. ლაუზების საშუალებით მათ ორგანიზმში ხვდება უფრო მეტი ტოქსიკური ნივთიერება, ვიდრე ადამიანი ან თბილსისხლიანი ცხოველი ლებულობს ჰაერიდან სუნთქვის დროს [6]. როგორც ცნობილია, დამლაშებულ ნიადაგებში დიდი რაოდენობით გვხვდება ტოქსიკური მარილები, როგორც ნიადაგში, ასევე გრუნტის წყლებში. ასეთებია: მარილმჟავა და ნახშირმჟავა ნატრიუმის მარილები -  $\text{NaCl}$ ,  $\text{MgCl}_2$ ,  $\text{CaCl}_2$ ,  $\text{Na}_2\text{CO}_3$ ,  $\text{NaHCO}_3$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4$  და  $\text{MgSO}_4$ . რომელთა შორის ყველაზე მაღალი ტოქსიკურობა სოდას ახასიათებს, ხოლო ყველაზე ნაკლები - სულფატებს. მათ შორის გარდამავალი ადგილი უკავიათ ქლორიდებს. ბუნებრივია, ეს ტოქსიკური მარილები ადგილად ხვდებიან ნიადაგიდან და გრუნტის წყლებიდან ხელოვნურ წყალსაცავებში და იწვევენ მათ დაბინძურებას, რაც მეტად ყურადსალები ფაქტორია, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც [7]. ცხრ.2-ში მოცემულია ხელოვნური წყალსაცავების მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.

**ცხრილი 2. ალაზნის ველის ხელოვნური წყალსაცავების მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები, 02.2016**

| განსაზღვრული<br>ინგრედიენტები | ერთეული               | სიღნაღი, სოფ.ძველი ანაგა |                     |
|-------------------------------|-----------------------|--------------------------|---------------------|
|                               |                       | ახალი<br>წყალსაცავი      | ძველი<br>წყალსაცავი |
| ტოტალური კოლიფორმები          | 1 დმ <sup>3</sup> -ში | 8 000                    | 9 000               |
| 1 დმ <sup>3</sup> -ში         | 1 დმ <sup>3</sup> -ში | 5 000                    | 7 000               |
| ზეპალური<br>სტრეპტოკობი       | 1 დმ <sup>3</sup> -ში | 600                      | 750                 |

წყლის დაბინძურების შედეგად იცვლება როგორც მისი ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, სიმღვრივე), ასევე ქიმიური შედგენილობა (ორგანული, ბიოგენური ნივთიერებები, მძიმე ლითონები და სხვ.) და მიკროფლორა. წყლის ბაქტერიოლოგიურ

სისუფთავეს აფასებენ ნაწლავის ჩეირების (E-coli) რაოდენობით 1 ლ წყალში (კოლი-ინდექსი). კოლიინდექსის მაღალი მნიშვნელობა წყლის ფერალური დაბინძურების მაჩვენებელია, რაც ჩვენი ჩატარებული ანალიზის შედეგებიდანაც ნათლად ჩანს (ზღვრულად დასაშვები რაოდენობა 5000 1ლ<sup>-1</sup>-ში). ჩვენ მიერ მიღებული შდეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცემა შესწავლილი წყალსაცავების მეპატრონე ფერმერებს ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს როგორც ეკოლოგოურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, ისე თავიდან იქნება აცილებული სხვა ნეგატიური ქმედებები.

**პროექტი ხორციელდება სხვ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, გრანტი N YS15\_1.2.1.5.\_57.**

#### ლიტერატურა

1. მ. საბაშვილი. ნიადაგმცოდნეობა. -თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970, 354 გვ.
2. Фомин Г.С., Фомин А.Г. Вода. Контроль качества и экологической безопасности по международным стандартам. Справочник. -Москва, 2001.
3. Руководство по методам гидробиологического анализа поверхностных вод и донных отложений. - Ленинград, Гидрометеоиздат, 1983, 240 с.
4. Фомин Г.С. Фомин А.Г. Почва, контроль качества и экологические безопасности по международным стандартам. – Москва, ВНИИ, Стандарт, 2001, 300 с.
5. გ. სუპატაშვილი. გარემოს ქიმია. -თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 186 გვ.
6. ქ. ბილაშვილი, მ. ელიზბარაშვილი, ნ. წიგწივაძე. ზღვის ეკოლოგია. -თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 238 გვ.
7. ლ. შავლიაშვილი, გ. კორძახია, ე. ელიზბარაშვილი, გ. კუჭავა, ნ. ტუდუში. კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე ალაზნის ველის დამდაშებული ნიადაგების დეგრადაცია. - თბილისი, უნივერსალი, 2014, 182 გვ.

#### SUMMARY

#### ASSESSMENT OF THE ECOLOGICAL STATE OF SOIL AND ARTIFICIAL RESERVOIRS IN THE ALAZANI VALLEY

Bakradze E.M., Shavliashvili, L.U., Kuchava G.P. and Khmiadashvili S.A.

National Environmental Agency of the Ministry of Environment and National Resources Protection of Georgia

Institute of Hydrometeorology at the Georgian Technical University

The paper deals with the assessment of the ecological state of artificial reservoirs, located on saline soil, and the soil of adjoining territories in the Alazani Valley, Georgia. The impact of saline soil and groundwater on the chemical composition of the water of artificial reservoirs was studied. It was revealed that the concentration of some elements was higher than maximum allowable concentrations, while the concentration of heavy metals (Cu, Pb, Ag, etc.) was within the permissible limits. Saline massif soils that are not subject to anthropogenic influence are affected by groundwater and undergo capillary moistening. The climate factor also plays an important role. The soil is subjected to alternating salination and desalination. The composition of salts generally varies in the upper half-meter soil profile. The process of salination prevails, because there does occur flushing of soil due to the fact that the massif has no natural draining.

**Keywords:** ecological state, artificial reservoir, saline soil, groundwater, salination, desalination.

**სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ნიტრატების განსაზღვრის ახალი  
ანალიზური ხელსაწყო**

იაშვილი ნ.გ., მახაშვილი ქ.ა., ტყემალაძე გ.შ., ქვარცხავა გ.რ., ფადიურაშვილი გ.ნ.,  
ჯოხარიძე ზ.გ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ხარისხის კონტროლი თანამედროვეობის აქტუალური პრობლემაა. ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პროდუქტებში ტოქსიკური ნიტრატული აზოვის დაგროვებისა და ადამიანზე მავნე ზემოქმედების შესწავლა. ჩვენი ამოცანა იყო, შეგვექმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ნიტრატების განსაზღვრის ახალი ხელსაწყო.

ადამიანის ორგანიზმში ნიტრატების ძირითადი მასა ბოსტნეულის, ხილისა და კონსერვების საშუალებით, ნაწილი – სასმელ წყალთან, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობა – რძისა და პურ-ფუნთუშეული პროდუქტების სახით ხვდება. ნიტრატებს, მცირე რაოდენობით, ცხოველური საკვებიც (ხორცი, თევზი) შეიცავს.

ნიტრატების მავნებლობაზე ყურადღება გამახვილდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც დაფიქსირდა საზამთროთი ადამიანთა მოწამვლის მრავალი შემთხვევა. ადამიანის ორგანიზმისათვის ნიტრატები, ზოგადად, უსაფრთხოა, მაგრამ პირის დრუში მოხვედრისას ნიტრატები გარდაიქმნება ნიტრიტებად, რომლებიც ხელს უშლის ქსოვილთა სუნთქვას. ამ დროს მკვეთრად იზრდება ქოლესტეროლისა და რძის მევნების შემცველობა. იმავდროულად მცირდება ცილების რაოდენობა. ნიტრატები აძლიერებს კუჭნაწლავის ტრაქტში ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას [1]. ზოგიერთ ბოსტნეულსა და ხილში ნიტრატების შემცველობა მოტანილია ცხრილში.

**ზოგიერთ ბოსტნეულსა და ხილში ნიტრატების შემცველობა**

| №  | პროდუქციის სახე  | ნიტრატების შემცველობა, მგ/კგ |                 |
|----|--|------------------------------|-----------------|
|    |  | დიօ გრუნტში                  | დახურულ გრუნტში |
| 1  | კარტოფილი  | 250                          | -               |
| 2  | კომბოსტო (საადრეო)   | 900                          | -               |
| 3  | კომბოსტო (საგვიანო)  | 500                          | -               |
| 4  | სტაფილო (საადრეო)  | 400                          | -               |
| 5  | სტაფილო (საგვიანო)   | 250                          | -               |
| 6  | პომიდორი   | 150                          | 300             |
| 7  | კიბრი  | 150                          | 400             |
| 8  | ჭარხალი  | 1400                         | -               |
| 9  | ხახვი (თავიანი)  | 80                           | -               |
| 10 | ხახვი (მწვანე)   | 600                          | 800             |
| 11 | ფოთლოვანი ბოსტნეული (ისპანახი, ოხრახუში, ნიახური, ქინძი, კამა და სხვ.) | 2000                         | 3000            |
| 12 | ნესვი  | 90                           | -               |
| 13 | საზამთრო   | 60                           | -               |
| 14 | წიწაპა (ტპბილი)  | 200                          | 400             |
| 15 | ყაბაქი   | 400                          | 400             |
| 16 | ყურძენი (სუფრის)   | 60                           | -               |
| 17 | ვაშლი  | 60                           | -               |
| 18 | მსხალი   | 60                           | -               |

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატული აზოვის დაგროვება და ადამიანზე ზემოქმედება ერთ-ერთი აქტუალური და მწვავე პრობლემაა. ამ საკითხზე მუშაობს მსოფლიოს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. მიუხედავად ამისა, პრობლემის გადაჭრის რადიკალური გზა ჯერ მონახული არ არის.

ნიტრატები აზოტმჟავას მარილებია, რომლებიც ბუნებაში გარკვეული რაოდენობით არსებობს და მცენარისათვის აუცილებელ საკვებს წარმოადგენს. ინტენსიურ მა სოფლის მეურნეობამ გამოფიტა ნიადაგი და საჭირო გახდა ხელოვნური სასუქების შეტანა. თუმცა, ამ უკანასკნელთა მავნე მოქმედება სათანადოდ არ იყო შეფასე-

ბული. მცენარეები სხვადასხვა რაოდენობით აგროვებს ნიტრატებს – ბოსტნეული ბევრად მეტს, ვიდრე ხილი და მარცვლეული. როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ბოსტნეულიდან ნიტრატების შემცველობით გამოირჩევა ჭარხალი, შემდეგ: კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი და მწვანე ხახვი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ნიტრატების მიღების დღიური ნორმა ადამიანის წონის ყოველ კილოგრამზე შეადგენს 5 მგ-ს. ახალშობილისათვის - 10 მგ მომწამვდელია, ხოლო ნიტრატების მცირე დოზაც კი მეტად საშიშია მეტუმცური ქალებისთვის [2-4].


ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის აუცილებელია მწარმოებელს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია ნიადაგის მდგრმარეობის, სარწყავი წყლის ხარისხის და მოყვანილ პროდუქციაში მომწამვდავი ნივთიერებების არსებობის შესახებ. ნიტრატების დონე დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებსა და მინერალური კვების რეჟიმზე. ქიმიური სასუქების არარაციონალური, გაზრდილი და უპასუხისმგებლო გამოყენება იწვევს ნიტრატების შემცველობის ზრდას.

ნიტრატების შემცველობაზე უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანისა და შენახვის აგრონორმების დაუცველობა. ნიტრატებით განსაკუთრებით დასხეულებულია სათბურებში მოყვანილი ბოსტნეული და ხილი, ადრეული და დაუმწიფებელი მოსავალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, სოფლის მეურნეობის პროდუქტის მწარმოებელმა, ასევე მომხმარებელმა და მაკონტროლებელმა ორგანოებმა გარკვეული პერიოდულობით შეამოწმონ საკვები პროდუქტის ვარგისიანობა, ტოქსიკურის დონის განსაზღვრის ტექნიკური საშუალებით.

ბოსტნეულსა და ხილში ნიტრატების შემცველობის განსაზღვრა მათი გარეგნული დათვალიერებით შეუძლებელია. ანალიზურ ქიმიაში ცნობილია ნიტრატების (და ნიტრიტების) განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი [4,5]. ფართოდ გავრცელებულია პოტენციომეტრული მეთოდი, რომელიც ეფუძნება ნიტრატ სელექციური ელექტროდების გამოყენებას, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად და ზუსტად ჩატარდეს ანალიზები.

ნიტრატ სელექციური ელექტროდები მიეკუთვნებიან იონსელექციურ ელექტროდებს - თხევადი მემბრანით. განსაზღვრული ტიპის იონების მიმართ ასეთ მემბრანას შედწევადობისა და მაღალი შერჩევითობის უნარი გააჩნია. ერთ-ერთი ტიპის სელექციური ელექტროდის კონსტრუქცია ნახ. 1.




ნახ. 1. იონსელექციური ელექტროდის კონსტრუქცია  
1.შედარების ელექტროდი; 2. საკვლევი სითხე; 3. იონგაცვლითი ხსნარი; 4. კორპუსი; 5. თხევადი მემბრანა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ნიტრატების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით შეიქმნა სხვადასხვა სახის ავტომატური ხელსაწყო. არსებობს ლაბორატორიული და საწარმოო დანიშნულების ნიტრატმზომები. მომხმარებელს მიეწოდა საყოფაცოვრებო დანიშნულების მოწყობილობებიც. აღნიშნული აპარატურა ეფუძნება თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებსა და პროგრამირებად მიკროკონტროლერებს, ასეთი ხელსაწყოების გამოყენება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს,

ხოლო მათი გაბარიტული ზომები და წონა შესაძლებლობას იძლევა მომხმარებელმა ხელსაწყო თან იქონიოს [1,2,4].

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა საყოფაცხოვრებო დანიშნულების პორტატული ნიტრატმხომის შექმნაზე. დამუშავებულია ხელსაწყოს სტრუქტურული და ფუნქციური სქემები. დამზადებულ იქნა ხელსაწყოს ორი სხვადასხვა საცდელი ნიმუში, რომლებიც გაივლის წინასწარ ლაბორატორიულ გამოცდებს. ნიტრატების განსაზღვრის ანალიზური ხელსაწყოს სტრუქტურის ზოგადი ბლოკ-სქემა ნახ.2-ზე.



### ნახ.2. ნიტრატების განსაზღვრის ანალიზური ხელსაწყოს სტრუქტურის ბლოკ-სქემა

1. გადამწოდი (ზონდი);
2. მაძლიერებელი;
3. ანალოგ-ციფრული გარდამქნელი (აცგ);
4. მიკროკონტროლიორი;
5. ინდიკაციის ტაბლო;
6. კომპიუტერთან კავშირის ინტერფეისი;
7. კვების ბლოკი.



ნახ. 3. ნიტრატების განსაზღვრის საცდელი ხელსაწყო

ნიტრატების განსაზღვრის ანალიზიკური, ჩვენ მიერ დამზადებული, ხელსაწყოს საცდელი ნიმუშის გარეგნული სახე მოცემულია ნახ. 3-ზე.

შემოთავაზებული ხელსაწყო განკუთვნილია არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ნიტრატების ადმოსახენად, არამედ სასმელ წყალსა და ნიადაგებში ნიტრატების კონცენტრაციის ექსპრეს ანალიზისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ნიტრატების კონცენტრაციის განსაზღვრის დიაპაზონი 10-დან 999 მგ/კგ-ის ფარგლებში მერყეობს, ფარდობითი ცდომილება არ აღემატება 3%-ს. ხელსაწყოს კვები შესაძლებელია, როგორც ქსელიდან, ასევე აკუმულიატორის გამოყენებით.

ზოგადად, ხელსაწყო წარმოადგენს პლასტმასის პორტატულ კორპუსში განთავსებულ ელექტრონულ-გამზომ ბლოკს და პირველი გადამწოდს. ეს უკანასკნელი შესრულებულია მეტალის ელექტროდის – ზონდის სახით. იმისათვის, რომ განისაზღვროს ამა თუ იმ პროდუქტში ნიტრატების რაოდენობა, საკმარისია ხელსაწყოს ელექტროდი-ზონდი ჩავარჭოთ პროდუქტში და ხელსაწყოს ეპრანზე გამოისახება ნიტრატების კონცენტრაცია.

ხელსაწყოს საცდელ ნიმუშში წარმოდგენილია გამარტივებული სქემა, სადაც პროდუქტი ნიტრატების კონცენტრაცია არ გამოისახება ციფრებით, არამედ აინთება

ორი სხვადასხვა ფერის ნათურა (შუქდიოდი). მწვანე ფერის შუქდიოდი მიუთითებს, რომ პროდუქტში ნიტრატების რაოდენობა დასაშვებ ფარგლებშია, ხოლო წითელი ფერის ნათურა გვიჩვენებს, რომ ამ პროდუქტში ნიტრატების ჭარბი შემცველობაა, ა. ნიტრატები დასაშვებ ხორმაზე მეტია.

ხელსაწყოს გამოცდის შედეგების გათვალისწინებით მოხდება ელექტრული სქემების კორექტირება და, შესაბამისად, ხელსაწყოს ახალი ეგზემპლიარის დამზადება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელსაწყოზე მუშაობისას გამოიკვეთა ნიტრატზომის აგების სხვა მიღგომაც, რომელიც განხილული იქნება შემდეგში.

#### ლიტერატურა

1. ნ. იაშვილი, ვ. ფადიურაშვილი, თ. ძაგანია. სოფლის მეურნეობის პროდუქტში ნიტრატების განსაზღვრის ხელსაწყოს დამუშავება და დამზადება. /სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების საერთაშორისო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“, თბილისი. 2016, 28-30 სექტემბერი.
2. ზ. ჩაქსელიანი. სოფლის მეურნეობის პროდუქტში ნიტრატების განსაზღვრის ხელსაწყოს დამუშავება და დამზადება. /სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების საერთაშორისო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“, თბილისი. 2016, 28-30 სექტემბერი.
3. Инструкция Нитратомера NUC-019-1. Москва, 2007.
4. Донченко О.В. Безопасность пищевой продукции. –М., Пищепромиздат, 2001
5. ГОСТ 8.626-2013. Приборы для определения содержания нитритов и нитратов в продуктах питания. Методы поверки. –М., Стандартинформ, 2014.

#### SUMMARY

#### ON THE DEVELOPMENT OF AN ANALYTICAL DEVICE FOR MEASURING NITRATES IN AGRICULTURAL PRODUCTS

Iashvili N.G., Makhashvili K.A., Tkemaladze G.Sh., Kvartskhava G.R., Padiurashvili V.N. and Jokharidze Z.G.

Georgian Technical University

The paper deals with the issues of development of an analytical device for measuring nitrates in agricultural products. The device is designed not only for detection of nitrates in agricultural products, but also for express analysis of the concentration of nitrates in potable water and soil. The measurement range is from 10 to 999 mg/kg; relative error – no more than 3%. Power supply: mains or battery.

**Keywords:** analytical device, nitrates, agricultural products, express water analysis.

ბინარული ხსნარების მულტიფალეური საექსპრული ანალიზის შედებების  
სისტემატიურ ცდომილებათა სიღილეზე აჯიტიურობისაბან შესაძლო ბაზარის  
ზებავლენის შევასება და პროგნოზირება

მახვილაძე მ.გ., ჯინჭარაძე დ.გ., ამაშუკელი ნ.ზ., კარგარეთელი გ.თ.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბინარული, ანუ ორი საკვლევი კომპონენტის შემცველი ხსნარების მულტი-  
ცალდური სპექტრული ანალიზის შედეგებში შესაძლოა აღინიშნოს მეტ-ნაკლებად  
მნიშვნელოვანი სიდიდის მქონე სისტემატიური ცდომილებების არსებობა. ამის  
მიზეზს წარმოადგენს ზოგიერთი ნარევის შუქმთანთქმის არაადიტიურობა. ადიტიუ-  
რობისაგან გადახრის (აგ) სიდიდე ( $\Delta D$ ) პირველ რიგში დამოკიდებულია ანალიზის  
ჩატარების პირობებზე და აქ მთავარია ტალღების ანალიზური სიგრძეების (ტას) ის  
დიაპაზონი, რომელიც გამოიყენება ოპტიკური სიმკვრივის გასაზომად.

წევულებრივ აგ-ს, ანუ  $D_S \neq \sum D$  უტოლობის მიზეზად მიაჩნიათ ფოტომეტრიუ-  
ლი გაზომვების შემთხვევითი ცდომილებები. ამავდროულად ცნობილია, რომ  $\Delta D$ -ს  
მნიშვნელობები, ხშირ შემთხვევაში სტატისტიკურად ნიშნადია და ხასიათდება საკ-  
მაოდ მაღალი აღწარმადობით, რაც სისტემატიური ცდომილებების ხელწერაა. ხების-  
მიერ შემთხვევაში, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს ამდაგარი გადახრების წარმოქ-  
მნას, შესაბამისი ნარევების ანალიზის დროს მულტიტალდური სპექტრული ანალი-  
ზის გამოყენებისას გარდაუვალია ანალიზის შედეგების გარკვეული უზუსტობა [1-5].

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა დამოკიდებულება ადიტიურობისაგან  
გადახრების სიდიდეთა და მათ მიერ გამოწვეული ანალიზის შედეგების აბსოლუტურ  
( $\Delta C$ ) და ფარდობით ( $\delta C$ ) ცდომილებათა შორის. აგრეთვე, შექმნილი მათემატიკური  
მოდელის მეშვეობით განხორციელდა ამ ცდომილებათა სიდიდის პროგნოზირება,  
ანალიზის კონკრეტული მეთოდიკის, სიზუსტისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესა-  
ბამისობის შესაფასებლად.

ბინარული ნარევის მულტიტალდური ფოტომეტრიული ანალიზის შედეგების  
დამუშავება პირველ რიგში ტარდება წრფივი განტოლებების სისტემის ამონსნით:

$$\begin{cases} D_1 = \varepsilon_1^M \cdot h \cdot C_M + \varepsilon_1^N \cdot h \cdot C_N \\ D_2 = \varepsilon_2^M \cdot h \cdot C_M + \varepsilon_2^N \cdot h \cdot C_N \end{cases} \quad (1)$$

აქ და შემდგომში  $\varepsilon_1^M, \varepsilon_2^M, \varepsilon_1^N, \varepsilon_2^N$  - M და N ნივთიერებების შთანთქმის მოლუ-  
რი კოეფიციენტებია, შესაბამისად  $\lambda_1$  და  $\lambda_2$  (ნმ) ტალდების სიგრძეებზე,  $C_M$  და  $C_N$  -  
ნარევში M და N კომპონენტების მოლური კონცენტრაციები (მოლი/ლ),  $h$  - მშთანთქავი  
ფენის სისქე,  $D_1$  და  $D_2$  ნარევის ოპტიკური სიმკვრივეები, შესაბამისად  $\lambda_1$  და  $\lambda_2$   
ტალდების სიგრძეებზე. განტოლებათა სისტემის ამონსნა კრამერის მეთოდით  
ზოგადი სახით იძლევა [6,7]:

$$C_M = \frac{(\varepsilon_1^N \cdot D_2 - \varepsilon_2^N \cdot D_1)}{\det} \quad (2)$$

$$C_N = \frac{(\varepsilon_2^M \cdot D_1 - \varepsilon_1^M \cdot D_2)}{\det} \quad (3)$$

სადაც  $\det = h \cdot (\varepsilon_2^M \varepsilon_1^N - \varepsilon_1^M \varepsilon_2^N)$  - მატრიცის მსაზღვრელია (შეკვეცის შემდეგ) და კონ-  
კრეტული ექსპერიმენტისათვის (ტალღათა სიგრძეების კონკრეტული წევილისათვის)

მუდმივას წარმოადგენს; ადსანიშნავია, რომ შთანთქმის მოლური კოეფიციენტების ნუმერაცია შეირჩა ისე, რომ  $\frac{\partial \sigma}{\partial \epsilon} = \frac{\partial \sigma}{\partial \epsilon_1} + \frac{\partial \sigma}{\partial \epsilon_2}$  და  $\frac{\partial \sigma}{\partial \epsilon_1} = \frac{\partial \sigma}{\partial \epsilon_2} > 0$ .

არაადიტიურობის შემთხვევაში, შუქმთანთქმის გაზომილი შედეგები  $(D_1^{ad} = D_1 + \Delta D_1)$  და  $(D_2^{ad} = D_2 + \Delta D_2)$  იძლევა საკვლევ კონცენტრაციათა არასწორ მონაცემებს  $C_M^{ad}$  და  $C_N^{ad}$  ( $C_M^{ad} = C_M + \Delta C_M$  და  $C_N^{ad} = C_N + \Delta C_N$ ). ცხადია, რომ სისტემატიურ ცდომილებებს  $\Delta C_M$  და  $\Delta C_N$  შეიძლება პქონდეთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობები.

ზოგადად, არაადიტიური ნარევის შუქმთანთქმა შეიძლება აღიწეროს განტოლებათა შემდეგი სისტემით:

$$\begin{cases} D_1^{ad} = \epsilon_1^M \cdot h \cdot C_M^{ad} + \epsilon_1^N \cdot h \cdot C_N^{ad} \\ D_2^{ad} = \epsilon_2^M \cdot h \cdot C_M^{ad} + \epsilon_2^N \cdot h \cdot C_N^{ad} \end{cases} \quad (4)$$

ამ განტოლებათა სისტემის ამოხსნა კრამერის მეთოდით იძლევა ნარევში M და N კომპონენტების კონცენტრაციების შემდეგ სიდიდეებს:

$$C_M^{ad} = \frac{(\epsilon_1^N \cdot D_2^{ad} - \epsilon_2^N \cdot D_1^{ad})}{\det} \quad (5)$$

$$C_N^{ad} = \frac{(\epsilon_2^M \cdot D_1^{ad} - \epsilon_1^M \cdot D_2^{ad})}{\det} \quad (6)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $\Delta C_M = C_M^{ad} - C_M$  და  $\Delta C_N = C_N^{ad} - C_N$ , მათში ჩავსვამთ შესაბამისად (2), (5) და (3), (6) განტოლებათა მნიშვნელობებს, შევძლებთ საბოლოოდ გამოვსახოთ ანალიზის აბსოლუტური ცდომილებების სიდიდეთა დამოკიდებულება აღიტიურობისაგან გადახრების სიდიდეზე:

$$\Delta C_M = \frac{(\epsilon_1^N \cdot \Delta D_2 - \epsilon_2^N \cdot \Delta D_1)}{\det} \quad (7)$$

$$\Delta C_N = \frac{(\epsilon_2^M \cdot \Delta D_1 - \epsilon_1^M \cdot \Delta D_2)}{\det} \quad (8)$$

გამოყვანილი ფორმულებიდან გამომდინარეობს:

1) იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც აღიტიურობისაგან გადახრა აღინიშნება მხოლოდ ერთ ტას შემთხვევაში, სისტემატიური ცდომილებები ექნება ორივე კომპონენტის ანალიზის შედეგებს.

2) ანალიზის ცდომილებები იქნება უფრო დიდი (მოდულის მიხედვით), თუ გადახრებს სხვადასხვა ტას-ის დროს აქვთ სხვადასხვა ნიშნები.

3)  $\Delta D$ -ს უცვლელი სიდიდის შემთხვევაში, ანალიზის აბსოლუტური ცდომილებები  $\Delta C_M$  და  $\Delta C_N$  იქნება მით უფრო დიდი (მოდულით), რაც უფრო მცირეა მუდმივა  $\det(h \cdot (\epsilon_2^M \epsilon_1^N - \epsilon_1^M \epsilon_2^N))$ .

წარმოდგენილი დასკვნები სრულ თანხედრაშია ლიტერატურაში განხილულ, ტას შერჩევის თეორიულ რეკომენდაციებთან [8], თუმცა აღნიშნულ ლიტერატურაში რეკომენდაციების მათემატიკური დასაბუთება მოყვანილი არ ყოფილა და საგარაუდოდ მოპოვებული იყო ემპირიულად.

რადგანაც ზოგადად, ქიმიური ანალიზის შედეგების სიზუსტის მიმართ მო-  
თხოვნებს გამოხატავენ ცდომილებების ფარდობითი (და არა აბსოლუტური) ზღვრუ-  
ლად დასაშვები მნიშვნელობების სახით, შესაძლოა (7), (8) განტოლებების გარდაქმნა  
და საანალიზო კომპონენტების კონცენტრაციათა ფარდობითი სიდიდეების გამოსახვა  
შემდგენაირად:

$$\delta C_x = \frac{\delta A_2 \cdot A_2 \cdot b_1 - \delta A_1 \cdot A_1 \cdot b_2}{b_1 \cdot A_2 - b_2 \cdot A_1} \quad (9)$$

$$\delta C_y = \frac{\delta A_1 \cdot A_1 \cdot a_2 - \delta A_2 \cdot A_2 \cdot a_1}{a_2 \cdot A_1 - a_1 \cdot A_2} \quad (10)$$

განტოლებები (9) და (10) იძლევა სრულ შესაძლებლობას განხორციელდეს  
კონკრეტული ბინარული სისტემის, კონკრეტულ  $\lambda_1$  და  $\lambda_2$  ტალღების სიგრძეებზე  
ადიტიურობისაგან გადახრების შედეგად გამოწვეული ფარდობითი სისტემატიური  
ცდომილებების სიდიდეთა შეფასება. ხოლო აქედან გამომდინარე, დადგინდეს კონკ-  
რეტული მეთოდიკის შესაბამისობა ქიმიური ანალიზის შედეგების სიზუსტის  
მოთხოვნებისადმი.

#### ლიტერატურა

1. Антонова Т.В., Вершинин В.И., Дедков Ю.М. Трифенилметановые красители как аналитические реагенты для фотометрического определения полимерных флокулянтов. //Журнал аналит. химии, 2005, Т.60, №3, сс. 278-283.
2. Антонова Т.В., Вершинин В.И., Дедков Ю.М. Влияние катионов металлов на определение полимерных флокулянтов с применением трифенилметановых красителей. //Журнал аналит. химии, 2006, Т.61, №5, сс. 506-509.
3. Сергеев А.Г. Крохин В.В. Метрология. -М.: Логос, 2001, 407с.
4. Гудым В.К., Воробьева Г.А. Теоретическая оценка точности спектрофотометрического анализа многокомпонентных смесей. // Заводск. лаборатория, 1972, №7, сс.778-781.
5. Пилипенко А.Т., Савранский Л.И., Масько А.Н. Уточнение выбора аналитических длин волн методами планирования эксперимента при фотометрическом анализе многокомпонентных систем //Журнал аналит. химии, 1985, Т.40, №2, сс. 232 - 236.
6. [http://mathprofi.net/linear\\_equations/cramer](http://mathprofi.net/linear_equations/cramer) (xelmisawvdomia 05.05.2017).
7. Joan Lambert, MOS 2010 Study Guide for Microsoft Word, Excel, PowerPoint, and Outlook, Microsoft press, 2013, 736 pages.
8. Берштейн И.Я., Каминский Ю.А. Спектрофотометрический анализ в органической химии. -Л., Химия, 1986, 200c.

#### SUMMARY

#### ESTIMATION AND PREDICTION OF THE IMPACT OF POSSIBLE ADDITIVITY DEVIATION ON THE VALUE OF SYSTEMATIC ERRORS IN THE MULTIWAVE SPECTRAL ANALYSIS OF BINARY MIXTURES

**Makhviladze M.G., Jincharadze D.G., Amashukeli N.Z. and Kargareteli G.T.**

**Georgian Technical University**

The research is related to the impact of nonadditivity of binary mixtures on the results of multiwave spectral analysis. The derived formulas provide optimal selection of analytical wavelengths and can be used for prediction of absolute and relative systematic errors based on the value of molar absorption coefficients of mixture components.

**Keywords:**multiwave spectrometry, binary, additivity mixtures, systematic errors.

ოქროშემცველი მედები სულფიდური მაღნების ფლოტაციის პუდების  
გადამუშავებისას პირ- და ელექტროქიმიური გამოტუფვის მეთოდების  
გამოყენების პრესკრიპტივები

ლომიძე ნ.ნ., არაბიძე ზ.დ., ქაკულია ჭ.გ., კანდელაკი მ.შ.

**სსიპ თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური  
ნედლეულის ინსტიტუტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ოქროს ამოდება მედები სულფიდური მაღნებიდან საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, რადგანაც ასეთი ტიპის მაღნებში ოქრო წვრილდისპერსიული სახით ინკაფსულირებულია სულფიდურ მინერალებში, განსაკუთრებით პირიტში.

დღემდე ოქროს ამოსაღებად მაღნებიდან იყენებენ ტუტე ლითონების ციანიდებს. ციანიდებით ოქროს გახსნას საფუძვლად უდევს ელექტროქიმიური მექანიზმი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში, ოქროს და პირიტის ურთიერთშეზრდილ ნაწილაკებს შორის წარმოიქმნება ელექტრულპოტენციალთა სხვაობა – ოქროს ზედაპირზე წარმოიქმნება ანოდური უბანი, სადაც წარმოებს ოქროს გახსნა შემდეგი რეაქციით:



ხოლო კათოდურ უბანს წარმოადგენს პირიტის ზედაპირის უბანი, რომელზეც ხდება ხსნარში გახსნილი ჟანგბადის აღდგენა



ამ ელექტროქიმიური რეაქციების ინტენსიურობას განსაზღვრავს  $\text{CN}^-$  იონების შედწევის სიჩქარე ოქროს ზედაპირზე. ამისათვის აუცილებელია, რომ პირიტში ჩაწინებული ოქროს ზედაპირის ნაწილი მაინც გაშიშვლებული იყოს, რათა მოხდეს გამსხველთან მისი უშუალო კონტაქტი [1-3]. ციანირების წინ სულფიდების დესტრუქციის მიზნით პრაქტიკაში გამოიყენებენ სხვადასხვა დამჯანგველ პროცესებს: დამუანგველი გამოწვა, გამოტუტვა მაღალი წნევის და ტემპერატურის პირობებში (აგრძელავური გამოტუტვა), ბაქტერიული დაჟანგვა-გამოტუტვა, ელექტროგამოტუტვა და სხვ. [4,5].


პერსპექტიული და ექოლოგიურად გამართლებულია ბიოდაჟანგვის და ელექტროქიმიური პროცესების გამოყენება ამ მიზნისათვის, რადგანაც ისინი გამორიცხავენ გარემოს დაბინძურებას მავნე აირებით [2,5].

კვლევების მიზანს წარმოადგენდა მაღნეულის სპილენძ-კოლჩედანური მაღნების ფლოტაციის კუდებიდან მასში არსებული ოქროს და სპილენძის ამოდება.

ამ მიზნით ციანირების პროცესის წინ სულფიდების დესტრუქციისათვის გამოვყენეთ ორივე მეთოდი ცალ-ცალკე.

ბიოდაჟანგვა (ბაქტერიული გამოტუტვა) გულისხმობს მეტალების დაჩქარებული გამოტუტვის პროცესს მაღნებიდან ბაქტერიების აქტივობის მეშვეობით, რომელსაც საფუძვლად უდევს ბაქტერიებით პირიტის და სხვა სულფიდების დაჟანგვისას წარმოქმნილი სამვალენტიანი რკინის სულფატის  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$ -ის, როგორც ძლიერი დამუანგველის ურთიერთქმედება ლითონთა სულფიდებთან.

სულფიდების დაჟანგვის პროცესი პირიტის თანაობისას თიობაქტერიების - *A.thiobacillusferrooxidans* და *A.thiobacillusthiooxidans* მონაწილეობით შეიძლება გამოსახული იქნას შემდეგი რეაქციებით:



დადგენილია, რომ ბიოდაჟანგვის შედეგად მიღებული  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$  უფრო ძლიერი დამჟანგველია, ვიდრე ქიმიური რეაქტივის  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$ -ის ხელარი [2-5].

pH და Eh კოორდინატებში აგებული პურბეს დიაგრამის გამოყენებით შესაძლებელია პირიტის დესტრუქციის თეორიული გზების დასახვა. პირიტის სუსპენზიის ელექტროლიტური დამუშავებით ტუტე ადგენით გარემოში მიღება სულფიდის დაშლის პროცესში რკინის ჰიდროჟანგი, მაგნეტიტი, ჰემატიტი (მყარ მდგომარეობაში) და სულფატები (ხელარში).

სულფიდების ელექტროქიმიური დამუშავება შესაძლებელია სულფიდების სუსპენზიის ნატრიუმის ქლორიდის დამატებით. სამთამადნო მრეწველობაში ელექტროქიმიური პროცესების გამოყენებისათვის მრავალი კვლევაა ჩატარებული, თუმცა წარმოებაში მათი დანერგვის მასშტაბები მცირეა. ამ მეთოდის გამოყენებას მედეგი სულფიდური მადნების გადამუშავების პროცესში აქვს გარკვეული უპირატესობები ქიმიურ და თერმულ მეთოდებთან შედარებით. ცნობილია, რომ მადნების და კონცენტრატების ქიმიური გადამუშავებისას რეაგენტების დირებულება შეადგენს დანახარჯების 20-25%-ს. ელექტროქიმიური გამოტუტვისტექნოლოგიის გამოყენების პროცესში შესაძლებელია ნახმარი ელექტროლიტების რეგენერაცია და კვლავ პროცესში დაბრუნება. დადებითი მხარეა პროცესის მართვის სიმარტივე, ტექნოლოგიური ეფექტურობა და ეკოლოგიური სისუფთავე. ნაკლავ შეიძლება ჩაითვალოს ელექტროგენერატორის დიდი ხარჯი და დაფიციტური მასალების გამოყენების აუცილებლობა. ბიოლოგიური და ელექტროქიმიური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე ძნელადგადასაწყვეტია მადნეულის ოქროშემცველი მედეგი სულფიდური მადნების გადამუშავების პრობლემა [6].

მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში არსებული მონაცემების ანალიზის (რომელიც ეხებოდა მედეგი სულფიდური მადნების და კონცენტრატების მიკრორგანიზმებით დაჟანგვას) საფუძველზე შემუშავებული იქნა ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგი სქემა: კოლექტიური სულფიდური ფლოტაცია, ფლოტოკონცენტრატის ბაქტერიული დაჟანგვა-გამოტუტვა, ფლოტოკონცენტრატის ციანირება და ბაქტერიული ნარჩენების ციანირება. ფლოტაციით მიღებული იქნა შემდეგი შემადგენლობის კოლექტიური სულფიდური ფლოტოკონცენტრატი Cu-1,02%; Au-1,9 გ/ტ (საწყისი Cu-0,29%; Au-0,6 გ/ტ).


ბაქტერიული დაჟანგვა-გამოტუტვის პროცესის ჩატარების მიზნით აწყობილი იქნა ლაბორატორიული დანადგარი, რომელიც შედგებოდა 2 ლ ტევადობის მინის ცილინდრის, მიკროკომპრესორის; ელექტროსარეველას და თერმოსტატისაგან. ცდები ტარდებოდა მუდმივი მორევის, აერაციის და ტემპერატურის პირობებში. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა მადნეულის კარიერის მეუკე წყლებიდან გამოყოფილი თიობაქტერიების *A.thiobacillus ferrooxidans* და *A.thiobacillus thiooxidans* ბინარული კულტურის შტამი, რომელიც წინასწარ შეგუებული იქნა გამოსატუტ თბიექტოან მრავალჯერადი გადათესვის შედეგად. კულტივირებისას გამოყენებული იქნა საკვები არე 9K რკინის გარეშე. პროცესის კონცენტრატის და რეგულირების მიზნით ხდებოდა ხელარის pH-ის, Eh-ის, ორვალენტიანი და სამვალენტიანი რკინის კონცენტრაციის, ბაქტერიის ტიტრის განსაზღვრა. ცდების სერიის შედეგად დადგინდა პროცესის ოპტიმალური პარამეტრები: მყარის და თხევადის ფარდობა 1:5;  $t^{\circ}\text{C}=28-30$ ; pH=620-700 მ.გ;

T=96 სო; ნაწილაკების სისხო 80-85%, კლასი – 0,074 მმ; ბაქტერიული ტიტრი –  $10^7$  უჯ/მლ. სპილენბის კონცენტრაცია სხნარში პროცესის დასრულების შემდეგ შეადგენს 1,73 გ/ლ, რაც კონცენტრაციაში არსებული სპილენბის 81,0% შეადგენს.

ბიოკექის ქიმიური ანალიზით ნაჩვენები იქნა, რომ დაიუანგა კონცენტრატი არსებული სულფიდების 72,5%.

აღნიშვნული კონცენტრატის ნატრიუმის ქლორიდის არეში ელექტროქიმიური დაუანგვის პროცესის შესწავლის მიზნით აწყობილი დანადგარი შედგებოდა დენის გამმართველი BC-5-ის, ორგანული მინისაგან დამზადებული 900 მლ მოცულობის ელექტროლიზირის, ამპერმეტრისა და ვოლტმეტრისაგან. ელექტროდებად შერჩეული იქნა 20x20 სმ ზომის გრაფიტის ფირფიტები. ელექტროდებს შორის მანძილი 40 მმ. სულფიდების სუსპენზიის მოცულობა 500 მლ, რომელშიც მყარი სულფიდური მასა 100 გ ტოლია. კვლევის პროცესში იცვლებოდა ანოდური და კათოდური დენის სიმკვრივე, მაგრა სიდიდე, მყარის და თხევადის შეფარდება, ნატრიუმის ქლორიდის კონცენტრაცია, დამუშავების დრო.

სულფიდების ელექტროლიტური დაუანგვა ნატრიუმის ქლორიდის არეში მიმდინარეობს შემდეგი რეაქციების თანახმად:



ანოდზე წარმოქმნილი ქლორი იხსნება ელექტროდთან არსებული შემცავებული სითხის ვიწრო ფენაში, რეინის მარილების, გოგირდმჟავას წარმოქმნით. ქლორი ამ რეაქციებში აღდგება ქლორის იონადან  $\text{Cl}^-$  და კვლავ იუანგება ანოდზე, ე.ი. წარმოებს დამუანგებელის უწყვეტი რეაქცია.

როგორც ცდების შედეგებმა გვიჩვენა, მუშა ელექტროდზე (ანოდი) დენის ოპტიმალური სიმკვრივეა 16 ამპ/დეც<sup>2</sup>, ხოლო ნატრიუმის ქლორიდის კონცენტრაცია - 100 გ/ლ.

ნატრიუმის ქლორიდის ძლიერ მჟავა გარემოში ელექტროლიზის დროს ქლორი ძირითადად წარმოდგენილია მოლეკულური სახით. pH-ის გაზრდით ნეიტრალურ რეაქციამდე მატულობს ქლორის მჟავას კონცენტრაცია ამგარ გარემოში არსებობს სამივე ნაერთი. მათი ჟანგვითი პოტენციალი საკმაოდ მაღალია: ქლორისთვის – 1,39 ვ; ქლოროვანმჟავასთვის – 1,5 ვ; ქლორის ჭავასთვის – 0,93 [5].

ელექტროლიზის პროცესში დაუანგული სულფიდების რაოდენობის შეფასებისათვის ხდებოდა ელექტროლიტის ხსნარში  $\text{SO}_4^{2-}$ -იონების კონცენტრაციის განსაზღვრა ალექტროლიზის ხანგრძლივობის მიხედვით (ცხრ.1).

ცხრილი 1.  $\text{SO}_4^{2-}$  იონების კონცენტრაციის ცვლილება ხსნარში პირიტის ელექტროქიმიური დამუშავების დროის მიხედვით

| ლაქტოლიზ დრო (სთ)                           | 1    | 2    | 3    | 4     | 5     | 6    | 7    | 8    | 9    | 10   |
|---|------|------|------|-------|-------|------|------|------|------|------|
| SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> კონცენტრ. გ/ლ | 5,20 | 7,25 | 11,2 | 15,14 | 19,17 | 21,4 | 25,4 | 28,3 | 30,2 | 33,8 |

ოქროს ზედაპირის ნაწილობრივი გაშიშვლებისთვის საკმარისია სულფიდური მასის 10 - 15%-ის დაშლა. 3,5 - 4 სო-ის შემდეგ ეს შედეგი დგება. ამ დროში ჰიდროკიკლონის მეშვეობით ძირითადი მასისაგან გამოყოფილი ამორფული მასის რაოდენობამ შეადგინა 15 - 18%. სულფიდების დესტრუქციის იდენტური ხარისხი დადასტურებული იქნება რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგადაც. პროცესის დროს სსნარში სპილენბის რაოდენობამ შეადგინა 1,75 გ/ლ, რაც შეადგენს გამოტუბული სპილენბის 71,00%.

უდიაფრაგმო ელექტროლიზორში წარმოებს ანოდთან შემცავებული ხსნარის (ელექტროდის მიმდებარე ფენაში  $pH=1,5 - 2$ ) და კათოდთან წარმოქმნილი ტუტე რაჟივის ხსნარის ( $pH=9 - 10$ ) შრავბის შრავაზ. რის გამოც კლასტროლიზიორის

ცენტრალურ ნაწილში სსნარის მევიანობა 6,0 - 6,5-ის ტოლია. ამ გარემოში რეინა გადადის უხსნად პიდროჟანგებში. 4 სთ-იანი ელექტროქიმიურად დამუშავებული მეარი ფაზეს რენტგენოსტრუქტურული ანალიზიდან ჩანს პირიტის მასის 15% ამორფულია. ნაწილობრივ დაშლილი სულფიდური მასა მომზადებულია ციანირების პროცესისათვის.

1 ტ სულფიდური კონცენტრატის სრული დაშლისთვის საჭიროა 2000 - 2500 კგ/სთ ელექტროჟერგია. თუ ელექტროლიტურად დაიუნაბეჭდა სულფიდების 10 - 15%, მაშინ ელექტროჟერგიის ხარჯი შემცირდება 300-375 კვტ/სთ-მდე. თუმცა ელექტროჟერგიის უფრო ეფექტური გამოყენება შესაძლებელია კათოდური პროცესის მუშა პროცესად გადაქცევისგ ზით.

ბიოდაუნანგვა-გამოტუტვის და ელექტროქიმიური გამოტუტვის პროცესების ჩატარების შემდეგ ჩატარდა მეტი მასის ციანირება, ასევე ჩავატარეთ ციანირება და უჯანგავი კონცენტრატის თანაბარ პირობებში. ციანირების პროცესი ჩატარდა სტანდარტული მეთოდით (C<sub>NaCN</sub>-0,3 გ/ლ; pH=10,5-11,5, CaO - 0,5 გ; დრო 24 სთ).

ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

## ცხრილი 2. საწყისი ფლოტოკონცენტრატის, ბიო- და ელექტროქიმიურად დაუზანგული ფლოტოკონცენტრატების ციანირების შედეგები

| Nº | პროდუქტი   | გამოსავალი, % | შემცველობა, Au % | სსნარში გადასული Cu% |
|----|--|---------------|------------------|----------------------|
| 1  | ოქროშემცველი ციანის ხსნარი<br>ციანირების ნარჩენი | -<br>100,00   | 0,57<br>1,33     | 30,00<br>70,00       |
|    | ფლოტოკონცენტრატი                                 | 100,00        | 1,90             | 100,00               |
| 2  | ოქროშემცველი ციანის ხსნარი<br>ციანირების ნარჩენი | -<br>82,00    | 1,98<br>0,32     | 85,80<br>14,20       |
|    | ბაქტერიული გამოტუტვის კეპი                       | 100,00        | 2,30             | 100,00               |
| 3  | ოქროშემცველი ციანის ხსნარი<br>ციანირების ნარჩენი | -<br>90,00    | 1,70<br>0,40     | 81,00<br>19,00       |
|    | ელექტროქიმიური გამოტუტვის კეპი                   | 100,00        | 2,10             | 100,00               |

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ელექტროქიმიურად გამოტუტული ნარჩენიდან ციანირებით ხსნარში გადასული ოქროს რაოდენობა (79%) ნაკლებია ბაქტერიულად დაუზანგული ნარჩენის ციანირებისას ხსნარში გადასულ ოქროზე 85,8%. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროს ხსნარში გადასული სპილენდის კონცენტრაციაც (1,58 გ/ლ) ნაკლებია ბაქტერიული გამოტუტვის დროს ხსნარში გადასული სპილენდის რაოდენობაზე (1,73 გ/ლ). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელექტროქიმიური გამოტუტვის დრო - 4 სთ, არ არის საკმარისი და საჭიროა გამოტუტვის დროის გაზრდა. 5 სთ-იანი ელექტროქიმიური გამოტუტვის შემდეგ სპილენდის კონცენტრაციამ შეადგინა 1,81 გ/ლ ნარჩენის ციანირებით ხსნარში გადავიდა 84,4% ოქრო.

ამრიგად, ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაღნეულის სპილენდ-კოლჩედანური მაღნების ფლოტაციის კუდების წინასწარი ბიო- ან ელექტროქიმიური დაუზანგვის მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ოქროს და სპილენდის დამატებით ამოკრება.

ჩატარებული კვლევები საბიექტო ხასიათისაა და მისი მასშტაბების გაფართოება საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად შევაფასოთ მედეგი სულფიდური მაღნების გამდიდრების პროდუქტების გადამუშავების პროცესებში ბიო- და ელექტროქიმიური გამოტუტვის მეთოდების გამოყენების პერსპექტივები.

**ლიტერატურა**

1. Зеленов В.Н. Методика исследования золото- и серебросодержащих руд. -М., Недра, 1989.
2. Каравайко Г.Н. и др. Роль микроорганизмов в выщелачивании металлов из руд. -М., Наука, 1972.
3. Лодейщиков В.В. Извлечение золота из упорных руд и концентратов. -М., Наука, 1968.
4. Ласкорин Б.Н. и др. Гидрометаллургия золота. -М., Наука, 1980.
5. Чантурия В.А. Электрохимия сульфидов. Теория и практика флотаций. -М., Наука, 1993.
6. რ. კვატაშვილი, ბ. ლომიძე და სხვ. ოქროშემცველი მედეგი სულფიდური მადნების ბიო-ჰიდრომეტალურგიული გადამუშავება. //მეცნიერება და ტექნოლოგიები, 2012, № 1-3, გვ. 83-88.

**SUMMARY**

**PROSPECTS FOR APPLICATION OF BIO- AND ELECTROCHEMICAL METHODS TO LEACHING OF FLOTATION TAILS OF GOLD-BEARING REFRACTORY SULFIDE ORES**

Lomidze N.N., Arabidze Z.D., Kakulia J.V. and Kandelaki M.Sh.

**Georgian Technical University**

The collective sulfide concentrate obtained from stocked copper tails from the Madneuli deposit were processed by using bacterial chemical and electrochemical leaching methods. By a series of experiments, optimal parameters of the processes were established. Both bacterial chemical and electrochemical leaching led to effective decomposition of sulfide minerals. In the result, copper passed into solution (copper concentration in the solution made up 1.73 and 1.81 g/l, respectively), while residues were enriched with liberated gold and prepared for cyanidation. The concentration of gold passed into solution in the result of cyanidation of bioleaching residues made up of 85.8% and of electrochemical leaching – 84.4%, whereas the concentration of gold passed into solution from unoxidized concentrate made up 30.0%. This clearly indicates the efficiency of using the described methods.

**Keywords:** gold, bacterial chemical leaching, electrochemical leaching, thiobacteria, oxidation of sulfides, cyanidation.

ტყიბულ-შაორის საბადოს ნახშირების ტგრილმარცვლოვანი შლამების  
გამდიღების და ბაზოფლოვანის ზობიერთი საპირის

აბშილავა ა.ჭ., დოლიძე ნ.რ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის მოპოვების და გადამუშავების პროცესში წარმოშობილი წვრილმარცვლოვანი მასალიდან სასაქონლო პროდუქციის მიღების პერსპექტივები. ამასთან მოცემულია აღნიშნული მასალიდან მიღებული პროდუქტების გაუწყლოვანი და დაბრივებულის საკითხები, რომელიც საშუალებას იძლევა პროდუქტები გამოყენებული იქნას საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წვრილმარცვლოვანი ნახშირის მარაგების ათვისება დადებითად იმოქმედებს გარემოს ეკოლოგიური მდგრადარეობის გაუმჯობესებაზე.

ტყიბულის მამდიდრებელი ფაბრიკიდან დღეს არსებული ტექნოლოგიის განხორციელებით წელიწადში მიიღება 15000 ტნ-მდე 0,15-0 მმ სისხლის წვრილმარცვლოვანი მასალა რაც ფაქტობრივად გამოუყენებელია. გარდა ამისა ქვანახშირის მოპოვების პროცესში წარმოშობილი წვრილმარცვლოვანი ნახშირის შლამების რაოდენობა რომელიც შემდგომ წყალსაცავში ჩაედინება რამდენიმე ათეულ მილიონ ტონას აღმატება. გარდა ამისა მამდიდრებელი ფაბრიკის საღეჭარებში ყოველწლიურად დაახლოებით 30000 ტნ-მდე შლამი იღებება. ბუნებრივია ასეთი მასალისაგან სასაქონლო პროდუქციის მიღების შესაძლებლობა საწარმოს ეკონომიკას მნიშნელოვნად გაუმჯობესებს და დადებითად იმოქმედებს რეგიონის ეკოლოგიურ გარემოზე. ამდენად წვრილმარცვლოვანი ნახშირის შემდგომი გამოყენების პერსპექტივა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს [1,2].

აღნიშნული მიზნით ჩატარებული იქნა აკლევები, რომელიც ითვალისწინებს წვრილმარცვლოვანი შლამებიდან ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოსაყენებელი სასაქონლო პროდუქციის მიღებას. აგრეთვე სხვადასხვა პროცესიდან მიღებული შლამების გაუწყლოვანის და დაბრივებების მისი შემდგომი საყოფაცხოვრებო გამოყენებას მიზნით.

ცნობილია, რომ მაღალი ნაცრიანობის გამო წვრილმარცვლოვანი მასალის საწვავად გამოყენება მეტად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. ჩვენს მიერ განხილულია წამყვან ნახშირმომპოვებელ ქვეყნებში არსებული გამდიდრების თანამედროვე ტექნოლოგიების ანალიზი, რომელიც შესაძლებელს ხდის აღნიშნული მასალის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებას.

დღეისათვის ახალი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციად შეიძლება ჩაითვალოს დანაჭროვნებული საწვავის წარმოება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს თერმოდაბრივებებით და გრანულირებით.

ტყიბულ-შაორის ნახშირები მიეკუთვნება Γ და Δ ტიპის ნახშირებს, რომლებიც კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწვავად ხაკლებად ეფექტურად გამოიყენება, რადგან ხასიათდებიან შემდგევი მაჩვენებლებით:

- მაღალი ნაცრიანობა ( $A^c = 30 \div 40\%$ ) და დაბალი წვის ტემპერატურით (4500-3500 კპალ/კგ);

• წვრილი მარცვლების შედარებით დიდი რაოდენობა (10-0 მმ) ამცირებს ნახშირის გამოყენების კოეფიციენტს მექანიკური არასრული წვის გამო.

საერთაშორისო და ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული კალებები გვაძლევს საშუალებას, რათა წვრილ მარცვლოვანი ენერგეტიკული ნახშირების გადამუშავების ხარჯზე მივიღოთ უკვამლო (ან მცირებელიანი) საწვავი სხვადასხვა მეთოდებით.

ნახშირების გრანულირება.

გრანულირება ეს არის ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიკურ-მექანიკური პროცესის ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ნაწილაკების გარკვეული ფორმებს, ზომებს, სტრუქტურას, ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბებას. მირითადი ფაქტორები რომლის წინასწარ უზრუნველყოფებრივი გრანულირების მექანიზმს. ესაა: შინაგანი

ხახუნი, ადგეზიური თვისება და მასალის დასველებადობა (დატენიანება). იმის გამო, რომ ჩამოყალიბების პროცესს თან ახლავს შედარებით მკვრივი სტრუქტურის შექმნა, ერთ-ერთ თვისებად ითვლება მისი შეკვრის უნარი და წნევის ზეგავლენით გარკვეული ფორმის მიღება რომელიც იქმნება გადაგორებით და ადგეზიური ძალების ზეგავლენით ნახშირის ნაწილაკებზე, გამოყენებული შემკვრელების მეშვეობით.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა გრანულირების მეთოდით ტყი-ბულის წვრილმარცვლოვანი ნახშირების კონდენციური საყოფაცხოვრებო საწვავის წარმოების პერსპექტიულობა.

კვლევებისას ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ტყიბულის გამამდიდრებელი ფაბრიკის რიგით ნახშირი, რომლის ტენიანობა შეადგენს 7,1%; ნაცრიანობა 53,3%; აქროლადების გამოსავლიანობა 52 %.

შემკვრელად გამოყენებული იქნა ტექნიკური ლინგოსულფატის წყლიანი ხსნარი, რომელიც წარმოადგენს ცელულოზა-ქადალდის წარმოების პროდუქტს.

ტექნიკური ლინგოსულფატის სასაქონლო, პროდუქტი წარმოადგენს 53 % - წყლიან ხსნარს, სიმკვრივით 1,28% გრ/სმ<sup>2</sup>; ნაცრიანობა 15%; გოგირდის შემცველობა -6,5%; აქროლადების გამოსავლიანობა ცხელ მასაზე - 65 %, წვის ტემპერატურა 4420 კპალ/კბ.

გრანულირება ხორციელდება, ექსპერიმენტალურ თეფშისმაგვარ გრანულატორზე დიამეტრით 0,5 მ.

გრანულატორზე მიწოდების წინ რიგითი ნახშირი შრებოდა და ქუცმაცდა ბოდა 0-1 მმ სისხომდე. ქვემოთ მოცემულია დაქუცმაცებული ნახშირების ცხრილური მაჩვენებლები:

|                    |    |      |        |          |      |
|--------------------|----|------|--------|----------|------|
| მარცვლების ზომები: | მმ | +1,0 | 1-0,63 | 0,63-0,4 | -0,4 |
| გამოსავლიანობა     | მმ | 0,6  | 23,8   | 32,5     | 43,1 |

შესაბამისი ტენიანობის და სისხოს დამუშავებული ნახშირი მიეწოდებოდა ლაბორატორიულ თეფშურ გრანულიატორს, სადაც ნახშირთან ერთად ერთდროულად თანაბრად მიეწოდებოდა 12,5%-იანი ტექნიკური ლინგოსულფატი 70-80°C ტემპერატურით.

გრანულირების ტექნოლოგია ხასიათდებოდა შემდეგი პარამეტრებით:

გრანულატორის თეფშის დახრის კუთხე - 45°.

თეფშის ბრუნვის სიჩქარე - 12 ბრ/წთ.

მშრალი ტექნიკური ლინგოსულფონატის ხარჯის სიდიდე 3,5%.

მიღებულ გრანულებს უკეთდებოდათ ტექნიკური ანალიზი და მოწმდებოდა მექანიკურ სიმძიმეზე.

სიღრმისეული კვლევის შედეგების მტკიცებისათვის მიღებულ გრანულებს გამუშავებით 700 °C -ზე გახურებით, რომლის დროსაც გახურების წინ დუმელში ვაბნევდით მდინარის ქვიშას. გახურების სიჩქარე შეადგენდა 30 წთ-ში.

ქვემოთ მოყვანილია სველი და თერმოდამუშავებული გრანულების ხარისხობრივი დახასიათება.

| გრანულების<br>სახელმწიფო<br>ნამდვილები | ტენიანობა, % | ნაცრიანობა, % | აქროლადების<br>სამუშავებელი<br>განაკვეთი | გოგირდი, % | სიმკვრივე,<br>გრ/სმ <sup>2</sup> | გოგირდი, % | მექანიკური<br>სიმძიმეზე,<br>გრ/გრანულები |
|--|--------------|---------------|--|------------|----------------------------------|------------|--|
| „ნედლი“                                | 14,0         | 48            | 52,0                                     | 2,3        | 1,4                              | 2,8        | 3,5                                      |
| თერმოდამუშავებით                       | -            | 59,0          | 24,0                                     | 1,8        | 1,52                             | 5,9        | 2  |

ამრიგად, ცდების შედეგად დადგენილი იქნა, რომ ტყიბულის ნახშირების დანაჭროვნება ლაბორატორიულ გრანულიატორზე წარმოადგენს მექანიკურად მტკიცე და თერმომდგარ საყოფაცხოვრებო საწვავის მიღების საშუალებას.

თერმული დამუშავების შემდეგ გრანულები არიან წყალმედები და იწვიან ნათელი უკვამლო ალიო.

კონდიციური საწვავის მისაღებად აუცილებელია ნახშირების გამდიდრება რათა მიღებული იქნეს კონცენტრაცი 15-20 % ნაცრიანობით.

რეკომენდირებული ტექნოლოგიური სქემა რომელიც ითვალისწინებს წინასწარ გამომშრალ და 0-1 მმ-მდე დაქუცმაცებული ნახშირის მიწოდებას გრანულირების მბრუნავ თეფშე ტექნიკური ლინგოსულფატის ხსნართან ერთად, რომლის დროსაც გრანულები იფორება ლინგოსულფატის ხსნართან ერთად, რომლის დროსაც გრანულები იფორება წყალ-მაზუთის ემულსიონ წყალმედების გასაუმჯობესებლად. გამოირჩევა პროცესის მართვის სიმარტივით, მიიღება ოპტიმალური ზომის სფერული ფორმის გრანულები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩალაგების მაღალ ხარისხს და ამავე დროს თანაბარი სტრუქტურით წვის დროს კარგად ატარებს გაზებს რაც აუცილებელია საწვავის წვის დროს.

ამრიგად, ტყიბულის წვრილი ფრაქციის ნახშირებისაგან მიღებული გრანულები საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საწვავის გაკეთილშობილება, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სექტორში. იგი საგრძნობლად გააუმჯობესებს მოხმარების სანიტარულ-პიგიუნურ პირობებს და შეამცირებს მავნე გამონაბოლქვებს გარემოში.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნაო, რომ ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის გადამუშავების ტექნოლოგია უფრო ეფექტურ უკვამლო და მცირე კვამლიან საწვავად შეიძლება განხორციელდეს, როგორც თერმობრიკეტირებით ასევე გრანულირებით, მისი აუცილებელი გამდიდრებით ნაცრიანობის 15-20%-მდე შემცირების მიზნით (კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ბრიკეტული საწვავის პრეისკურანტული მოთხოვნა) რაც უზრუნველყოფს მიღებული საწვავის თბოუნარიანობას არა ნაკლებ 6500 კპალ/კბ.

#### ლიტერატურა

1. ზ.არაბიძე, ა. აბშილავა, ნ. დოლიძე. ტყიბულ-შაორის საბადოს ნახშირების წვრილმარცვლოვანი შლამების გამოყენების პერსპექტივები. //საქართველოს ნაგთობი და გაზი, №28, 2013.
2. ნ. გომელაური. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება. -თბილისი, განათლება, 1966.

#### SUMMARY

**SOME ISSUES OF DRESSING AND DEWATERING OF FINE-GRAINED COAL SLUDGE FROM TKIBULI-SHAORI DEPOSIT**

**Abshilava A.V. and Dolidze N.R.**

**Georgian Technical University**

The paper considers the prospects for production of commercial products from the fine-grained waste of coal mining and processing at Tkibuli-Shaori Deposit. There are discussed the issues of dewatering and briquetting of the obtained products, which makes them suitable for using for household purposes. Development of fine-grained coal stocks will improve the ecological state of the environment.

**Keywords:** fine-grained coal, waste, dewatering, briquetting.

სილიკაგელის ზეპარიტზე იმოგილიზებული აზოსალებრების სითოვზი

## გოგალაძე ნ.ვ., ქარქუსაშვილი თ.გ.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


აზოსაღებრების დიდი გავრცელება განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს მიღების მარტივი მეთოდები, მოქნილი ტექნოლოგიური ხაზები, ქიმიური და ტექნიკური თვისებების ფართო სპეცირი. აზოსაღებრების სინთეზი დაუშენებულია პ. გრისის მიერ აღმოჩენილ დიაზო-ტირებისა და აზოშეუდლების რეაქციაზე. დიაზო- და აზო კომპონენტების მარტივი ვარირება საშუალებას იძლევა ერთი და იმავე ტექნოლოგიური ხაზის საშუალებით წარმოებულ იქნას სხვადასხვა ფერის (დია ყვითელიდან შავ ფერამდე), სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური და განსაკუთრებით ტექნიკური თვისებების (პირდაპირი, მჟავური, დისპერსული, პარიონური, გუბური და სხვა) მქონე საფერავები [1,2].

მასალის „შესაღებად ხშირად გამოიყენება არა უშუალოდ საღებრის „შიშველი“ მოლექულა, არამედ ინტრიულ მასალაზე იმობილიზებული სინთეზური საღებარი [3].

ორგანული და ორაორგანული მასალების მოდიფიცირება საინტერესო როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული მიზნებისათვის, რადგან ისინი ხასიათდებიან უნიკალური თვისებების კომპლექსით, რომელიც მოიცავს მყარი ტანისა და დამყობილი ნაერთის ვიზუალურ და ქიმიურ თვისებებს [4,5].


დღეისათვის მოდიფიცირებული ზედაპირის მქონე არაორგანული და ორგანული მატრიცები გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მაღალეფებზე თხევადი ქრომატოგრაფია, ჰეტეროგენული კატალიზი, მედიცინა, პლასტიკური ქირურგია, ალექტრონიკა, დიქტაფონი და სელექტრონიკა [6,7].

მიზნობრივი სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული არომატული სისტემის შემცველი ამინების სინთეზი განხორციელდა სქემა 1-ის მიხედვით. სქემა 1-ზე ამოსავალ ნივთიერებას წარმოადგენს ანილინი და სილიკაგელი მარკით L100/250. ანილინის აცილირება და შემდგომი ბრომირება იძლევა 4-ბრომაცეტანილიდს [3], ამ უკანასკნელის ლითოუმირებით მიიღება 4-ლითოუმაცეტანილიდი [4], ხოლო შემდგომი აფფენები გვაძლევს 1-ამინო-4-ლითოუმბენზოლს [5].



**სქემა 1. მიზნობრივი სილიკაგელის ზედაპირზე იმობილზებული არომატული სისტემის  
შემცველი ამინების სინთეზი, პ-ლითიუმანილინი**







1-ამინო-4-ლითოუმბენზოლის ურთიერთქმედება წინასწარ ქლორირებულ სილიკაგელთან უზრუნველყოფს იმობილიზაციის პროცესის წარმართვას, რის შედეგადაც მიიღება არაორგანულ მატრიცაზე პარამდგბარეობით იმობილიზებული ანილინი. სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული აზოსადეტრების (1-6) დიაზოკომპონენტი სინთეზირებულია ნაერთი (8)-ის დიაზოგირებით (სქემა 2).



სქემა 2. პ-ლითოუმანილინის იმობილიზაცია წინასწარ ქლორირებულ სილიკაგელზე

სქემა 2-ის მიხედვით იმობილიზებულ აზოსაღებარებში (10-15) R-ის შესაბამისი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. R-ის შესაბამისი მნიშვნელობები

| საღებარი | R   | საღებარი | R  |
|----------|---|----------|--|
| 10       | <br>2-ნაფტოლი          | 13       | <br>2-ნაფტოლ-6-სულფონმეზავა             |
| 11       | <br>N,N-დიმეთილალანინი | 14       | <br>2-ნაფტოლ-8-ამინო-3,6-დისულფონმეზავა |
| 12       | <br>ინდოლი             | 15       | <br>სალიცილმეზავა                       |

## ცხრილი 2. აზოპიგმენტების მასასიათებლები

| № | აზოპიგმენტი | რეაქციის დრო, სთ | λ <sub>მაქ.</sub> , ნმ | კრისტალის ფერი |
|---|-------------|------------------|------------------------|----------------|
| 1 | 10          | 2                | 487                    | ნარინჯისფერი   |
| 2 | 11          | 2                | 600                    | მომწვანო-ლურჯი |
| 3 | 12          | 2                | 455                    | ღრმა ყვითელი   |
| 4 | 13          | 3                | 490                    | ღია წითელი     |
| 5 | 14          | 2                | 540                    | მეწამული       |
| 6 | 15          | 2,5              | 435                    | ღია ყვითელი    |

ამრიგად დადგინდა, რომ შეღებილი არაორგანული მატრიცები ხასიათდებიან ფერთა ფართო სპექტრით, მაღალი შუქმედეგობითა და კარგი მდგრადობით სხვადასხვა სველი დამუშავების (ტენი, ოფლი, ტუტე, მჟავა, ორგანული გამხსნელები, სინთეზური სარუცხი საშუალებების ხსნარი და სხვ.) მიმართ.

### ლიტერატურა

1. Введение в химию и технологию органических красителей. Степанов Б.И.-3-е изд., перераб. и доп. -М.: Химия, 1984, сс.334-425.
2. Основы синтеза промежуточных продуктов и красителей. Ворожцов Н.Н. -М.: ГНТИ, хим. лит., 1955, сс..431-458.
3. Schwander H.R. Heterocyclic azo coupling components. Dyes and Pigments. 1982, v. 3, Is. 2-3, p. 133-160.
4. Abd El Azim W.M. Application of azo disperse dyes on protein fibres. The indian textile journal, 1989, February, p. 114-117.
5. John S.A., Ramaraj R. Electrochemical and stereo electrochemical studies of phenothiazine dyes immobilized in naftalon film. Longmuir., 1996, v. 23, No. 12, p. 5689-5695.
6. Чиракадзе Г.Г., Сагинашвили Л., Хомасуриძე. Синтез азопигментов на поверхности кремненосодержащих соединений. /Известия АН ГССР, сер. хим., 1986, т.12, с.
7. გოგალაძე ხ., შენგელია თ., გოგონაია ი., ქარქუსაშვილი თ. არაორგანულ მატრიცაზე იმობილიზებული აზოტემდებრების სინთეზი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა. ქ. ქუთაისი შრომების კრებული, 2016, I ნაწ. 133-135 გვ.

### SUMMARY

### SYNTHESIS OF AZO DYES IMMOBILIZED ON THE SILICA GEL SURFACE

Gogaladze Kh.V. and Karkusashvili T.G.

Georgian Technical University

The paper deals with the production of composites, the study of their spectral, technological, physical and chemical properties, and their application to art paints technology. When fabricating the composites, silica gel was used as an art paint base and azo dyes with different substitutes - as surface modifiers. We synthesized benzene-containing silica gels by interaction of thionyl chloride with activated silica gels and lithiated aniline. We elaborated the preparation methods of diazotization and azo coupling of amino groups in the organic fragments immobilized on the inorganic matrix. Six new pigments were synthesized by the method developed.

**Keywords:** immobilization, azo dyes, azo pigment, composites,inert materials

არაორგანულ მატრიცაზე იმობილიზებული პენზილიური  
აზოსაღებრეას სინთეზი

გოგალაძე ხ.გ., შენგელია თ.ა., ქარქუსაშვილი თ.გ., გელიაშვილი ზ.გ.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


ცნება „მღებავი ნივთიერებები“ გულისხმობს შესაძლებლობას შეღებოს ნებისმიერი სუბსტრატი და საღებარი იყოს სტაბილური. იდეალურ შემთხვევაში ჩვენ გვინდა, შეღებილმა მასალამ შეინარჩუნოს თავისი ფერი, სანამ ის იარსებებს.

საღებარი ნივთიერებაა, რომელიც დამუშავების გარკვეულ ეტაპზე შინაგანად ფლობს შესაღებ მასალას, ე.ი. მაგრდება მასზე. დებვის პროცესის გარკვეულ სტადიაზე საღებარი გახსნილია მდებავ არეში, ის აღწევს მასალის შიგნით და წარმოქმნის მტკიცე ქიმიურ ბმას. ყველა საფეიქრო საღებარი ორგანული ნივთიერებაა.

საღებრების მოლეკულებში არსებობს სხვადასხვაგარი სტრუქტურული ჯგუფები. არსებული საღებრებიდან ნახვარზე მეტის კლასიფიცირება შეიძლაბა როგორც აზოსაღებარი ან ანთრაქინონური.


აზოჯგუფი -N=N- წარმოადგენს ძლიერ ქრომოგენს (ფერის წყარო), და ამიტომ აზოსაღებრები გამოიწევა მაღალი ღებვის უნარით. მათი მოლეკულები შეიძლება შეიცავდეს ერთიდან ოთხამდე, ან ზოგჯერ მეტ აზოჯგუფს. ყველა აზოსაღებარი სინთეზური ნაერთია და ნატურალური ანალოგი არ მოეძებნება. თეორიულად შესაძლებელი აზოჯგუფების შემცველი მოლეკულების რიცხვი ანუსაზღვრელად დიდია [1,2].

სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული არომატული სისტემის შემცველი ამინების სინთეზი განხორციელდა სქემა 1-ის მიხედვით. ამოსავალ ნაერთს წარმოადგენს ბენზიდინი და სილიკაგელი მარკით 100/250. ბენზიდინის აცილირება, ბრო-მირება, ლითიუმირება და შემდგომი აღდგენა იძლევა 3,3'-დილითოუმ ბენზიდინს (4).



სქემა 1. სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული მიზნობრივი არომატული სისტემის შემცველი ამინების სინთეზი

ლითიუმირებული ბენზიდინის (4) ურთიერთქმედება წინასწარ ქლორირებულ სილიკაგელთან უზრუნველყოფს იმობილიზაციის პროცესის წარმართვას, რის შედეგადაც მიიღება არაორგანულ მატრიცაზე იმობილიზებული ბენზიდინი (7). სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული აზოსაღებრების [1(9<sup>1</sup>)–6(9<sup>6</sup>)] დი აზო-კომპონენტი (8) სინთეზირებულია ნაერთი (7)-ის დიაზოტირებით.




### სქემა 2. სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული აზოსაღებრები

აზოკომპონენტად გამოყენებულია 2-ნაფთოლი (9); N,N-დიმეთილანილინი (10), 2-ნაფთოლ-3,6-დისულფომჟავა (11); 2-ნაფთოლ-6-სულფომჟავა (12); 2-ნაფთოლ-8-ამინო-3,6-დისულფომჟავა (13); სალიცილმჟავა (14).

შეღებილი სილიკაგელები შესწავლილ იქნა ელექტრონული სპექტრომეტრიის საშუალებით. სპექტრები ჩაწერილ იქნა სპექტროფოტომეტრზე СФ-26. სპექტრის ჩაწერისათვის გამოყენებული იქნა სპეციალური ტექნიკა [4]. ვინაიდნ სილიკაგელის ზედაპირზე იმობილიზებული მასალები უსსნადნი არიან და გამსხველები შეტანისას ადგილი აქვს სედიმენტაციას, ამიტომ სტანდარტულ პირობებში სპექტრის ჩაწერა შეუძლებელია. წარმოდგენილ ნაშრომში სპექტრის ჩაწერისათვის დისპერსულ გარემოდ გამოყენებული იქნა სპექტროსკოპული სისუფთავის გლიცერინი. მისი სიბლანტის მაღალი მნიშვნელობის ( $\mu=0,01$  სმ) გამო სედიმენტაციის პროცესი იმდენად შენელებულია, რომ სპექტრის ჩაწერისას შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას კონცენტრაციული ცვლილება კიუვეტის სიმაღლის მიხედვით. გლიცერინის შერჩევა დისპერსულ გარემოდ განპირობებულია იმ ფაქტორითაც, რომ მისი გარდატეხის

მაჩვენებელი ( $n_D^{20} = 1,474$ ) ახლოა სხვადასხვა ფორმის  $\text{SiO}_2$ -ის გარდატების მაჩვენებელთან ( $n_D^{20} = 1,41-1,55$ ).



### აზოპიგმენტის (9) ელექტრონული შთანთქმის სპექტრი

ამრიგად, დამყნობილი ბენზიდინური აზოსაღებრები ხასიათდება მაღალი ტექნიკური მახასიათებლებით. ისინი გამოირჩევიან შუქმედებობით და პარგი მდგრადობით სველი დამუშავების მიმართ, რაც იმობილიზებული ფრაგმენტის ბუნებით და წარმოქმნილი კოვალენტური ბმითაა განპირობებული

#### ლიტერატურა

1. Введение в химию и технологию органических красителей. Степанов Б.И.-3-е изд., перераб. и доп. - М.: Химия, 1984, сс.334-425.
2. Чиракадзе Г.Г., Сагинашвили М.Г., Мхеидзе Н.П., Лонгурашвили Н.Т. Способ получения окрашенного кремнеземсодержащего соединения. А.с. 1310413 СССР, МКИ С 09 В 39/00 С 01 В 33/00, 12 с.
3. John S.A., Ramaraj R. Electrochemical and stereo electrochemical studies of phenothiazine dyes immobilized in naftalon film. Longmuir., 1996, v. 23, No. 12, p. 5689-5695.
4. გოგალაძე ხ. შენგალია თ., გოგონაია ი., ქარქუსაშვილი თ. არაორგანულ მატრიცაზე იმობილიზებული აზოგემცველი აზოსაღებრების სინთეზი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინერო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ შრომების კრებული I ნაწ., ქუთაისი. 2016, გვ. 133-135.
5. [http://chemanalytica.com/book/novyy\\_spravochnik\\_khimika\\_i\\_tekhnologa/12\\_obshchie\\_svedeniya/6148](http://chemanalytica.com/book/novyy_spravochnik_khimika_i_tekhnologa/12_obshchie_svedeniya/6148http://chemanalytica.com/book/novyy_spravochnik_khimika_i_tekhnologa/12_obshchie_svedeniya/6148)
6. Чиракадзе Г.Г., Гелиашвили З.Э., Размадзе Т.О. Иммобилизация тиенилсодержащих азопигментов на поверхности силикагеля. ЖОрХ, 2001, т.37, Вып. 7, сс. 1063-1066.
7. Гелиашвили З.Э., Матиташвили Т.Р., Чиракадзе Г.Г. Иммобилизация синтетических красителей к поверхности природных гидросиликатов. //Georgian Engineering News, 1998, No. 1, сс.49-52.

#### SUMMARY

#### SYNTHESIS OF BENZIDINE AZO DYES IMMOBILIZED ON THE INORGANIC MATRIX

Gogaladze Kh.V., Shengelia T.A., Karkusashvili T.G. and Geliashvili Z.E.

Georgian Technical University

Acylation, bromination, lithiation and reduction synthesis of benzidine was performed. We used the method of immobilization of benzidine on activated silica gel which involved the interaction of a preliminarily chlorinated inorganic matrix with the lithiatedbenzidine derivative. We elaborated the method of immobilization of benzidine on activated silica gel which involved the interaction of silica gel preliminarily activated with thionyl chloride with lithiatedprimary aromatic amine. We also developed the preparation methods of diazotization and azo coupling of amino groups in the organic fragments immobilized on the inorganic matrix. Six new pigments were synthesized by the method developed.

**Keywords:** immobilization, azo dyes, azo pigment,composites, benzidine, inorganic matrix.

სოგოს საწინააღმდეგო პრეპარატ კლოფრიმაზოლთან 3d მეტალუბის -Mn(II); Ni(II); Cu(II); Co(II); Zn-ის ბიოპროცესისთა სინთეზი და კვლევა

წიგწიგაძე თ.ი., ჯაფარიძე რ.ჯ., პეტრიაშვილი ქ.დ., ჩიგოგიძე ნ.შ., კლდიაშვილი რ.შ.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბოლო პერიოდის განმავლობაში მეცნიერ-მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფართო სპექტრის მქონე სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებს. მრავალრიცხოვან ბიოპრიურ და სამკურნალო ნივთიერებებს შორის მნიშვნელოვანია იმიდაზოლის წარმოებულები, რამეთუ იმიდაზოლის ორგანული პეტეროციკლი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმების ნივთიერებათა ცვლაში. იმიდაზოლური ციკლი შედის შეუცვლელი ა-ამინომჟავების - ჰისტიდინისა და მისი მონათესავე ჰორმონის ჰისტიდინის სტრუქტურებში. იმიდაზოლის სისტემა შეადგენს მრავალი ფარმაცევტული პრეპარატის, მათ შორის, კლოტრიმაზოლის საყრდენს.

კლოტრიმაზოლის ზემოაღნიშნული მედიკო-ბიოლოგიური თვისებებისა და ეფექტურობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, ჩვენ მიერ სინთეზირებულია კლოტრიმაზოლის ბიოკორდინაციული ნაერთები ბიომეტალებთან Mn(II); (Co(II); Ni(II); Cu(II); Zn). იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულ ამ ბიოკორდინაციულ ნაერთში ერთმანეთთან შერწყმულია სხვადასხვა აქტივობის მქონე ელემენტთა ატომები, მათ უდავოდ ძალუმთ გააძლიერონ ერთმანეთი და მთლიანობაში სინთეზირებული კომპლექსნაერთები. სწორედ ასეთი მიღვომა იძლევა წინაპირობას ბიოკორდინაციული შედგენილობას, აღნაგობასა და თვისებებს შორის კორელაციის დადგენაში [2-3].

ამ მიზნით ჩვენ მიერ ჩატარებულია ექსპერიმენტი:

მეტალების – Mn(II); Co(II); Ni(II); Cu(II) და Zn-ის ფორმიატისა და აცეტატის წყალსნარებს ემატებოდა კლოტრიმაზოლის სპირტსნარი, მოლური თანაფარდობა 1:1; 1:2; 1:3. შესაბამისი სნარების ურთიერთშერევა ხდებოდა მაგნიტური სარეველით და ცხელდებოდა წყლის აბაზანაზე, დაახლოებით 3-4 საათის განმავლობაში. სნარების წყალბადური მაჩვენებლის მნიშვნელობა, ექსპერიმენტის ფარგლებში, არ იცვლებოდა და შეადგენდა დაახლოებით pH = 6-7 (სუსტი მჟავურ-ნეიტრალური არე).

კრისტალების სახით გამოყოფილ კომპლექსნაერთებს ვაცალკევებდით სნარებისგან და ჩავრცეხავდით ეთანოლ-წყალსნარით, ვაშრობდით ექსიკატორში CaCl<sub>2</sub>-ზე და ვანალიზებდით.

შედეგად, დადგენილია სინთეზის ჩატარების ოპტიმალური პირობები (გამოსავალი ნივთიერებების მოლური თანაფარდობა 1:1)

განსაზღვრულია კომპლექსნაერთების ქიმიური შდგენილობა, შეფერილობა, ლლობის ტემპერატურა, სნადობა სხვადასხვა გამსხველები და სხვ.

კვლევის მეთოდები: კვანტურ-ქიმიური გამოთვლები; რენტგენოფაზური კვლევის მეთოდი; ოერმოგრავიმეტრიული კვლევის მეთოდი; ინფრაწითელი სპექტრომეტრის მეთოდი; იმუნოციტოფრექსიკური კვლევის მეთოდი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვანტურ-ქიმიური ნახევრად ემპირიული მეთოდებით, სხვა პარამეტრებთან ერთად, გამოთვლილია კლოტრიმაზოლის მოლექულის წარმოქმნის სითბო ( $\Delta H$ ) და დიპოლური მომენტი ( $\eta$ ) ლიგანდის C<sub>22</sub>H<sub>17</sub>N<sub>2</sub>Cl მოლექულაში (ცხრ. 1.)

**ცხრილი 1. კლოტრიმაზოლის მოლექულის წარმოქმნის სითბო ( $\Delta H$ ) და დიპოლური მომენტი ( $\eta$ ) C<sub>22</sub>H<sub>17</sub>N<sub>2</sub>Cl მოლექულაში**


| Nº | გამოთვლისს მეთოდი | $\Delta H$ , $\text{Дж}/\text{მოლი}$ | H,D  |
|----|-------------------|--------------------------------------|------|
| 1  | AM1               | 652,95                               | 4,81 |
| 2  | PM3               | 521,55                               | 4,91 |

AM1 და PM3 კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული მეთოდებით გამოთვლილია კლოტრიმაზოლის მოლეკულაში ატომთაშორის მანძილთა და ბმის რიგის მნიშვნელობები (ცხრ. 2).

**ცხრილი 2. ატომთაშორის მანძილთა და ბმის რიგის მნიშვნელობები კლოტრიმაზოლის მოლეკულაში**

| № | ატომთაშორისი ბმა | გამოთვლის მეთოდი     |       |
|---|------------------|----------------------|-------|
|   |                  | AM1                  | PM3   |
| 1 | C(1) – C(2)      | R <sub>1,2</sub> Å   | 1,393 |
|   |                  | R <sub>1,2</sub>     | 1,407 |
| 2 | C(1) – C(6)      | R <sub>1,6</sub> Å   | 1,391 |
|   |                  | R <sub>1,6</sub>     | 1,424 |
| 3 | C(2) – C(3)      | R <sub>2,3</sub> Å   | 1,393 |
|   |                  | R <sub>2,3</sub>     | 1,422 |
| 4 | C(3) – C(4)      | R <sub>3,4</sub> Å   | 1,402 |
|   |                  | R <sub>3,4</sub>     | 1,395 |
| 5 | C(5) – C(7)      | R <sub>5,7</sub> Å   | 1,700 |
|   |                  | R <sub>5,7</sub>     | 1,005 |
| 6 | C(23) – C(24)    | R <sub>23,24</sub> Å | 1,395 |
|   |                  | R <sub>23,24</sub>   | 1,397 |
| 7 | C(25) – C(21)    | R <sub>25,21</sub> Å | 1,408 |
|   |                  | R <sub>25,21</sub>   | 0,034 |
| 8 | C(25) – C(24)    | R <sub>25,24</sub> Å | 1,347 |
|   |                  | R <sub>25,24</sub>   | 1,342 |
|   |                  |                      | 1,579 |


ატომთა შორის მანძილთა მონაცემების ანალიზია აჩვენა, რომ C–C ბმის მნიშვნელობები 1,393-1,400 Å ფარგლებშია, C–N 1,343 Å, რაც თანხვედრაშია ამ ბმების სიგრძეთა სტანდარტულ მნიშვნელობებთან. ბმის რიგი ახლოსაა ერთნახევართან, რაც ნახშირბადისა და აზოტის ატომების SP<sup>2</sup> ჰიბრიდიზაციაზე მიანიშნებს (ნახ. 1).



ნახ. 1. AM1 და PM3 კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული მეთოდების მონაცემებით განსაზღვრული კლოტრიმაზოლის აღნაგობა

AM1 და PM3 კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული მეთოდებით გამუტ-ვლილია სავალენტო კუთხეთა მნიშვნელობები კლოტრიმაზოლის მოლეკულაში. ვალენტური კუთხეები ფენილისა და იმიდაზოლის ბირთვში C(4) – C(8) – N(21); C(8) – N(21) – C(22); C(21) – C(22) – N(23); C(8) – N(21) – C(22); C(23) – C(22) – N(21), დაახლობით  $117\text{--}125^{\circ}$  ფარგლებშია, რაც თანხვედრაშია შესაბამის ატომთაშორის კუთხეთა სტანდარტულ მონაცემებთან.

AM1 და PM3 კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული მეთოდებით გამოთვლილია კლოტრიმაზოლის მოლეკულაში ატომების ეფექტური მუხტისა (q), და ელექტრონული სიმკვრივის მნიშვნელობები.



**ნახ. 2. AM1 კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული მეთოდებით განსაზღვრული  $[\text{Zn}(\text{CH}_3\text{COO})_2 \cdot \text{C}_{22}\text{H}_{17}\text{N}_2\text{Cl} \cdot \text{H}_2\text{O}]$ -ის მოლეკულა**

ელექტრონულ სიმკვრივეთა და ეფექტური მუხტების სიდიდეთა შედარებით ირკვევა, რომ დიდი მნიშვნელობა ახასიათებს აზოგის N(21) და N(24) ატომებს (ნახ. 2); ამასთან,  $\text{sp}^2$ -ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაში მყოფ იმიდაზოლურ არადონურულ აზოგის ატომს N(21) გააჩნია ძლიერ ლოკალიზებული 2Pz-ორბიტალი. ამ ორბიტალისა და კომპლექსურმომქმნელი მეტალის d-ორბიტალის ელექტრონულ სიმკვრივეთა გადაფარვისთვის საჭიროა მათი მაქსიმალური დაახლოება, რაც შეუძლებელია, ვინაიდან სინამდვილეში ძლიერ იზრდება განზიდულობა. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ვიგარაუდოთ, რომ ლიგანდის კოორდინირება კომპლექსურმომქმნელ მეტალებთან ხორციელდება მონოდენტატური კლოტრიმაზოლის დონორული ჰეტეროციკლის აზოგის N(24) ატომით, რომელსაც ელექტრონული მუხტი ლოკალიზებული აქვს, ძირითადად, 2S-ორბიტალზე.


ჩატარებულია კლოტრიმაზოლთან თუთიის აცეტატის კოორდინაციული ნაერთის  $[Zn(CH_3COO)_2 \cdot C_{22}H_{17}N_2Cl \cdot H_2O]$  შესაძლო სტრუქტურის პერიოდული გამოვლები.

განსაზღვრულია კლოტრიმაზოლთან თუთიის აცეტატური კოორდინაციული ნაერთის თერმოდინამიკური პარამეტრები სხვადასხვა ტემპერატურაზე. ბიოკომპლექსის ნაერთის წარმოქმნის სითბოს მნიშვნელობა მიანიჭნებს ამ ნივთიერების არსებობის შესაძლებლობაზე [4].

კვანტურ-ქიმიური გამოვლების მონაცემებით (წარმოქმნის სითბო, ენთალპია, თბოტევადობა, ენთროპია და სხვ.) დასტურდება მეტალის - თუთიის კომპლექსნეართის წარმოქმნის შესაძლებლობა. სტანდარტულ პირობებში  $[Zn(CH_3COO)_2 \cdot C_{22}H_{17}N_2Cl \cdot H_2O]$  მოლეკულის თბოტევადობა შეადგენს 90,53 კალ/გრად. მოლზე; ენთროპია 147,95 კალ/გრად. მოლზე; იონიზაციის პოტენციალის მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება კუბმანის თეორემით, უდრის 9,683 ევ-ს; დიპოლური მომენტი 10,346 დებაის ტოლია.


სინთეზირებული ბიოკომპლექსნაერთის ინდივიდუალობის დაღგენის მიზნით, ჩატარებულია ლიგანდის - კლოტრიმაზოლისა და კომპლექსის რენტგენოფაზური კვლევა.

კლოტრიმაზოლის რენტგენოგრამაზე ფიქსირდება მხოლოდ კლოტრიმაზოლის კრისტალური სტრუქტურის შესაბამისი სიბრტყეთაშორისი მანძილები (da/n 9,3A; 5,96A; 4,64A; 4,52A; 4,00A; 3,87A; 3,20A; 3,11A; 2,59A; 2,46A) (ნახ.3).




ნახ. 3. კლოტრიმაზოლის რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამა

სპილენდ (II)-ის ფორმიატის რენტგენოგრამაზე ფიქსირდება სხვადასხვა ინტენსივობის კრისტალური სტრუქტურის შესაბამისი სიბრტყეთა შორისი მანძილები (da/n 11,17A, 7,05A, 6,16A, 5,18A, 4,63A, 4,50A, 3,93A, 3,48A, 3,07A, 2,86A, 2,61A, 2,51A, 2,46A, 2,28A, 2,20A, 1,8A და სხვა), რომლებიც დიდი ალბათობით შეესაბამება სპილენდ (II)-ის ფორმიატის კრისტალურ ფაზებს (ნახ.4).



ნახ. 4 სპილენდ(II)-ის ფორმიატის რენტგენფაზური ანალიზის რენტგენოგრამა

ექსპერიმენტით მიღებული სპილენდ (II)-ის ფორმიატული კომპლექსის ნიმუშის რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე (ნახ. 5) თვალნათლივ ფიქსირდება Cu(II)-ის ფორმიატული კომპლექსის (da/n: 15,7; 10,56; 8,85; 7,87; 6,65; 4,55; 4,50; 3,27A) კრისტალური ფაზა.



ნახ. 5. Cu (II)-ის ფორმიატული კომპლექსის რენტგენფაზური ანალიზის რენტგენოგრამა

Cu(II)-ის ფორმიატული კომპლექსის ნიმუშში საწყისი ფორმიატისა და კლოტრიმაზოლის დამოუკიდებელი სტრუქტურული ფაზები არ ფიქსირდება. რენტგენოგრამების შედარებამ გვაჩვენა, რომ მიღებული კომპლექსნაერთის რენტგენოგრამები არ შეიცავს საწყისი ნივთიერებებისთვის დამახასიათებელ ფარდობით ინტენსიონებს და სიბრტყეთა შორის მანძილებს.


თითოეული მათგანის რენტგენოგრამა შეიცავს მათთვის დამახასიათებელ ინდივიდუალური ფარდობითი ინტენსიონისა I/I და სიბრტყეთა შორისი მანძილების

da/n, Å ნაკრებს, რაც აღნიშნული საკვლევი ნივთიერებების ინდივიდუალურობაზე მიუთითებს.


რენტგენოფაზური კვლევის შედეგებით დადგენილია სინთეზირებული ნაერთების ინდივიდუალობადა იზოსტრუქტურული მწყრივები:

1. მანგანუმის, ნიკელის და კობალტის ფორმიატული და აცეტატური კომპლექსნაერთების იზოსტრუქტურული მწყრივი;
2. სპილენდის ფორმიატული და აცეტატური კომპლექსნაერთების იზოსტრუქტურული მწყრივი;
3. თუთიისფორმიატული და აცეტატური კომპლექსნაერთების იზოსტრუქტურული მწყრივი.

სინთეზირებული კომპლექსნაერთების თერმული მდგრადობის დადგენის მიზნით, ჩატარებულია თერმოგრავიმეტრიული კვლევა. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ აცეტატური კომპლექსების თერმული დაშლის სქემა შემდეგი სახით:



სადაც,  $n=1,2,3$ .




სადაც,  $n=1,2,3$ .

დადგენილია, რომ მეტალთა აცეტატური ბიოკომპლექსნაერთები უფრო მდგრადია (დაშლის ტემპერატურული ინტერვალი  $160-410^\circ$ ), ვიდრე მეტალთა ფორმიატული კომპლექსნაერთები (დაშლის ტემპერატურული ინტერვალი  $155-400^\circ$ ).


ამრიგად, ბიოკომპლექსნაერთა თერმული მდგრადობა, გარდა იმისა, რომ, დამოკიდებულია მეტალ-კომპლექსწარმომქმნელის ბუნებას, ატომთაშორის ბმის ტიპს და ატომთა ზომებზე, ასევე, დამოკიდებულია აციდო-ჯგუფების აღნაგობასა და ბუნებაზე [5-6].

კომპლექსწარმომქმნელ მეტალთან აციდო და ორგანული ლიგანდების სავარაუდო კოორდინირების სერხის, კოორდინაციული პროცესის (მრავალწახნაგას ფორმის) დასადაგენად ჩატარებულია ორგანული ლიგანდების-კლოტრიმაზოლისა და სინთეზირებული კომპლექსნაერთების შთანთქმის ინფრაწითელი (იწ) სპექტროსკოპული კვლევა.


შთანთქმის იწ სპექტროსკოპიული მეთოდით, დიდი ალბათობით, დადგენილია მეტალის აცეტატებთან და ფორმიატებთან კლოტრიმაზოლის კოორდინაციული შესაძლებლობები. კერძოდ, მანგანუმ(II)-ის, ნიკელ(II)-ის, კობალტ(II)-ის კომპლექსნაერთებში კომპლექსწარმომქმნელი მეტალის ატომის გარშემო, დიდი ალბათობით, რეალიზებულია ოქტაედრული კოორდინაცია-მონოდენტატური კლოტრიმაზოლის დონორული ჰეტეროციკლის აზოტის ატომით, ორი მონოდენტატური ფორმიატო/აცეტატო ჯგუფის უანგბადის ორი ატომით და წყლის სამი მოლეკულის უანგბადთა მეშვეობით:



თუთიის კოპლექსურმომქმნელი ატომის გარშემო წარმოქმნილია ტეტრაედრული კოორდინაციის პოლიედრი- მონოდენტატური კლოტრიმაზოლის დონორული ჰეტეროციკლის აზოტის, მონოდენტატური ორი აცეტატო/ფორმიატო ჯგუფის ეაგბადის ორი ატომით და წყლის მოლექულის ჟანგბად-ატომით:




სპილენ(II)-ის კომპლექსნაერთებში, კომპლექსურმომქმნელიიონის გარშემო დიდი ალბათობით, ხორციელდება აღებულ ლიგანდოა - კლოტრიმაზოლის, აცეტატო/ფორმიატო ჯგუფებისა და წყლის ორი მოლექულის ტრიგონალური ბიპირამიდული ან კვადრატული პირამიდული კოორდინაცია:



სინთეზირებული ნაერთების ბიოაქტიურობის შემოწმების მიზნით, ჩატარებულია იმუნოციტოტოქსიკური კვლევა, კანის ბრტყელუჯრედოვანი კიბოს (კარცინომას) უჯრედებზე, რომლებიც დამუშავებული იყო კლოტრიმაზოლთან სპილენის ფორმიატული კომპლექსნაერთის სსნარით, ასევე, სუფთა ლიგანდის (კლოტრიმაზოლის) იმავე კონცენტრაციის სსნარით და კარგად ცნობილი და აპრობირებული პრეპარატის, ცის-პლატინის საკონტროლო სსნარით [7,8].

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ კლოტრიმაზოლთან სპილენის ფორმიატული კომპლექსნაერთის სინერგიული ეფექტი ინდუცირებს სიმსივნური უჯრედების დაღუპვას აპოპტოზის გზით (ნახ. 6).



ნახ. 6. უჯრედის დაღუპვა აპოპტოზის და ნეკროზის გზით

კლინიკური კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ზემოთ აღნიშნული კომპლექსნაერთის გაძლიერებული ციტოტოქსიკური აქტიურობა მრავალჯერადად აღმატება როგორც სუფთა ლიგანდის - კლოტრიმაზოლის, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კი, ცის-პლატინის ბიოლოგიურ აქტიურობასაც კი.

გარდა ამისა,  $Zn^{2+}$  იონებისა და კლოტრიმაზოლის კომპლექსები განზავებულ ხსნარებში ურთიერთქმედებს სიმსივნური უჯრედების დნბ-ის მოლეკულების ფრაგმენტებთან და იწვევს მათ დეგრადაციას.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სიმსივნური უჯრედების დნბ წარმოადგენს მსგავსი კომპლექსური ნაერთების რეალურ სამიზნეს. (ჩატარებული კლინიკური კვლევების შედეგები დადასტურებულია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ონკოლოგის, პროფესორ ირაკლი ნადირაძის მიერ 30.X.2016).)

#### ლიტერატურა

1. წიგწივაძე თ., კლდიაშვილი რ., ჩიგოგიძე ნ., სხილაძე რ., სულაქველიძე გ. ბიოკორდინაციული ნაერთების შედგენილობა-აღნაგობა-თვისებები და მათი როლი არატრადიციული სამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა და კვების პროდუქტების შემუშვებაში. მონოგრაფია, თბილისი, 2009, გვ.171
2. წიგწივაძე თ. ჩიგოგიძე ნ., კლდიაშვილი რ., სხილაძე რ., სულაქველიძე გ. ბიოაქტიური კომპლექსნაერთები ახალგენებოლოგიებში. მონოგრაფია, 2011, გვ.255
3. ჩიგოგიძე ნ.შ., წიგწივაძე თ.ი., ნადირაძე ი.შ., პეტრიაშვილი ე.დ., ჯაფარიძე რ.ჯ., საქციფო-კური კონფორმაციული სტრუქტურის გავლენა კლოტრიმაზოლის ბიოკომპლექსთა ციტოტოქსიკური აქტიურობის გაძლიერებაში. //Georgian Engineering News, No.2(vol.78), 2016. გვ. 112-119.
4. Рентгенометрический определитель минералов. В.И. Михеев. Э.П. Сальдау II том. –Ленинград, Недра Ленинградское отделение 1965.
5. მაჩალაძე თ. თერმული ანალიზი. -თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006, გვ. 14-67.
6. Chigogidze N.Sh., Petriashvili J.D., Japaridze R.J. „Searching and synthesis of new chelating derivatives of the thiourea as antitumor remedies“. 3rd international conference on pharmaceutical sciences. „Looking towards the future, honoring the past“. Tbilisi, 2015, pp.102-103.
7. ჩიგოგიძე ნ., ჯაფარიძე რ. „ახალი, პერსპექტიული ნაერთების სინთეზი თნეოდავადებათა ქიმიოთერაპიისთვის“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები. ქუთაისი, 2015, გვ. 426.
8. Чигогидзе Н.Ш. Цивцивадзе Т.И. Надирадзе И.Ш. Клдиашвили Р.Ш. Петриашвили Ж.Д. Джапаридзе Р.Дж. Противоопухолевая активность комплексов меди  $Cu^{2+}$  склотримазолом как следствие формирования специфической пентакоординационной структуры. //Georgian Engineering News. No.1(vol.77), 2016.

#### SUMMARY

**SYNTHESIS AND STUDY OF THE BIOCOMPLEXES OF ANTIFUNGAL MEDIFICATION CLOTRIMAZOLE WITH 3D METALS Mn(II), Ni(II), Cu(II), Cu(II) AND Zn**

**Tsivtsivadze T.I., Japridze R.J., Petriashvili Zh.D., Chigogidze N.Sh. and Kldishvili R.Sh.**

**Research Center of Biologically Active Substances of Georgian Technical University**

The biocoordination compounds of clotrimazole, a modification with a wide range of antifungal and antibacterial properties, with metals Mn(II), Ni(II), Cu(II), Cu(II) and Zn were synthesized. The expected composition of obtained biocomplexes was studied, and X-ray transformations of the synthesized compounds were determined by IR spectroscopy. The ways of possible coordination of organo- and acido-ligands with metal complex formators were determined. Immunocytologic assay of complex compounds was carried out. The investigation results enable us to conduct a targeted synthesis of highly effective antimicrobial biocomplexes, which is currently quite topical.

**Keywords:** clotrimazole, biocomplex, 3d metals, targeted synthesis, organoligands, acido ligands.

მაბნიუმისა და მანგანუმის შეთვისება რძემშაბა ბაზტორიმბის მიმრ

რჩეულიშვილი ნ.ა., კაკაბაძე ე.გ., რჩეულიშვილი ა.ნ., რჩეულიშვილი ო.ა.

გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და  
ვირუსოლოგიის ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რძემშავა დუღილის სასურსათო პროცესები ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის კვებაში. აღნიშნული პროცესები მდიდარია ცილებით, ნახშირწყლებით, ცხიმებით, სასარგებლო ელემენტებით და ვიტამინებით. აქედან გამომდინარე ძალზე აქტუალურია მაღალი ხარისხის, რძემშავა დუღილის სასურსათო პროცესების წარმოება. რძემშავა დუღილის ბაქტერიები წარმოადგენს ძირითად რგოლს რძემშავა პროცესების მიღების პროცესში. ცნობილია, რომ მაგნიუმი (Mg) წარმოადგენს ძირითად შიდაუჯრედულ ელემენტს. იგი ააქტიურებს ~300 ფერმენტს, რომლებიც არეგულირებენ ნახშირწყლების მიმოცვლას, ასტიმულირებს ცილების წარმოქმნას, არეგულირებს ენერგიის შენახვასა და გამოთავისუფლებას ატფ-ში, არეგულირებს უჯრედების ზრდას. მანგანუმი (Mn) სიცოცხლისათვის აუცილებელი მიკროელემენტია, მონაწილეობს 30-ზე მეტი ფერმენტის ფუნქციონირებაში, არეგულირებს ანტიდამუნგველი ფერმენტების აქტიურობას. Mn შედის მრავალი ფერმენტის აქტიურ ცენტრში და გარკვეულ როლს თამაშობს ზემოანგი რადიკალების მავნე ზემოქმედებისაგან ორგანიზმის დაცვაში.

აღნიშნული ელემენტები გარკვეულ როლს თამაშობენ რძემშავა დუღილის ბაქტერიებში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ ინტერესს იწვევს დუღილის ბაქტერიების მიერ Mg-ისა და Mn-ის შთანთქმის პროცესის შესწავლა და ამ მეტალების ზეგავლენის შესწავლა ბაქტერიების აქტივობაზე რძემშავა პროცესების მიღების პროცესში.

რძემშავა ბაქტერიები (*Lactic Acid Bacteria-LAB*) წარმოადგენენ გრამ-დადებითი ბაქტერიების ჯგუფს, რომლებიც არ წარმოქმნიან სპორებს, წარმოადგენენ ანაერობულ ან მიკროაეროფილურ კოკებსა და წილებს, რომელებიც ნახშირწყლების ფერმენტაციის შედეგად წარმოქმნიან რძემშავას, როგორც ძირითად საბოლოო პროცესებს. არიან მუავატოლერანტული მირკოორგანიზმები. რძემშავა ბაქტერიები ნახშირწყლების რძემშავად გარდაქმნას, ახორციელებს ქანგბადის მცირე რაოდენობის თანაობისას. ყველა რძემშავა დუღილის ბაქტერია ენერგიის წყაროდ საჭიროებს ნახშირწყლოვანი სუბსტრატის კომპლექსს. მათ მიერ წარმოებული რძემშავა ეფექტურად აინპიბირებს სხვა ბაქტერიების ზრდას, რომლებიც სასურსათო პროცესების გაფუჭებას იწვევენ. ფერმენტირებულ პროცესებში არასასურველი მიკროფლორის ინპიბირებას იწვევს გარემოს pH მკვეთრი დაცემა.

ჩვენი სამუშაოს მიზანია რძემშავა დუღილის ბაქტერიების მიერ მაგნიუმისა და მანგანუმის შთანთქმის პროცესის შესწავლა. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა ლაქტოზის ფერმენტაციის უნარის მქონე ბაქტერიული შტამები. ჩატარდა მათი სახეობრივი იდენტიფიკაცია და დახასიათება. ბაქტერიების მიერ მეტალების აბსორბციის შესასწავლად შერჩეულ იქნა *Lactobacillus spp. E11 K3* და *Streptococcus thermophilus 2N K2* ბაქტერიული შტამები. ბაქტერიების გამოზრდა ხდებოდა საკვებ გარემოში MRS და M17, სადაც დამატებული იყო საკვლევი მეტალები Mg და Mn.

გაზომვების თანახმად Mg-ის კონცენტრაციები საკვებ გარემოში MRS და M17 შეადგენდა შემდეგს: MRS-210გ/გ/მლ, M17-300გ/გ/მლ. მეტალის იონების შემცველ

საკვებ გარემოში ბაქტერიების გამოზრდა ხდებოდა დროის სხვადასხვა პერიოდების განმავლობაში (12 სთ, 20 სთ, 36 სთ, 44 სთ და 68 სთ).

